ნ. მაღლაკელიძე, ნ. სვანიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები მეხუთე კლასში

(მასწავლებლის წიგნი)

საკონკურსო ეგზემპლარი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2010

ქართული ენა და ლიტერატურის გაკვეთილები

V კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორი ნათელა მაღლაკელიძე

რედაქტორი ცისანა ყურაშვილი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN

(UDC)

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47. ☎ 39-15-22
E-mail: davideku1@mail.ru, info@meridianpub.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010
© ნ. მაღლაკელიძე

N. Maglakelidze
“Georgian language and literature”, the book of the teacher 5, in Georgian
“Meridiani” Publishing, Tbilisi - 2010

მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის

სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:
ა) მოსწავლის წიგნი,
ბ) აქტივობების რვეული,
გ) მასწავლებლის წიგნი.

ა) „მოსწავლის წიგნი“ შედგენილია „ეროვნული სასწავლო გეგმისა“ და საგნობრივი „სტანდარტების“ მიხედვით. საკითხავ მასალად შერჩეულია როგორც ქართველი კლასიკოსების შემოქმედების ნიმუშები *(რომელთა დიდი ნაწილი უკვე აპრობირებულია სწავლების პროცესში)*, ასევე — თანამედროვე ქართველი მწერლების: ***რევაზ ინანიშვილის, ოტია იოსელიანის, გურამ რჩეულიშვილის, გიორგი შატბერაშვილის, გოდერძი ჩოხელის, მუხრან მაჭავარიანის***... ნაწარმოებები *(რომლებიც ადრე არ ყოფილა შეტანილი სასკოლო ქრესტომათიებში).*

გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებსაც (***მარკ ტვენი, ფ. ზალტენი...***).

საკითხავი მასალა დალაგებულია **თემატურ-ბუდობრივი** პრინციპის მიხედვით. სულ წარმოდგენილია 6 თემატური ბუდე:

ა) საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ...
ბ) ჩემო კარგო ქვეყანავ!..
გ) დამაკვირდი...
დ) სიბრძნე სიცრუისა
ე) ადამიანი და ბუნება
ვ) გაიცანით, თქვენი თანატოლია...

ვეცადეთ, წარმოგვედგინა ჟანრობრივად მრავალფეროვანი (***მოთხრობა, ლექსი, იგავ-არაკი, ზღაპარი***...) მასალა, ასევე — ხალხური შემოქმედების ნიმუშები. საკითხავ მასალად შევარჩიეთ ე. წ. „აღწერითი ტექსტებიც“, რომელთა მიზანია არა მხოლოდ კითხვის სტრატეგიების დაუფლება, არამედ საგნობრივი ცოდნის გაფართოებაც ხელოვნებისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ეს, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის ინტეგრაციას, რაც საკმაოდ აქტუალურია დღეს ჩვენი სკოლისათვის.

საკითხავი ტექსტების დამუშავება ხდება სწავლების **ინტერაქტიური მეთოდების** გამოყენებით. მეთოდიკურ აპარატში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კითხვები, რომლებიც დალაგებულია თანმიმდევრობით და აღნიშნულია სათანადო სიმბოლოებით: **გავიგოთ, გავიაზროთ, შევაფასოთ.**

წიგნში ერთგვარ სიახლეს წარმოაადგენს **ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაცია,** რასაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა. გრამატიკის სისტემატური კურსის ნაცვლად, მასწავლებელს ვთავაზობთ ენობრივი მასალის დამუშავებას ლიტერატურულ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში. ძირითადი აქცენტი კეთდება ფუნქციონალური გრამატიკის საკითხებზე, რომლის მიზანია მოსწავლეთა სწორმეტყველების უნარ-ჩვევებით შეიარაღება. **ენობრივ მასალაზე მუშაობა** ყოველი ტექსტის დამუშავების აუცილებელი ატრიბუტია და იგი სათანადო სიმბოლოთია აღნიშნული. აქ მოცემულია ის განსაზღვრებები, წესები და სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ ცალკეული ენობრივი კატეგორიების გაცნობასა და გააზრებას, არამედ მათ პრაქტიკულ გამოყენებას წერასა თუ ზეპირ მეტყველებაში.

სასწავლო მასალა წიგნში წარმოდგენილი იქნება 36 სამუშაო კვირისათვის. თითოეულის დამუშავებას სჭირდება დაახლოებით 2-3 აკადემიური საათი (კვირაში საშუა-

ლოდ 2 ტექსტი), თუმცა ამით სრულიადაც არ ვზღუდავთ მასწავლებლს — მას უფლება აქვს შეცვალოს ეს საათები თავისი შეხედულებისამებრ.

ბ) „აქტივობების რვეული“, რომელიც უკვე აპრობირებულია II-IV კლასებში, ერთგვარი სიახლეა V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის. მასში მოცემულია ის ძირითადი სავარჯიშოები და აქტივობები, რომლებიც უნდა შესრულდეს ამა თუ იმ ტექსტის დამუშავებისას. თითოეულ ტექსტთან დაახლოებით 4-5 სავარჯიშოა წარმოდგენილი. ძირითადი აქცენტი კეთდება ტექსტის აგებაზე, პრატიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დახვეწაზე. მოცემულია ტესტური დავალებების ნიმუშებიც, რომლებიც ძირითადად ტექსტის გააზრებაზეა ორიენტირებული.

სავარჯიშოთა ნაწილი ზეპირად სრულდება, ნაწილი — წერილობით. ზოგი მათგანი განკუთვნილია წყვილებში, ზოგი კი — ჯგუფური მუშაობისათვის, რაც აღნიშნულია სათანადო სიმბოლოებით. „მასწავლებლის წიგნში“ გზადაგზა ვუთითებთ, რომელი წერითი დავალება უნდა შესრულდეს შინ და რომელი — კლასში; თუმცა ეს მითითება დოგმა არ არის და მასწავლებელს შეუძლია მისი შეცვლა საკუთარი შეხედულებისამებრ. იმედს ვიტოვებთ, რომ წარმოდგენილი სავარჯიშოების მრავალფეროვნების გამო პედაგოგს აღარ დასჭირდება დამატებით საკლასო, საშინაო, საკონტროლო წერებისათვის დავალებების მოძიება და ცალკე რვეულების წარმოება. თუ მას გაუჩნდება ამგვარი სურვილი, „აქტივობების რვეულში“ ამ მიზნითაც ვტოვებთ ადგილს.

გ) „მასწავლებლის წიგნი“ გზამკვლევია პედაგოგისათვის. მისი მიზანია, გაუადვილოს მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვა სწავლების უახლესი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით; უზრუნველყოს იმ შედეგების მიღწევა, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. **გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ „მასწავლებლის წიგნი“ არის მხოლოდ და მხოლოდ საორიენტაციო და არა სავალდებულო.** პედაგოგს შეუძლია მისი შეცვლა საკუთარი შეხედულებისამებრ, გამრავალფეროვნება, ცვლილებების შეტანა გაკვეთილის ჩატარების პროცესში. აქ წარმოდგენილი გაკვეთილების სცენარები ორი ტიპისაა: **ვრცელი** (სანიმუშო) და **მოკლე. „სანიმუშო სცენარებში“** მოცემულია გაკვეთილის მსვლელობის დეტალური აღწერა მისი ეტაპების, მიზნების, აქტივობების, მოსწავლეთა პასუხებისა და საორიენტაციო დროის ზუსტი მითითებით. თითოეული სცენარის შემდეგ ვრცლად არის ჩამოთვლილი გაკვეთილის ბოლოს მოსალოდნელი შედეგები. **„მოკლე სცენარებში“** კი მოცემულია ძირითადი საგაკვეთილო აქტივობები მხოლოდ მიზნებისა და შედეგების კოდის ჩვენებით (ამ კოდით აღნიშნული შედეგი მასწავლებელს თავად შეუძლია იხილოს V კლასის საგნობრივ სტანდარტში).

„**მასწავლებლის წიგნში“** წარმოდგენილია სათანადო **დამატებითი ინფორმაცია** იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მასალის დამუშავებისას იჩენს თავს. აქვე შევიტანეთ მწერალთა ბიოგრაფიებიც, რომელთა დიდი ნაწილი მასწავლებლისათვის კარგად არის ნაცნობი, მაგრამ ახალი მასალის ახსნის პროცესში მაინც უწევს ხოლმე მისი გადახედვა. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **„ცნობარიც“ და ბიოგრაფიებიც მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი და მისი ამ სახით მიწოდება მოსწავლეებისათვის დაუშვებელია.**

ავტორები: **ნათელა მაღლაკელიძე**
ნატალია სვანიძე

ლ. ასათიანის *„ ქართული ენა“; ენის რაობა, ენის ფუნქციები; სიტყვის სემანტიკა (2 სთ)*

მიზნები

— ტექსტის აგება სათაურის მიხედვით
— პოეტური ტექსტის აღქმა
— გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ენის ფუნქციების გაცნობა
— ორთოგრაფიული და ორთოეპიული ჩვევების ფორმირება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება, სიტყვათა წარმოქმნა (ტერმინის გარეშე)

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — ზაფხულის შთაბეჭდილებები (15 წთ.):

ეს სასწავლო წლის პირველი გაკვეთილია, ამიტომ იგი რამდენადმე არატრადიციულად წარიმართება. მასწავლებელი ეცნობა კლასს, ახდენს მის მობილიზებას გაკვეთილისათვის, ესაუბრება ზაფხულში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ამ მიზნით სთავაზობს რამდენიმე სათაურს ზეპირი გამოსვლისათვის:

ა) ზაფხულის ერთი დღე,
ბ) რა დამამახსოვრდა,
გ) რა ვნახე,
დ) საინტერესო ადამიანები, რომლებიც ამ ზაფხულს გავიცანი (***შეიძლება მსგავსი სათაური ზეპირი გამოსვლისათვის თავად მოსწავლეებმაც შეარჩიონ)...***

მასწავლებელი კლასს მოსაფიქრებლად აძლევს რამდენიმე წუთს. ავალებს — აარჩიონ ერთ-ერთი სათაური, ისაუბრონ მხოლოდ მის გარშემო; ჩამოწერონ ის საკითხები, რომლის შესახებაც აპირებენ საუბარს; გააკეთონ შავი ჩანაწერი, შემდეგ წაუკითხონ ერთმანეთს. აქვე, მასწავლებელი აცნობს წესებს ზეპირი გამოსვლისათვის — დაიცვან **რეგლამენტი** (დრო), **რიგითობა, ეტიკეტი,** მოუსმინონ ერთმანეთის პასუხებს და ჩაინიშნონ საინტერესო საკითხები, დაუსვან ერთმანეთს კითხვები მხოლოდ გამოსვლის დამთავრების შემდეგ, იყვნენ თავშეკავებულნი და კორექტულები (ამ მითითებას შეიძლება მივცეთ „სამახსოვროს“ სახე და ბარათებზე ჩამოწერილი დავურიგოთ მოსწავლეებს). უმჯობესია, ეს სამუშაო შესრულდეს **ინდივიდუალურად,** რამდენადაც იგი დაეხმარება მასწავლებელს, შევიდეს თითოეულ მოსწავლესთან კონტაქტში და დაეხმაროს მას. პასუხების პრეზენტაციისას თავს იკავებს კრიტიკული შეფასებებისაგან. მოქმედებს პრინციპი — **„ყველას აზრი საინტერესოა“.**

აქტივობა 2 — კითხვისათვის მზადება (3 წუთი):

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას—გაიხსენონ, რა იციან ქართული ენის შესახებ; რა წაუკითხავთ ამ საკითხზე, რომელი ცნობილი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს გაიხსენებენ. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ვარიანტს. პასუხების პრეზენტაცია და ანალიზი ხდება კლასში.

აქტივობა 3 — ტექსტის კითხვა და ანალიზი (10-12 წუთი):

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს **ლადო ასათიანის** ლექსს **„ქართული ენა“,** აკითხებს 1-2 მოსწავლეს, შემდეგ აძლევს დავალებას: წაიკითხონ ლექსი **ჩუმად,** მოძებნონ და ახსნან გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გამოიყენონ ამ მიზნით ,,სიტყვის სალარო“; მონიშნონ ის უცნობი სიტყვებიც, რომლებიც წიგნში არ არის ახსნილი. ამ სიტყვებს შემდეგ ხსნის კლასის საერთო ძალისხმევით:

ზენა – ზეციური ძალა, ღმერთი

უძველესი ტომი — იგულისხმება საქართველო

შლეგი — გიჟი, გადარეული; **შლეგი ჩანჩქერები** – სწრაფი ჩანჩქერები; **ჩანჩქერ**ი — კლდეზე გადმომდინარე წყლის ნაკადი

მყინვარი – მოძრავი ყინულის მკვრივი მასა მთებში

დაჯანღება –ნისლად ქცევა; **ჯანღი** — ნისლი, ბურუსი

ფარი — საბრძოლო იარაღი

სარკინეთი (სარკინე) — ადგილია მცხეთაში (***ინფორმაცია მასწავლებლისათვის***: **სარკინე** – *დიდი მცხეთის უბანი, მცხეთის დასავლეთით მდებარე, ე. წ. ჯოჯოხეთის უბნიდან შიომღვიმის მისადგომებამდე — სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე. ძვ. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, სარკინეთი დამოუკიდებელ ქალაქად არის მიჩნეული, თუმცა ეს მოსაზრება ზოგიერთი მეცნიერის გარკვეულ ეჭვს იწვევს. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს, რომ ელინისტურ ხანაში აქ საკმაოდ განვითარებული ყოფილა ლითონის დამუშავების კულტურა, ოქრომჭედლობა. აღმოჩენილია მელითონეთა სახელოსნოები. სწორედ ამიტომაც ახსენებს პოეტი მომდევნო სტროფში* **გრდემლსა** *და* **ურ**ოს*)*.

გრდემლი — რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად

ურო —დიდი ჩაქუჩი

სთვლემენ – სძინავთ;

სასთუმალი — ბალიში ან სხვა რამე თავქვეშ დასადები

ხმათა ხავერდები – აქ: სასიამოვნო, ტკბილი ხმები (**ინფორმაცია მასწავლებლისთვის:** „ხმათა ხავერდები“ რთული მეტაფორის ტიპური ნიმუშია (**მეტაფორა** — ბერძნულად ნიშნავს **გადატანას**).

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში. მისი მშობლები პედაგოგები იყვნენ, ცაგერის რაიონის მკვიდრნი.

ლადო ასათიანმა 1934 წელს დაასრულა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და სწავლა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. სულ მოკლე ხანში კი ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გადავიდა. სტუდენტობის პერიოდში ჩაბმული იყო სამეცნიერო წრეებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობაში, იყო ქუთაისში გამომავალი გაზეთის „სტალინელის“ თანამშრომელი, სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა პირველად მისი ლექსები. 1936 წელს ლადო ასათიანი რამდენიმე თვით მშობლიურ სოფელ ბარდნალაში დაბრუნდა. ამ პერიოდში თარგმნა პუშკინის, მამინ-სიბირიაკის ნაწარმოებები.

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ლადო კიდევ უფრო აქტიურად ჩაება ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით იყო გატაცებული ფოლკლორისტული ძიებებით.

1937-38 წლების რეპრესიები ლადო ასათიანის ოჯახსაც შეეხო: დედამისი - ლიდა ცქიტიშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დააპატიმრეს „ხალხის მტრის“ ბრალდებით.

რეპრესირებული ოჯახის შვილს მალე გამოუჩნდნენ მოშურნეები, მოწინააღმდეგეები, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს ახალგაზრდა პოეტს.

1937 წლის 16 ივლისს გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც რამოდენიმე სხვადასხვა მწერალთან ერთად, მკაცრად იყო გაკრიტიკებული ლადო ასათიანი. „კრიტიკოსები“ პოეტს „პოლიტიკური შეცდომების“ გამოსწორებისაკენ მოუწოდებდნენ, ურჩევდნენ, თავი დაენებებინა „მავნე ლაყბობისათვის“. ასეთი გამოხდომები მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ახალგაზრდა პოეტზე; მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით გამოწვეული გულისტკივილი კარგად ჩანს პოეტის ჩანაწერებში, პირად წერილებში, თანამედროვეთა მოგონებებში.

დედის დაპატიმრების შემდეგ ლადო ასათიანი ინსტიტუტიდან გარიცხეს. ოფიციალური მიზეზი ასეთი იყო: „კონტრრევოლუციური ლაყბობა“. ასეთი ბრალდება 1937-38 წლებში, რეპრესიების დროს, გაწირვის ტოლფასი იყო და, ბუნებრივია, ამ ფაქტმაც ძლიერ იმოქმედა პოეტზე.

ამგვარი ბრალდებით „დაღდასმული“ ლადო ამაოდ დადიოდა დაწესებულებიდან დაწესებულებაში სამუშოს საძიებლად, მაგრამ მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილ „მტრის შვილს“ ხელს არავინ უმართავდა.

1938 წლიდან მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა, რეპრესიების ტალღამ თითქოს გადაიარა. 1938 წლის 29 მარტს კი საქალაქო კომიტეტის დადგენილებით ლადო ასათიანი ინსტიტუტში აღადგინეს.

1938 წლის ზაფხულიდან ლადო ასათიანი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, თანამშომლობდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციასთან. მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „პიონერში“ და სხვ.

1938-39 წლებში პოეტი მუშაობდა გაზეთ „ნორჩ ლენინელში“, აქვეყნებდა ლექსებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ წერილებს. სტატიები მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, შიო მღვიმელის, უოლტერ სკოტის, ჟორჟ სანდის და სხვათა შემოქმედებას.

1939 წელს ლადო ასათიანი არმიაში გაიწვიეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო თბილისში დააბრუნეს. იგი ტუბერკულიოზით იყო დაავადებული, არაერთი თვე გაატარა აბასთუმანში, მაგრამ ვერ განიკურნა.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წელს სრულიად ახალგაზრდა, 26 წლისა. იგი დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

აქტივობა 4 — წაკითხულის გააზრება (5 წუთი):

გაანალიზდება, რას უძღვნის პოეტი ამ ლექსს ***(ქართულ ენას)***, ლექსის მიხედვით, ვინ და სად გააჩინა ქართული ენა ***(„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ“),*** რას უწოდებს მწერალი ქართულ ენას? („***ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“),*** ვინ იგულისხმა პოეტმა „უძველეს ტომში?“ (***ქართველებ***ი), რატომ? ***(ქართველ ხალხს დიდი ხნის ისტორია აქვს)...„***

აქტივობა 5 — საშინაო დავალება (2 წუთი):

ლადო ასათიანის „ქართული ენა“, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ზეპირად ლექსიდან ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ; „აქტივობების რვეულიდან“ შეასრულონ წერილობით დავალება „ერთად ავაგოთ ტექსტი“.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — შესრულებული დავალების პრეზენტაცია (6 წთ.):

მოსწავლეები კითხულობენ საშინაო დავალებას, იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმებს, მასწავლებლის კომენტარის მოსმენის შემდეგ აფიქსირებენ – რა გაუჭირდათ წერისას, რას დაიმახსოვრებენ და გაითვალისწინებენ მომავალში ამ შენიშვნებიდან.

აქტივობა 2 — ლექსის გამომეტყველებითი კითხვა და ანალიზი (7 წთ.):

მოსწავლეები ზეპირად წარმოთქვამენ იმ ადგილს, რომელმაც მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, ასაბუთებენ თავიანთ აზრს – რატომ შეაჩერეს არჩევანი ამ მონაკვეთზე, რა მოეწონათ და რატომ... ვარჯიშობენ ლექსის გამომეტყველებით კითხვაზე, ყურადღება მახვილდება ინტონაციაზე, ტემპზე, პაუზებზე, ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ მახვილებზე, გამოიყენება **გუნდური** და **გამოკრებითი კ**ითხვაც:

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ლექსიდან ის ადგილები, სადაც აღწერილია საქართველოს ბუნება: (***„შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა“, „მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა“, „გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება“, „მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს“, „ვარსკვლავი ცაზე როგორ მოგზაურობს“...);***

— რასთან არის შედარებული ცხვრის ფარა? (***ნისლთან, ჯანღთან***);

— რა ნიშნით არის შედარებული? ***(ორივე თეთრია, ორივე მთის კალთაზეა შეფენილი).***

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ლექსში ის ადგილი, სადაც პოეტი საქართველოს ისტორიაზე, წარსულზე მიგვითითებს (***„უძველესმა ტომმა დღემდე მოიმღერა,“ „ქართული ფარის ფარზე დაჯახება“, „სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ ურო“... „ციხეკოშკის ჩრდილში... ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ...“).***

— რა სიტყვებით მოიხსენიებს პოეტი ქართულ ენას? („***სიყვარულის ლექსის, სადღეგრძელოს ენა“, „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“...).***

აქტივობა 3 — წაკითხულის გააზრება და შეფასება(7 წთ.):

— პოეტის რა განწყობა ჩანს ლექსში? ***(აღმაფრენისა და სიამაყის).***

— რა უქმნის პოეტს ასეთ განწყობას? (***ქვეყნის წარსული, სამშობლოს სიყვარული).***

— რატომ უწოდებს პოეტი ქართულ ენას „ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენას?“ ***(მას ძალიან უყვარს და მოსწონს თავისი მშობლიური ენა).***

— რომელი ენაა პოეტის მშობლიური ენა? (***ქართული ენა***).

— მშობლიური ენის აღსანიშნავად ქართველები რომელ სიტყვას იყენებენ კიდევ? ***(დედაენას).***

— როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებენ ქართველები მშობლიურ ენას **„დედაენას?“** გაიხსენეთ სხვა სიტყვებიც, რომლებიც ასევე „დედასთან“ არიან დაკავშირებული ***(დედასამშობლო, დედაქალაქი, დედამიწა...).***

— რისთვის არის ენა საჭირო? (***საუბრისათვის, ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად, საკუთარი აზრის გამოსახატავად***...).

ეძლევა დასკვნა—ენა ადამიანთა აზრის გამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ქართველთა დედაენა, მშობლიური ენა ქართულია. ეს ლექსიც სწორედ დედაენას ეძღვნება.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მეცნიერები ძირითადად ენის ორ ფუნქციას — **აზრის გამოხატვისა** და **საკომუნიკაციოს**— გამოყოფენ. თუმცა ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი აღიარებს ენის მესამე ფუნქციასაც – **საშემეცნებოს.** ამ შეხედულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ყოველ ენაში მოცემულია სამყაროს აღქმისა და შემეცნების გარკვეული მოდელი, რომელიც თითოეულ ენაში თავისებურია და არ ემთხვევა არც ერთ სხვა მოდელს (ენა მსოფლხატია). ენები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა ბგერადობის სიტყვებით აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას, არამედ იმითაც, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის თვით ეს ცნებებია განსხვავებული და სხვადასხვა მიმართება აქვთ მომიჯნავე ცნებებთან. საილუსტრაციოდ კმარა „დედაენაც“, რომელიც „მშობლიური ენის“ (პირველი ენის, საბაზისო ენის) აღსანიშნავად მოეპოვება ქართულს.

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (8 წთ.):

ა) ომონიმებზე დაკვირვება:

— ტექსტში ორი ისეთი სიტყვაა, რომლებიც გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს, მნიშვნელობა კი განსხვავებული აქვს. რომელია ეს სიტყვები? ***(„გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება“, „ქართული ფარის ფარზე დაჯახება“, - პირველ შემთხვევაში საუბარია ცხვრის ფარაზე, მეორე შემთხვევაში – საბრძოლო იარაღზე).*** ხომ არ გაიხსენებდით სხვა ასეთ სიტყვებსაც? (***ბარი – სამეურნეო იარაღი, ბარი – დაბლობი ადგილი...).***

ბ) სახელთა წარმოქმნაზე დაკვირვება:

— რას აღნიშნავს **ჯაგი?** (*ეკლიან ბუჩქს*). **ჯაგნარი?** (*ადგილს, რომელიც ჯაგებით არის დაფარული).*

— მიიღეთ ახალი სიტყვები: **ბუჩქი** – (*ბუჩქნარი*), **ნაძვი** *(ნაძვნარი*), **ფიჭვი** *(ფიჭვნარი*), **ყვავილი** *(ყვავილნარი).* რა განსხვავებაა ამ სიტყვებს შორის? (***პირველი აღნიშნავს მცენარეს, მეორე კი ადგილს, სადაც ეს მცენარეები მრავლად ხარობს***).

გ) სიტყვათა მართლწერაზე დაკვირვება:

— მოძებნეთ ტექსტში რთული სიტყვები და დააკვირდით, როგორ იწერება ისინი (***ციხე-კოშკი – იწერება დეფისით, ღამისმთეველი — იწერება ერთად).*** შეადგინეთ და დაფაზე დაწერეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

— მოძებნეთ ტექსტში არსებითი სახელი, რომელც **ორი მ**-თი იწერება (ტომმა). რატომ იწერება აქ **ორი მ?** (***ერთი ფუძისეულია, მეორე – მოთხრ. ბრ-ის ნიშანი).*** სხვა ასეთ მაგალითებსაც ხომ არ გაიხსენებთ?

აქტივობა 5 — შეჯამება(7 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა ისწავლეს ამ გაკვეთილზე ახალი (***შეისწავლეს ლადო ასათიანის ლექსი „ქართული ენა“, დაეუფლნენ გამომეტყველებითი კითხვის ჩვევას, ააგეს ტექსტები მოცემულ თემაზე, გაეცნენ მშობლიური ენის რაობას, შეასრულეს სავარჯიშოები...),*** შეიძლება შეივსოს სქემაც:

რა ვიცოდი ქართული ენის შესახებ	**რა გავიგე**	**რისი გაგება მაინტერესებს**

აქტივობა 6 — შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას აუცილებლად ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა***)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%***

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 წთ.):

საშინაო დავალებად ეძლევათ ლადო ასათიანის ლექსი „ქართული ენა“; ასევე, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც ქართულ ენას ეძღვნება.

შედეგების კოდი:

V1 — მოსწავლე წარმოადგენს/აფასებს ზეპირ ტექსტს თემაზე: „ზაფხულის არდადეგების ერთი დღე...“

V2 — იყენებს ზეპირი ტექსტის მოძებნისა და მომზადების სტრატეგიებს (რიგითობა, რეგლამენტი, ეტიკეტი, ერთმანეთისათვის კითხვების დასმა, გეგმის შედგენა წინასწარი გამოსვლისათვის...);

V3 — იყენებს და ადეკვატურად აფასების თანატოლების ზეპირ გამოსვლას;

V6 — ავლენს წაკითხული ტექსტის („ქართული ენა“) ინტერპრეტაციის უნარს, ავლებს პარალელებს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;

V8 — ლექსის კითხვისას იყენებს კითხვის სტრატეგიებს;

V9 — ქმნის წერილობით ტექსტს („როგორ გავატარე ზაფხული...“), წერისას აქცენტს აკეთებს მთავარსა და არამთავარ საკითხებზე;

V11 — წერის დაწყებამდე ირჩევს თემას, სათაურს შეუსაბამებს შინაარსს, ადგენს გეგმას;

V12 — ტექსტის აგების შემდეგ წაიკითხავს და ჩაასწორებს მას, იყენებს კორექტირების მარტივ ხერხებს.

გ. მაისურაძის „სადღეგრძელო“, *არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები, სიტყვათწარმოება*

მიზნები

— ტექსტის კითხვა და ანალიზი
— წაკითხულის გააზრება და შეფასება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— გაბმული თხრობის ჩვევის ფორმირება
— გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
— კრიტიკული აზროვნების განვითარება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება
— სიტყვათწარმოებაზე დაკვირვება (პრაქტიკულად)

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება — პროვოცირება:

მასწავლებელი ტექსტიდან გამომეტყველებით კითხულობს შემდეგ მონაკვეთს:

„ერთხელ რუსი პოეტი სერგეი ესენინი საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა. ქართველმა პოეტებმა გულითადად უმასპინძლეს საპატიო სტუმარს. იგი ჯერ კოჯრის ციხეზე აიყვანეს, საიდანაც დიდებულად ჩანდა დათოვლილი კავკასიონი, ბებერი თბილისი, მწუხარე მარაბდა, დაუვიწყარი დიდგორი. მერე დიდებული ბეთანიის მონასტერში დიდებული თამარის ხატი ინახულეს.“

მოსწავლეებს სთხოვს ყურადღებით მოუსმინონ და შემდეგ პასუხი გასცენ კითხვებს:

— როგორ ფიქრობთ, რატომ წაიყვანეს ქართველმა მასპინძლებმა რუსი სტუმარი კოჯრის ციხეზე? რის ჩვენება სურდათ მისთვის? თქვენი აზრით, რა შთაბეჭდილებას მიიღებდა რუსი პოეტი ამ ადგილების ხილვის შემდეგ?

კლასს ჰყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ავალებს წარმოადგინოს პასუხის საკუთარი ვერსია და დაასაბუთოს თავისი აზრი.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

სერგეი ესენინი (1895—1925 წ.წ.) — ცნობილი რუსი პოეტი, საქართველოში იმყოფებოდა 1924-1925 წლებში ექვსი თვით, რაც მისთვის ძლიერი შთაგონების წყარო გახადა. აქ შექმნა მან 30-ზე მეტი ნაწარმოები. გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ პოეტებთან: ტ. ტაბიძესთან, პ. იაშვილთან, ვ. გაფრინდაშვილთან. წინამდებარე ტექსტშიც სწორედ საქართველოში სტუმრობისა და ქართველი პოეტების მასპინძლობის ეს ეპიზოდია აღწერილი.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა კლასის აქტიური მონაწილეობით აიხსნება გაუგებარი ლექსიკური ერთეულები და შესიტყვებანი. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა, მოსწავლეთათავის გაუგებარი შეიძლება აღმოჩნდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები:

მდელო — პატარა მინდორი
დუქანი — წვრილი სავაჭრო ან პატარა სასადილო
საღამოსპირას — შეღამებისას
ჩემო ძმისწულო — მიმართვის ფორმაა, რომელშიც მთქმელი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მოსაუბრისადმი
ღვედი — მოქნილი ტყავის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი

დაისმის ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები:
— ვისი სტუმრობაა აღწერილი ტექსტში? ვინ იყვნენ მისი მასპინძლები?
— რა მასპინძლობა გაუწიეს მათ სტუმარს?
— რა მოჩანდა კოჯრის ციხიდან?
— რა აჩვენეს სტუმარს ბეთანიის ეკლესიაში?
— სად გაშალეს პოეტებმა სუფრა? ვინ მიიპატიჟა ესენინმა სუფრასთან?
— რა სადღეგრძელოები მოისმინა მან ქართველი გლეხებისაგან?
— რამ აატირა რუსი პოეტი?..

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება და შეფასება:

— თქვენი აზრით, რატომ წაიყვანეს ქართველმა პოეტებმა რუსი სტუმარი კოჯრის ციხეზე? ბეთანიის ეკლესიაში? რის ჩვენება სურდათ მათ რუსი პოეტისათვის? როგორ ფიქრობთ, რატომ გაუჩნდათ ქართველ პოეტებს რუს სტუმართან თავმოწონების სურვილი?

— რამ მოახდინა სტუმარზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ქართველების რა თვისებები ჩანს ამ ტექსტიდან? *(სამშობლოს სიყვარული, მისი წარსულით თავისმოწონება, კარგი სტუმარმასპინძლობა, ენამჭევრობა, დროსტარებისა და ქეიფის სიყვარული...)*

— ამ თვისებებიდან რომელი მოეწონა რუს სტუმარს ყველაზე მეტად? საიდან ჩანს ეს? მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში სათანადო ადგილი.

— რა არის მთავარი ამ მოთხრობაში? შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი აზრი (*სწორი პასუხია* ***ბ***).

— წარმოიდგინეთ, რომ რუსი სტუმრის მასპინძლობა დღეს თქვენ გიწევთ. რას აჩვენებდით მას? (*ეს დავალება კლასს შეიძლება შევთავაზოთ ჯგუფური მუშაობისათვის*).

აქტივობა 4 — ტექსტის ჩუმი კითხვა და გეგმის შედგენა.

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ჩუმად, ნაწილ-ნაწილ და ასათაურებენ მას („აქტივობების რვეული“, დავალება №2), გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ისტორიული ადგილების ჩვენება რუსი სტუმრისთვის
ბ) პოეტების ლხინი
გ) მეურმეთა ენამზეობა/სადღეგრძელოები
დ) ესენინის ატირება/სტუმრის ტირილი...

აქტივობა 5 — გაბმულ მეტყველებაში ვარჯიში.

ამ გეგმის მიხედვით მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ — მთლიანად გაბმული თხრობით.

აქტივობა 6 — ტექსტის აგება — წერა: რა ატირებდა ესენინს („აქტივობების რვეული“ დავალება №3)

აქტივობა 7— ენობრივ მასალაზე მუშაობა.

ა) არსებითი სახელის შინაარსობრივ ჯგუფებზე დაკვირვება:

მასწავლებელი კლასს საანალიზოდ სთავაზობს ნაწყვეტს ტექსტიდან:

„ერთხელ რუსი პოეტი სერგეი ესენინი საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა. ქართველმა პოეტებმა გულითადად უმასპინძლეს საპატიო სტუმარს. იგი ჯერ კოჯრის ციხეზე აიყვანეს, საიდანაც დიდებულად ჩანდა დათოვლილი კავკასიონი, ბებერი თბილისი,

მწუხარე მარაბდა, დაუვიწყარი დიდგორი. მერე ბეთანიის მონასტერში დიდებული თამარის ხატი ინახულეს.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, სამადლოზე თეთრ დუქანში ისადილეს. სტუმრის თხოვნით სუფრა გზისპირა მდელოზე გააშლევინეს".

ავალებს ამ ტექსტში მოძებნონ არსებითი სახელები. გაარკვიონ, მათ შორის რომელია: ა)**ადამიანის საკუთარი სახელები** (*ესენინი, თამარი*), ბ) **გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი სახელები** (*საქართველო,კოჯორი, თბილისი, მარაბდა, დიდგორი, ბეთანია, სამადლო*). ეძლევა დასკვნა: ***სახელი შეიძლება იყოს ორგვარი: საკუთარი და საზოგადო. საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ საგანს, საზოგადო კი ერთნაირ საგანთა სახელია.***

წერილობით სრულდება დავალებები №4 და №5 („აქტივობების რვეული").

ბ) სახელთა წარმოქმნაზე დაკვირვება:

ორ სვეტად ჩამოიწერება ***ძირეული*** და ***წარმოქმნილი*** არსებითი სახელები:

ურემი — მე-ურმ-ე
მანქანა — მე-მანქან—ე
თევზი — მე-თევზ-ე
ბაღი — მე-ბაღ-ე
ფუტკარი — მე-ფუტკრ-ე
ნახირი — მე-ნახირ-ე

მოსწავლეთა დახმარებით გაირკვევა, რომ პირველ სვეტში ჩამოწერილი სიტყვები აღნიშნავს საგანს და მას დაესმის კითხვა **რა**? ხოლო მეორე სვეტში ჩამოწერილი სიტყვები კი ხელობის აღმნიშვნელია და დაესმის კითხვა **ვინ**? *(სხვა **ტერმინების—ძირეული, წარმოქმნილი, წარმომქმნელი აფიქსები—მიწოდება** ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია).* წერილობით სრულდება დავალება №4.

შედეგების კოდი: V1, V4, V5, V7, V9, V10.

იაკობ გოგებაშვილის *,,იავნანამ რა ჰქმნა!?'' (თავები: „სამშობლო ღვინისა“, „სოფელი ვაშლოვანი“, „ლეკები კახეთში“), სალიტერატურო ენა და დიალექტები, სიტყვათა წარმოქმნა (წინა ვითარების სახელები — ტერმინის გარეშე) — 2 სთ.*

მიზნები

— ზეპირი გამოსვლისათვის მზადება
— აღწერითი ტექსტის აგება
— ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
— საკუთარი აზრის დასაბუთება
— კრიტიკული აზროვნების განვითარება;
— სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა
— გაბმული მეტყველების განვითარება
—ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— დიალექტიზმებზე დაკვირვება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისთვის მზადება (4-5 წთ.):

მასწავლებელი დაფაზე წერს ფრაზას***: „ქართული ენა ჩვენი დედაენაა.“***

სვამს კითხვას:

— რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ამ წინადადებაში სიტყვა **დედაენა**? (***მშობლიური ენის მნიშვნელობით).***

— კიდევ რას აღნიშნავს ეს სიტყვა? ვინ არის „დედა ენის“ ავტორი? რა გსმენიათ მის შესახებ? (ეს დავალება კლასს მიეცემა ჯგუფური მუშაობისთვის. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს პასუხის საკუთარ ვარიანტს. მოსწავლეები ავსებენ და აფასებენ ერთმანეთის პასუხებს).

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

იაკობ გობებაშვილი (1840-1912) —ქართველი პედაგოგი, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში სოფ. ვარიანში (გორის მაზრა), სწავლობდა ჯერ გორში, შემდეგ კი — თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1863 წელს იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ამის გამო 1874 წ იგი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, მეფის ხელისუფლებამ გაათავისუფლა სამსახურიდან, ამის შემდეგ აღარსად უმუშავია, ეწეოდა საზ. საქმიანობას, იბრძოდა ქართული სახალხო სკოლის შექმნა-დამკვიდრებისათვის, იცავდა რეალური განთლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით, აქტიურად იყო ჩაბმული წერა-კითხვის

გამავრც. საზ-ბის მუშაობაში. მისთვის მთავარი პედ. პრინციპი იყო **ხალხურობის პრინციპი**, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობაში. პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, საკითხავი მასალაც სწორედ ამ პრინციპებით აქვს შერჩეული, ამის ნიმუშია „იავნანამ რა ჰქმნა?!"-ც. მის მოთხრობებში აღმზრდ. დიდაქტიკური მოტივები ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. მისი მოთხრობები მოზარდებს შთააგონებდა სამშობლოს ისტორიის პატივისცემას, მისთვის თავდადებას, ჰუმანიზმს, ეროვნებათა და რელიგიათა შორის ურთიერთშემწყნარებლობასა და ტოლერანატობას. შემთხვევითი არ არის წარწერა მის „დედა ენაზე": „ყველა სარწმუნოების ქართველთათვის". განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში: **„ქართული ანაბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" (1863-1868 წ.წ.), „დედა ენა", (1876- 1912 წ.წ.), „ბუნების კარი" (1868 —1912 წ.წ), „რუსკოე სლოვო" (1887წ.)...** მანვე შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ სინამდვილეში წერა-კითხვის სწავლების ის პრინციპები, რომლებიც დღესაც საფუძვლად ედება ქართული ანბანის სახელმძღვანელოებს (ლიტ-რა: ქ ს ე, ტ. III, გვ. 196; ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1957, გვ. 76-79...).

მასწავლებელი კლასს წააკითხებს ი. გოგებაშვილის სიტყვებს:

„დედაენის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერი ღონით და მხნეობით".

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი (15-18 წთ.):

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. გამომეტყველებით წაიკითხავს I თავს. ტექსტის ეს ნაწილი აღწერითია და მასწავლებელმა ამის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს სათანადო ინტონაცია, ტემპი, პაუზები, მახვილები... კითხვის პროცესშივე ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს:

ცივი — მთის სახელწოდებაა *(მდებარეობს გომბორის ქედის შუა მონაკვეთზე მდინარეების: კისისხევისა და თურდოს — ზემო დინებათა წყალგამყოფზე)*

ზვარი — ვენახი

დაღესტანი — ქვეყანა ჩრდილოეთ კავკასიაში *(აქ ცხოვრობს დაახლოებით 30 ხალხი და ეთნოგრაფიული ჯგუფი, მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან ხუნძები, დარგუელები, ყუმუხელები, ლეკები, ლაკები, ჩეჩნები...)*

მიჯნა — საზღვარი

ქვიტკირი — საშენი მასალა, ქვა და კირი ერთად შედუღაბებული

ნაშთი — რაიმეს არსებობის კვალი, ადრე არსებულის ნარჩენი

ტექსტის ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს:

— საქართველოს რომელი ნაწილია აღწერილი ამ ტექსტში? ***(აღმოსავლეთი – „თბილისიდან რომ აღმოსავლეთით წახვიდე..."***)

— მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც კახეთის ველია აღწერილი ***(„ეს სწორე ვაკე ...").***

— რა ნაწილებად ჰყოფს მდინარე ალაზანი კახეთს? ***(„აქეთა ნახევარს ჰქვია***...").

— რა ქვეყანა ესაზღვრება კახეთს? (***დაღესტანი).***

— რა ჰყოფს კახეთს დაღესტნისაგან? ***(მთები***).

— რა მოჩანს გაღმა მხარეს? (***„ერთ ადგილას მთის ძირში"...)***

— რაზე მიგვითითებს ეს ნაშთები?

— რაზე მიგვანიშნებს ამ თავის სათაური „სამშობლო ღვინისა"? ***(იმაზე, რომ ამ თავში საუბარი იქნება ღვინის იტორიულ სამშობლოზე—კახეთზე)***;

—რატომ უწოდებენ ამ კუთხეს „ღვინის საშობლოს?“ თუ არის ამის შესახებ მინიშნებები ტექსტში? წაიკითხეთ სათანადო ადგილები. (***„ზღვა ვენახებისა და ზვრებისა’’)***;

ტექსტის მეორე და მესამე თავებს კითხულობენ მოსწავლეები და გზადაგზა „სიტყვის სალაროსა“ და მასწავლებლის დახმარებით ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს:

პურადობა — სტუმართმოყვარეობა
სახლობა – აქ: ოჯახი
თარი — აღმოსავლური მუსიკალური საკრავი
უღალავი — დაუღლელი
მასზე ამოსდიოდა მზე – ძალიან უყვარდა
საზოგადოდ — აქ: საერთოდ
ლეკები —დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდებაა, *(მასში იგულისხმებიან არა თავად ლეკები/ლეზგები, არამედ დაღესტნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები. მათი გამუსულმანება ინტენსიურად იწყება მე-17 საუკუნიდან).*
ნაბდეულობა — მოთელილი მატყლისგან დამზადებული ნაკეთობანი; **ნაბადი** — მოთელილი მატყლისგან დამზადებული წამოსასხამი
ნასოფლარი— ადგილი,სადაც ძველად სოფელი იყო
ღელე— აქ: ხევი
ამოჩუხჩუხებდა— ამოდიოდა
კაცთმოყვარე— ადამიანების მოყვარული
სანოვაგე— საჭმელი
კარგად გასინჯო— აქ: დააკვირდე
გაარჩევ — აქ: აღმოაჩენ
აყრილი ტყე —ხშირი ტყე
შეფენილი მთა—დაფარული მთა
ოქროს გული— კეთილი, მოსიყვარულე გული
რუსეთისკენ გაწევა —რუსული ორიენტაცია, რუსეთს მიკედლება, რუსეთის არჩევა

ტექსტის წაკითხვის შემდეგ იწყება გამოკრებითი კითხვა:

— როგორ აღწერს მწერალი სოფელ ვაშლოვანს?(„***დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ კი ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მიწიდან ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო, მართლაც, მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა კახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ეხლა კახეთია ჩაფლული“);***

— რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა? (***მიგვანიშნებს სიტყვები ტექსტიდან „ძველს დროში’’, აგრეთვე: ნასოფლარი, ნაშთები...***);

— ვისი ოჯახია ამ ტექსტში აღწერილი?***(თავად ზურაბ ქართველაძის***) —ქართველაძეთა რა თვისებებზე მიგვანიშნებს მწერალი?(***კაცთმოყვარეობა ზე).*** —თუ ჩანს მწერლის დამოკიდებულება ამ ოჯახისადმი? საიდან ჩანს ეს? (***ეს ჩანს მაგდანის დახასიათე-***

ბაში, მწერალი მას უწოდებს „ოქრო გულის პატრონს“);

— რის შესახებ არის საუბარი ტექსტის მესამე თავში? (ს***აუბარია ლეკებზე , მათ ურთიერთობაზე კახელებთან, ვაჭრობაზე ამ ორ ხალხს შორის);***

— როგორი დამოკიდებულება იყო ქართველებსა და ლეკებს შორის ძველად? ***(კეთილმეზობლური).*** როდის გაფუჭდა მათ შორის ურთიერთობა? ***(მას შემდეგ, რაც ისინი გამაჰმადიანდნენ, ხოლო საქართველომ კი რუსეთისაკენ აიღო გეზი).*** რა გახდა ამ ორ ხალხს შორის მტრობის მიზეზი? (***სარწმუნოების შეცვლა ლეკთა მხრიდან და საქართველოს რუსული ორიენტაცია);***

აქტივობა 3 — წაკითხულის გააზრება (5-6 წთ.):

გაირკვევა ვინ არის ნაწარმოების ავტორი (***ი. გოგებაშვილი***) , რომელ დროს შეეხება ნაწარმოებში აღწერილი ამბავი (***იმ დროს, სანამ ქართველები „რუსეთისაკენ გაიწევდნენ“***), რა არის ნაწარმოების ამ სამ თავში მთავარი ***(კახეთისა და ქართველაძეები ოჯახის, აგრეთვე — ძველ დროში ქართველებსა და ლეკებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღწერა.).***

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

რთული სიტყვების ორთოგრაფიაზე მუშაობა (9-10 წთ.): მოძებნეთ ტექსტში რთული სიტყვები და გაიხსენეთ როგორ იწერება ისინი:

კაცთმოყვარე, ქვიტკირი...

— როდის იწერება რთულ სიტყვაში დეფისი (-)?*(როდესაც მათ შორის და კავშირი ჩაისმის).*

„აქტივობების რვეულიდან“ წერილობით სრულდება დავალება №4.

აქტივობა 5 — შეჯამება-შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს : ა) პრაქტიკული მუშაობა ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა)—35%; გ) პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25% .

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.):

ტექსტის პირველი სამი თავი. „აქტივობების რვეულიდან“ სავარჯიშო №2 — მეორე თავის მიხედვით შეადგინეთ გეგმა.

გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) სოფელი ვაშლოვანი

ბ) ზურაბ ქართველაძის ოჯახი

გ) მუსიკალური ცოლ-ქმარი

დ) ცოლ-ქმრის ბედნიერება

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის დაყოფა ნაწილებად და შინაარსის გადმოცემა (7 წუთი):

აქვე მასწავლებელი ამოწმებს წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას — მოსწავლეებს წერილობით უნდა შეედგინათ II თავის გეგმა. I და III თავებს კი მოსწავლეები კლასშივე ყოფენ ცალკულ ნაწილებად და ადგენენ გეგმას:

I თავი:
ა) კახეთის ადგილმდებარეობა
ბ) ნასოფლარი

III თავი:
ა) ქართველებისა და ლეკების ურთიერთობა ძველად
ბ) ქართველებისა და ლეკების ურთიერთობა მათი გამუსულმანების შემდეგ

მოსწავლეები ამ გეგმის მიხედვითა და მასწავლებლის დახმარებით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი მთლიანად, გაბმული თხრობით.

აქტივობა 2 — აღწერითი ტექსტის შექმნა (10-12 წუთი):

— წაიკითხეთ მეორე თავის პირველი აბზაცი. ***(„ძველს დროში ამ ადგილას ჰყვაოდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ კი ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მიწიდან ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვითკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყოო).***

რომელი ზედსართავი სახელები გვხვდება აქ?(***მოზრდილი, ხშირი, შეძლებული, აყრილს, ვეებერთელა, ანკარა, ყინულივით, ცივი, საყვარელი***), რა მოხდება, თუ თხრობისას ზედსართავ სახელებს არ გამოვიყენებთ? (***ტექსტი იქნება უემოციო და მშრალი).*** რა მიზნით იყენებს მწერალი აქ ამ ზედსართავ სახელებს? (***რათა უფრო ზუსტი და გამომსახველი გახადოს თხრობა).***

— რომელ ზედსართავ სახელებს გამოიყენებთ იმ ქალაქის (***სოფლის***) აღწერისათვის, სადაც თქვენ ცხოვრობთ? (***მაგ. თბილისი — უძველესი, დიდი, ლამაზი, თბილი და ხმაურიანი, ხალხმრავალი...)***.

— სად მდებარეობს თქვენი ქალაქი (სოფელი)?
— რომელი მდინარე ჩამოუდის მას?
— რომელი ქალაქი (სოფელი) ესაზღვრება მას?
— როგორია იგი? რა არის მასში განსაკუთრებული?
— რა ღირშესანიშნავი ადგილებია იქ?
— რა გსმენიათ (წაგიკითხავთ) მის შესახებ?..

შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას — შეადგინონ ტექსტი ზეპირი გამოსვლისათვის: „ჩემი ქალაქი (სოფელი)“. იგი წინასწარ შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ამისათვის **საჭიროა გეგმის შედგენა; გეგმა უნდა ჩამოწერონ,**

თხრობისას უნდა დაიცვან თანმიმდევრობა, შინაარსი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მის სათაურს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წაუკითხონ ამხანაგებს და მოისმინონ მათი შეფასება *(შეიძლება ეს მითითებები ბარათებზე გავაფორმოთ „სამახსოვროს“ სახით და დავურიგოთ მოსწავლეებს).*

მოსწავლეები ახდენენ საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას და ისმენენ ამხანაგებისა და მასწავლებლის შეფასებებს.

აქტივობა 3 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (12-13 წთ.):

ა) წინა ვითარების სახელები

— მწერალი ვაშლოვანს „**ნასოფლარს**“ უწოდებს. როგორ ფიქრობთ, რატომ? (***იმიტომ, რომ აქ ადრე სოფელი იყო, რომელიც ახლა აღარ არსებობს).*** რა ეწოდება ადგილს, სადაც ადრე **ქალაქი** იყო? (***ნა-ქალაქ-არ-ი — წერს ამ სიტყვას დაფაზე),*** სადაც ადრე **ვენახი** იყო? (***ნა-ვენახ-არ -ი***), სადაც **სახლი** იყო? (***ნა-სახლ-არ-ი).*** სხვა ამგვარ სიტყვებსაც ხომ არ გაიხსენებთ? შევადგინოთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

ბ) დიალექტიზმებზე დაკვირვება:

— სად ხდება ტექსტში აღწერილი ამბავი? სად ცხოვრობს ზურაბ ქართველაძე? ***(კახეთში***). საქართველოს რომელი კუთხიდან არის მაგდანი? (***ქართლიდან***). საქართველოს რომელ კუთხეებს დაასახელებთ კიდევ? რა ენაზე საუბრობენ ამ კუთხის მაცხოვრებლები? (***ქართულად).*** თუ არის განსხვავება საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა საუბარში? ***(არის)***. სად, საქართველოს რომელ კუთხეში იყენებენ სიტყვებს: ***დიდედა? ბაბო? პაპა? ძალო?*** (***ქართლში, კახეთში...), ბჟოლა? კვახი? კვატი?.. (იმერეთში, გურიაში...).***

ეძლევა დასკვნა: კუთხურ მეტყველებას დიალექტი ჰქვია. ***ბაბო, ბჟოლა, კვახი, კვატი... დიალექტური ფორმებია.***

მასწავლებელი აქვე ავარჯიშებს კლასს დიალექტური ფორმების სალიტერატურო ქართულის ფორმებით ჩანაცვლებაზე. სრულდება დავალება №5.

—ტექსტში ნახსენები არიან ლეკებიც. მათაც საკუთარი ენა აქვთ. სად არის გავრცელებული ლეკური ენა***? (დაღესტანში)***

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ლეკური (ლეზგიური) ენა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნის ჯგუფის ახალდამწერლობიანი ენა. გავრცელებულია დაღესტნის ა/რ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აგრეთვე აზერბაიჯანის ზოგიერთ სოფელში. ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 110 ათასი კაცი.

აქტივობა 4 — შეჯამება (8 წუთი):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ამ გაკვეთილზე ახალი (***მიიღეს ინფორმაცია ქართველებისა და ლეკების ისტორიული ურთიერთობის შესახებ; დაღესტნისა და ლეკური/ლეზგიური ენის შესახებ; აღწერეს საკუთარი ქალაქი/სოფელი, გაიგეს, რა მიმართებაა სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის...).*** აქვე შედგება სქემაც:

რა ვიცოდი ლეკების შესახებ	**რა გავიგე**	**რისი გაგება მაინტერესებს**

აქტივობა 5 — შეფასება (3 წუთი):

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს.

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წუთი):

„იავნანამ რა ჰქმნა?!“ პირველი სამი თავი თხრობით, დასაწერად: დავალება 3 — გადმოეცი წერილობით II თავის შინაარსი.

შედეგების კოდი:

V1 — მოსწავლე ქმნის ზეპირ აღწერით ტექსტს თემაზე: „ჩემი ქალაქი“ („ჩემი სოფელი“);

V3 — წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარმოადგენს მარტივ აღწერით ტექსტს, ისმენს და აფასებს თანატოლების ზეპირ გამოსვლას ამ საკითხთან დაკავშირებით, მოიძიებს სხვადასხვა სახის (*ენციკლოპედია, მხატვრ. ლიტერატურა, ინტერნეტი*) სათანადო ინფორმაციულ მასალას ამ საკითხთან დაკავშირებით;

V4 — ავლენს მოძებნილი ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების საწყის უნარს, ასახელებს მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან და ასაბუთებს თავის აზრს;

V6 — მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ, აფასებს მარტივად ლიტერატურულ პერსონაჟებს;

V7 — ამოიცნობს ტექსტის ენობრივ თავისებურებებს (მწერლის ენისათვის დამახასიათებელ არქაიზმებს);

V9 — ქმნის წერილობით ტექსტებს (II თავის შინაარსი), აქცენტს აკეთებს მთავარ საკითხებზე („სოფელი ვაშლოვანი“, „ქართველაძეების ოჯახი“);

V10 — ტექსტის სათაურს შეუსაბამებს შინაარსს, იცავს თანმიმდევრობას ფაქტების გადმოცემისას;

V11 — მხატვრული ხერხების (ეპითეტი) გამოყენებისას გააზრებულად იყენებს სათანადო ზედსართავ სახელებს, აკეთებს ნაწერის კორექტურას.

***ალექსანდრე ყაზბეგის** „განათლებული მწყემსი“ (ამონარიდი „ნამწყემსარის მოგონებებიდან“, კრებითი სახელი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები, სხვადასხვა პირში თხრობა, ფრაზეოლოგიზმები — 2 სთ.*

მიზნები

— ზეპირი ტექსტის აგება მოცემულ თემაზე
— ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
—კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
—ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება
—გაბმულ თხრობაზე მუშაობა
—წერილობით თხზულებაზე მუშაობა,ნაწერის კორექტირება
—მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა
— კრებითი სახელის გამოყენებაზე დაკვირვება
— მარტივი სტილური ჩვევების ფორმირება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — ზეპირი ტექსტის აგება და პრეზენტაცია(7 წთ.):

მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეებს. საანალიზოდ აძლევს მუხრან მაჭავარიანის ერთ-ერთი ცნობილი ლექსიდან შემდეგ ფრაზას: **„ენა არ გაწყენს არც ერთი, უნდა იცოდე რამდენიც**“. კლასს ყოფს სამ ჯგუფად. ავალებს გაიაზრონ ფრაზის მნიშვნელობა, შეადგინონ ტექსტი ზეპირი გამოსვლისათვის და მოახდინონ მისი პრეზენტაცია. სამუშაოდ მიცემული აქვთ 4 წთ. წამმზომის ზარზე მოსწავლეები წყვეტენ მუშაობას და კლასს წარუდგენენ ზეპირი ტექსტის საკუთარ ვერსიას. აფასებენ და ავსებენ ერთმანეთის პასუხებს, საუბრობენ უცხო ენების სწავლების მნიშვნელობაზე, ასახელებენ ფაქტებს, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას.

აქ მასწავლებელი კლასის ყურადღებას ამახვილებს იაკობ გოგებაშვილის სიტყვებზე:

„მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ამარაო... ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები, მაგრამ არასდროს არ დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენას და შემდეგ შეუდგება უცხო ენების შესწავლას“.

ამ სიტყვებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები და მამულიშვილები, რომლებიც მშობლიურ ენასთან ერთად შესანიშნავად ფლობდნენ უცხო ენებსაც. ასე იყო ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაშიც, რომელსაც მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი უკვე იცნობს გ. შატბერაშვილის მოთხრობიდან „მოჩხუბარიძე“ *(ეს ტექსტი შეტანილი გვაქვს IV კლასის სახელმძღვანელოში).*

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა (12 წთ.):

მასწავლებელი კითხულობს ტექსტის პირველ აბზაცს,კითხვას განაგრძობს კითხვაში გაწაფული სამი მოსწავლე ***(თითო მოსწავლე თითო აბზაცს კითხულობს)***. განმეორებითი, ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. გამოიყენებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ,,სიტყვის სალაროს", აიხსნება აგრეთვე გამოთქმები: **დამტვრეული რუსული** —ცუდი რუსულით საუბარი; ცხვარი... **შევფინე მთაზე**— ცხვრის ფარა მთაზე გავუშვი; **გაშტერებით წამოიძახა** — გაოცებულმა წამოიძახა; **მომწადდა ხუმრობა** — გახუმრების სურვილი დამეუფლა, გახუმრება მომინდა; **თავი მომაწყინეს ყბედობით**— მომბეზრდა მათთან ტყუილუბრალო საუბარი; **ორივე გამომესალმა**— ორივე დამემშვიდობა...

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმული **პირველი დონის** კითხვების პასუხებს მოსწავლეები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ:

— რატომ გადაწყვიტა მწერალმა მეცხვარეობა? რით ხსნის იგი თავის გადაწყვეტილებას? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი ***(,,გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუმეორებლად თან სდევს.'').***

— რით გააოცა მან სტუმრები? რით ახსნა მან ფრანგულის ცოდნა? (***მან სტუმრები ფრანგულის ცოდნით გააოცა, მან ეს ასე ახსნა: ,,ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანგულად... მე სხვა ადგილებში ვიყავი მოჯამაგირედ, ამიტომ ცოტა გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანგებისაგანო")***

— რა წარმოდგენის იყვნენ უცხოელები მთიელებზე? შეძლო თუ არა მწერალმა მათი აზრის შეცვალა? ***(ქართველ მთიელებზე უცხოელების წარმოდგენა არცთუ სახარბიელო იყო; მიაჩნდათ, რომ ისინი იმდენად გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ, ათამდე ძლივს ითვლიდნენ. მწერალმა მათი შეხედულება ამ საკითხზე მთლიანად შეცვალა).***

— რომელი საუკუნის ამბავია აღწერილი ტექსტში? რა მინიშნებაა ამის შესახებ?

თქვენი აზრით, რატომ არ უთითებს მწერალი ზუსტად წელს? ***(ტექსტში მე-19 საუკუნის ამბავია აღწერილი, მინიშნებულია ,,18..", მწერალი ზუსტ წელს არ მიგვითითებს, რადგან ამას ამ ტექსტში მოთხრობილი ამბისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, 1870 წლის შემდეგ იგი 8 წლით წავიდა მწყემსად***).

აქტივობა 3 — ტექსტის ჩუმი კითხვა და გეგმის შედგენა (9 წთ.):

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ჩუმად, ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (აქტივობების რვეული, დავალება №2):

1. მწერლის მოულოდნელი გადაწყვეტილება;
2. ორი უცხოელის სტუმრობა;
3. ფრანგულად მოლაპარაკე მწყემსი;
4. გაოცებული სტუმრები;
5. უცნაური ტყუილი;

(გაგმის შედგენაში მონაწილეობს მთელი კლასი, დასახელდება თითოეული მონაკვეთის რამდენიმე სათაური და შეარჩევენ უკეთესს).

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (9 წთ.):

ა) სხვადასხვა პირში თხრობა —მოსწავლეები აკვირდებიან ვინ მოგვითხრობს ტექსტში აღწერილ ამბავს ***(მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი***), ვის უყვება (***მკითხველს***), ვის შესახებ ჰყვება (***საკუთარი თავის შესახებ),*** რომელ პირშია თხრობა (***I პირში***); მოსწავლეები შეეცდებიან გადმოსცენ მწერლის ნაამბობი III პირის ფორმებით.

ბ) კრებითი სახელი —უკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებას:

ცხენების **რემა**
ირმის **ჯოგი**
ცხვრის **ფარა**
თხის **არვე**
მგლის **ხროვა**

— რამდენ საგანს აღნიშნავს ეს სიტყვები: რემა, ფარა, ჯოგი, არვე, ხროვა?

ეძლევა განმარტება —არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, — კრებითი სახელია. ასეთებია:*ლაშქარი, ხალხი, ჯარი*... კრებით სახელს ზმნა მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა.

აქტივობა 5 —შეჯამება (3 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ,რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (***გაიგეს ვინ იყო ალექსანდრე ყაზბეგი, სად და როდის მოღვაწეობდა, როგორი განათლება ჰქონდა მას მიღებული, როგორ შეძლო მისმა ფრანგულმა ძირეულად შეეცვალა უცხოელთა ქედმაღლური დამოკიდებულება ჩვენი ხალხის მიმართ...)***

აქტივობა 6 —შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას აუცილებლად ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა***)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%***

აქტივობა 7—საშინაო დავალება (2 წთ.):

,, განათლებულ მწყემსში“ მოინიშნონ ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ; წერითი დავალება №4 — გადმოეცი ტექსტის შინაარსი III პირის ფორმით.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის შეფასება(4-5 წთ.):

გაკვეთილს ვიწყებთ წინა დღეს მიცემული დავალების (***მოინიშნონ ტექსტში ის ადგილი, რომელმაც ყველა ზე მეტად დააფიქრათ)*** ირგვლივ მსჯელობით. მასწავლებელი იმ მოსწავლეებს ასაუბრებს, რომელთაც განსხვავებული ადგილები აქვთ მონიშნული. მოსწავლეები გადმოსცემენ, თუ რატომ დააფიქრათ იმ ადგილმა, როგორი გუნება-განწყობა შეექმნათ მისი წაკითხვის დროს. ისინი შეავსებენ ერთმანეთის პასუხებს. ასევე მოწმდება წერითი დავალებაც.

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (10 წთ.):

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით:

— როდის მოხდა თხზულებაში აღწერილი ამბავი***?(მე-19 საუკუნეში***). საიდან ჩანს ეს? ***(ტექსტის დასაწყისში ნათქვამია: „18..'' წელს წავედი ცხვარშიო“***). რაში დასჭირდა ფუფუნებაში აღზრდილ ყმაწვილკაცს მეცხვარეობა? (***მას საკუთარი თავის გამოცდა უნდოდა, აკი ამბობს კიდეც: „მე 18... წელსა გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუმეორებლად თან სდევს)*** . რატომ მოატყუა ყაზბეგმა ფრანგი და ინგლისელი მოგზაურები? როგორ შეფასებას აძელევთ ამ ტყუილს? (***თავი დაიმდაბლა, თითქოს უბრალო მეცხვარე იყო და ამით მთიელ კაც ზე მაღალი წარმოდგენა შეუქმნა თავდაჯერებულ ევროპელებს —მისი ტყუილი გამართლებულია, ის მაღალ მიზანს ემსახურება),*** რატომ არ აიღო შეთავაზებული ფული ყაზბეგმა და როგორ გესმით მისი ასეთი საქციელი? ***(არ აიღო შეთავაზებული ფული იმიტომ, რომ ეს მის ღირსებას შეურაცხყოფდა, ერთი მანეთის საფასურად მთიელების პრობლემებზე საუბარი და უცხოელთა თავშესაქცევად მათ სადგომში მისვლა არ ყოფილა მოჩხუბარიძის მიზანი, ტყუილად არ ამბობს მწერალი „კარგა ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ისინიც მოიღალნენ და მეც თავი მომაწყინეს ყბედობით...'' —ამ უკანასკნელი სიტყვით თავის განწყობას გამოხატავს);*** რის თქმა უნდა მწერალს, რა არის ამ ნაწარმოების დედააზრი? (***მწერალს ამ ნაწარმოებით იმის თქმა უნდა, რომ უცხო ენების ცოდნა ადამიანს აძლევს საშუალებას უფრო და უფრო მეტ ადამიანს იცნობდეს, ამყარებდეს მათთან კარგ ურთიერთობებს, აცნობდეს მათ თავის სამშობლოს და ამაყად დგებოდეს სხვა განვითარებულ ეროვნებათა რიგში. ამ ნაწარმოების დედააზრი ემთხვევა ძველ გამონათქვამს — „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ“).***

მოსწავლეები ადრე შედგენილი გეგმის მიხედვით ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ გაბმული თხრობით.

აქტივობა 3 —ტექსტის გააზრება (7 წთ.):

— რამ გადააწყვეტინა ალექსანდრე ყაზბეგს მთაში უბრალო მეცხვარედ წასვლა? რით ახსნა მან თავისი ეს გადაწყვეტილება? ***(მას სურდა გაეცნო უბრალო ხალხის ყოფა, ეცხოვრა მისი ცხოვრებით, ყოფილიყო მათთან ახლოს, გამოეცადა მათი გაჭირვება).***

— როგორ ფიქრობთ, რას მისცემდა მომავალ მწერალს მეცხვარეებთან ასეთი დაახლოება? ***(ალბათ, მომავალში მათ ცხოვრებას უფრო ზუსტად აღწერდა)***.

— ყაზბეგის რა თვისება ჩანს ამ ნაწარმოებში? ***(თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სიყვარული, იუმორის გრძნობა...)***.

— როგორი წარმოდგენა დაგრჩათ ინგლისელ და ფრანგ მოგზაურებზე? ***(ისინი ამაყი ერების შვილები არიან, რომლებიც უცხო ქვეყნის ადამიანებს მხოლოდ გარეგნული იერით აფასებენ და არ ცდილობენ ამ ქვეყნების კულტურას უფრო ღრმად ჩასწვდნენ და აღმოაჩინონ სულით მდიდარი ადამიანები).***

— რატომ ამბობს ტყუილს მწერალი ***(„ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანგულად... მე სხვა ადგილებში ვიყავი მოჯამაგირედ, ამიტომ ცოტა გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანგებისაგან“)*** და თუ ზარალდება ამ ტყუილით ვინმე, რა ჰქვია ასეთ ტყუილს? ***(უწყინარი***). რა შეფასებას აძლევთ ა. ყაზბეგის საქციელს?.. აქვე სრულდება დავალება №1 — დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

აქტივობა 4 — მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა (5-6 წთ.):

მასწავლებელი სვამს კითხვას: შეასრულებდა თუ არა განათლებული მწყემსი დანაპირებს და მივიდოდა თუ არა სასტუმროში უცხოელებთან? (***ზოგის აზრით, მწყემსი მივიდოდა უცხოელებთან სასტუმროში და უფრო მეტ თანხას მოითხოვდა, ვიდრე მანამადე შესთავაზეს; ზოგის აზრით—არ მივიდოდა, არ დაიმცირებდა თავს ამაყ უცხოელებთან; ზოგის აზრით კი— მივიდოდა, უამბობდა თავისი ქვეყნის შესახებ უსასყიდლოდ და უანგაროდ, რითაც კიდევ ერთხელ გააოცებდა ანგარიშიან ევროპელებს.*** ამ დროს მოქმედებს პრინციპი – **ყველას აზრი საყურადღებოა.** მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრის დასაბუთება). ეს სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად.

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წთ.):

ა) სინონიმებზე მუშაობა (ტერმინის გარეშე):

მოძებნონ ტექსტში მსგავსი შინაარსის ფორმები შემდეგი სიტყვებისათვის:

მოინდომეს — (მოიწადინეს)
უსწავლელი — (გაუნათლებელი)
გაოცება – (გაშტერება)
საუბრობენ — (ლაპარაკობენ)
გამომემშვიდობა — (გამომესალმა)

ბ) ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა (10 წთ.):

რას ნიშნავს:

ენის გატეხა —(ლაპარაკში გაწაფვა)
ენის დამოკლება —(გაჩუმება)
ენის დაბმა —(ხმის ვერ ამოღება)
ენის აყოლა —(ნათქვამის, ჭორის დაჯერება)
ენის მოფხანა —(ლაპარაკით გულის მოჯერება)
ენის მოთაფლვა— (ტკბილად დაწყება ლაპარაკის)
პირში წყლის დაგუბება—(გაჩუმება)

პირში ჩალის გამოვლება—(მოტყუება, გაწბილება)
პირში მიხლა— (უხეშად, უკმეხად თქმა)
პირის შეკვრა—(შეკავშირება, შეთანხმება)

ეს ფრაზეოლოგიზმები შეიძლება არეულად ჩამოვწეროთ ბარათებზე და დავურიგოთ მოსწავლეებს მითითებით: შეაერთონ ისრებით სათანადო განმარტებებთან. შეიძლება ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით ვავარჯიშოთ წინადადებების შედგენაზეც.

გ) შეჯამება (3 წთ.):
მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე.

დ) შეფასება (3 წთ.):
გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს :
ა) პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა)—35%; გ) პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25% .

საშინაო დავალება (2 წთ.):
ტექსტი თხრობით, დავალება № 2.

შედეგების კოდი:
V1 — მოსწავლე ქმნის ზეპირ ტექსტს თემაზე: „ენა არ გაწყენს არც ერთი...“;
V2 — იყენებს სათანადო სტრატეგიებს ზეპირი ტექსტის აგებისა და მოსმენისათვის (წინასწარ ადგენს გეგმას, მოსმენისას ჩაინიშნავს გამომსვლელის თვალსაზრისს...);
V6 — ავლენს წაკითხული ტექსტის ინტერპრეტაციის უნარს: ასახელებს თემას, აგებს პარალელებს შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებთან, გამოხატავს საკუთარ პოზიციას;
V7 — ამოიცნობს ტექსტის ენობრივ თავისებურებებს (მეცხვარეობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: ფარა, მეცხვარე, მატყლი..., ბარბარიზმები...);
V8 — იყენებს კითხვის სტრატეგიებს — ტექსტს ყოფს აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად და ადგენს გეგმას, გეგმის მიხედვით გადმოსცემს შინაარსს;
V9 — დამოუკიდებლად ქმნის წერილობით ტექსტს (მოკლე შინაარსის გადმოცემა, ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობის დაცვა, მთავარი და არამთავარი საკითხების ერთმანეთისაგან გამიჯვნა...);
V10 — ტექსტის მიზნის გათვალისწინებით ირჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს;
V12 — ადეკვატურად ცვლის ენას ტექსტის ფარგლებში (დიალოგი, მონოლოგი), აკეთებს კორექტურას.

***გალაკტიონ ტაბიძის** „ჰიმნი ქართულ ანბანს“, ინფორმაცია ქართული ანბანის შესახებ*

მიზნები

— პოეტური ტექსტის აღქმა
— მოსწავლეებში ფასეულობითი ღირებულებების ჩამოყალიბება
— გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ქართული ანბანის შესახებ მოკლე საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება
— შეჯამება ცოდნისა — რა ვიცოდი ქართული ანაბანის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს
— მოკლე აღწერითი ტექსტის შემქნა მოცემულ თემაზე (ქართული ანბანი)

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება: კლასი იყოფა სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება — გაიხსენონ, რა იციან ქართული ანბანის შესახებ და ისაუბრონ ამ საკითხის ირგვლი. *(**შენიშვნა** — შეიძლება მოსწავლეებს წინასწარ დავავალოთ მოემზადონ ამ საკითხზე მსჯელობისათვის: გაიხსენონ, რა ისწავლეს ამ საკითხზე წინა კლასებში, მოიძიონ სათანადო ინფორმაცია, ამ მიზნით გამოიყენონ ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, ჰკითხონ ამის შესახებ უფროსებს...).* ცოდნის პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში. მასწავლებელი აწვდის საჭირო დამატებით ინფორმაციასაც. შეიძლება შედგეს „გონებრივი იერიშის“ რუკაც, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:



დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: ენაში ასოები დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით, რომელიც ტრადიციულად არის დამკვიდრებული. **გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებულ ყველა ასოს ანბანი ჰქვია.**

თანამედროვე ქართულში 33 ბგერაა, ყოველ ბგერას თავისი პირობითი ნიშანი — ასო — აქვს. ეს ასოები საკმაოდ სრულყოფილად ასახავს თანამედროვე ქართული ენის ბგერით შედგენილობას.

ქართული ანბანის თავისებურებანი:

ა) ზოგიერთ ენაში ერთ ასოს ხშირად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (შდრ: რუსული, ინგლისური...), **ქართულში კი ყველა ასოს ჩვეულებრივ ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს;**

ბ) ზოგიერთ ენაში ერთი და იგივე ბგერა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ასოთი (შდრ: რუსული, ინგლისური...), **ქართულში კი თითო ბგერა თითო ასოს გამოხატავს;**

გ)ზოგიერთ ენაში (მაგ. რუსულში) სამეტყველო ბგერის გამომხატველი ნიშნების (ასოების) გარდა, გვაქვს სხვა დანიშნულების ნიშნებიც (ы და ь), პირველი გამყოფი ნიშანია, მეორე წინ მდგომი თანხმოვნის სილბოს აღმნიშვნელი. **ქართულ ანბანში კი ყველა ასო სამეტყველო ბგერის გამომხატველია;**

დ) ინდოევროპულ ენებში დიდი (ასომთავრული) და პატარა ასოების გამოყენების გარკვეული წესებია შემუშავებული, **თანამედროვე ქართულში კი ამგვარი გარჩევა არა გვაქვს;**

ე) ერთმანეთისაგან დიდად არ განირჩევა ქართული ბეჭდური და ხელნაწერი ასოებიც, გამონაკლისია რამდენიმე ასო: **ლ, რ, ო, დ, ჯ , უ,** რომელთაც ხელნაწერი ალტერნატიული ვარიანტებიც გააჩნიათ.

ქართული დამწერლობის განვითარებაში პირობითად გამოყოფენ სამ საფეხურს: **მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული.** მე-5—მე-9 საუკუნეებში ძირითადად გავრცელებული იყო მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული; მე-10 — მე-11 საუკუნეებში იგი შეცვალა ნუსხურმა, ხოლო მე-11 საუკუნიდან ჩაისახა მხედრული, რომელიც თანდათანობით შეიცვალა და საბოლოოდ მიიღო ის სახე, რომელიც მას აქვს დღეს.

მე-18 საუკუნიდან რიცხვების გამოსახატავად ქართულში ასოები იყო გამოყენებული: ანბანის პირველი ცხრა ასო ერთეულებს აღნიშნავდა, მეორე ცხრა — ათეულებს, მესამე ასეულებს, მეოთხე კი — ათასეულებს.

ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის მაჩვენებელი ცხრილი									
	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ᲗᲔ	თ
ათეულები 0	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეულები 00	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები 000	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	ჰ
ბევრეული 0000	ჯ								

ამ მიზნით გამოყენებული იყო მთელი ანბანი. მოგვიანებით მან ადგილი დაუთმო არაბულ ციფრებს.

ძველ ქართულ ანბანში (მე-5 — მე11) 38 ასო იყო, (ამათგან 33 იმ ბგერებს გამოხატავდა, რომელიც სალიტერატურო ქართულში დღესაც გვაქვს), დღევანდელი ქართული აბანისგან განსხვავებით აქ გვხვდებოდა შემდეგი ასოები: — **ᲗᲔ ᲐᲕᲔᲠᲘ** (**ეი, იოტა, ვიე, ხარი, ჰოე);** შემდეგში კი მათი რაოდენობა 40-მდე ავიდა, მე-18 საუკუნისთვის დაემატა **უმარცვლო უ** და **ფი (Უ** და **Ღ)**. ქართული ანბანის გამარტივების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს, სწორედ მან აღარ იხმარა თავის ცნობილ კრიტიკულ სტატიაში „რამდენიმე სიტყვა რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ ეს ნიშნები — **ᲗᲔ ᲐᲕᲔᲠᲘ Უ** (**ეი, იოტა, ვიე, ხარი, ჰოე, უმარცვლო უ)**. „ეს ასოები - წერს ილია, — სულ აღარ იხმარებიან დღევანდელს ენაში... ტყუილად აგრძელებენ ანაბანს, აძნელებენ მართლწერას და სხვა არაფერს არ შეგვძინებენ. თუ მართლა ეს ასოები არ ისმის დღევანდელს ენაში, რატომ არ უნდა გადაადგონ? შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანის განა ცოტა საქმეა?“(ლ. კვაჭაძე, ქართული ენა,1981, გვ. 80 - 89).

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა:

ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი. განმეორებით კითხულობენ მოსწავლეები; გზადაგზა, კითხვის პროცესში, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, რისთვისაც იყენებენ „სიტყვის სალაროს“. გარდა აქ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები:

გვინათ — გვინათებ

სიძველის გმოსავს ნელი ხავსი — ძალიან ძველი ხარ (შდრ. ფრაზეოლოგიზმი — ხავსი მოეკიდა)

ქვაზე ჭრილი — ქვაზე ამოჭრილი (უძველესი წარწერები— ბოლნისის, მცხეთის, ნეკრესის... სწორედ ქვაზეა ამოჭრილი)

სიახლე გაქვს ორბის — მარად ახალი და ძლიერი ხარ...

აქტივობა 3 — ტექსტის ანალიზი: გაირკვევა, ლექსის მიხედვით, როდის შეიქმნა ქართული ანბანი (ლექსი დაწერილია მე-20 საუკუნეში, „26 საუკუნის წინათ“ კი გულისხმობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 ს-ს).

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: „ქართლის ცხოვრება“ ქართული მწიგნობრობის შემომღებად მიიჩნევს მეფე ფარნავაზს, რომელიც ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-4-მე-3 საუკუნეებში მეფობდა. ზოგი მკვლევარი (რ. პატარიძე) ქართული ანბანის შემოღებას სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს, აკად. ი. ჯავახიშვილი კი შესაძლებლად მიიჩნევს ამ თარიღის გადატანას უფრო შორს —მე-8 — მე-7 ს-ში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. (ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ. გვ. 20-25). უთუოდ ი. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში გ. ტაბიძეს, როცა ამ ლექსს წერდა: „ამოენთე ბრწყინვად ოცდაექვსი საუკუნის წინათ“.

— რას ადარებს პოეტი ქართულ ანბანს? — **მზეს,** რომელიც ყველასათვის თანაბრად ანათებს *(„მარად მზეებრ გვინათ“)*, თვალის ჩინს, რომელიც ყველაფერზე ძვირფასია ადამიანისათვის *(შდრ.* **თვალის ჩინი** *— ძვირფასი, მეტად საყვარელი, უნაკლო, ყველაფრით სრული, გასაფრთხილებელი. ამ თქმით ჩვენთვის ყველაზე საყვარელ არსებას /ნივთს/ ვადარებთ ჩვენი მხედველობის ორგანოს — თვალს, რომლითაც ჩვენ ვჭვრეტთ ჩვენს გარშემო ყველაფერს და რომლის გარეშე ჩვენი სიცოცხლის ღირებულება განახევრებული იქნებოდა, ყველაფერს ფასი დაეკარგებოდა.* ***თ. სახოკია,*** *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 263-264)*; **ორბს** - გარეულ ფრინველს, რომელიც გამოირჩევა სიძლიერითა და სიცოცხლისუნარიანობით; **ვერხვის შრიალს** („ეს შრიალი იყო მრავალ ვერხვის“).

— მოძებნეთ ლექსში ის სტრიქონები, რომლებითაც პოეტი ქართული ანბანის სიძველეზე მიგვანიშნებს („ამოენთე 26 საუკუნის წინათ“, „შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი“, „ასე იყავ სავსე ოცდაექვსი საუკუნის წინათ“).

— ლექსში პოეტური მინიშნებაა „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთაველის შესახებ. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს სტრიქონები („შენით მღერდა მომღერალი ვეფხვის, უდარებლად მცოდნე ლექსის ხერხის“).

— რა შეიტყვეთ ახალი ამ ლექსიდან ქართული ანბანის შესახებ? (ქართულ ანბანს 26 საუკუნის ისტორია აქვს).

აქტივობა 4 — ძველი ქართული ანბანის გაცნობა: მასწავლებელი კლასს ესაუბრება ქართული ანბანის განვითარების საფეხურებზე მოკლედ და მარტივად, ამ დროს იყენებს სათანადო ტაბულას. თუ მოსწავლეთა სურვილი იქნება, შეიძლება ზოგიერთი ასოს მოხაზულობა დაიზეპირონ კიდეც, დაწერონ საკუთარი და მეგობრების სახელები მრგლოვანი ანბანის განმოყენებით.

აქტივობა 5 — რა ვიცოდი ქართული ანბანის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს (ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში).

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V6, V8, V9.

***შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანი“ — თინათინის გამეფება (შემოკლებით)*

მიზნები

— ტექსტის კითხვა და ანალიზი
—პოეტური ტექსტის აღქმა
— ტექსტის გაშინაარსება
— ძველი ქართული ენის ფორმებზე დაკვირვება და ანალიზი (მარტივად)
— აფორისტულ გამოთქმებზე დაკვირვება და მათი ანალიზი
— ტექსტის აგება
— ლიტერატურული პერსონაჟის მარტივად დახასიათება
— შესწავლილი ტექსტის მიხედვით ცოცხალი სურათების წარმოდგენა

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — პროვოცირება:

მასწავლებელი დაფაზე წერს შოთა რუსთაველის რამდენიმე აფორიზმს (მათი ერთი ნაწილი მოსწავლეებისათვის ნაცნობია წინა კლასებიდან):

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“,
„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“,
„ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია“,
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...

მოსწავლეთა ძალებით გაირკვევა, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, რა აზრია მათში ჩადებული, რას ეწოდება აფორიზმი, თუ გაიხსენებენ სხვა აფორიზმებსაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, რა იციან შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ...

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა: ტექსტს მასწავლებელი კითხულობს ნაწილ-ნაწილ, ნელა, გამომეტყველებით; გზადაგზა ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს და მოსწავლეთათვის გასაგები ენით აშინაარსებს მათ (***შენიშვნა:*** *ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ამგვარი გაშინაარსებისა უფროს კლასებში, მაგრამ ვინაიდან მეხუთეკლასელ მოსწავლეებს ფაქტობრივად პირველად უხდებათ ძველი/საშუალი ქართული ენის ნორმებთან შეხება და მათთვის ბევრი რამ გაუგებარი იქნება, ამ ეტაპზე ეს დასაშვებად მიგვაჩნია, თუმცა მასწავლებელს შეუძლია არ გაიზიაროს ჩვენი ეს შეხედულება — **ნ.მ.**)*:

1. არაბეთში მეფობდა როსტევანი, ბედნიერი („სვიანი“), ძლიერი და ამაყი („მაღალი“), ღვთისმოშიში („მდაბალი“), ურიცხვი ყმისა („ყმიანი“) და ლაშქრის პატრონი („ლაშქარმრავალი“). სამართლიანი („მოსამართლე“, „განგებიანი“) და ყოველთვის გამარჯვებული („მორჭმული“) მეფე როსტევანი ამავე დროს სწორუპოვარი, შეუდარებელი („უებრო“) მეომარი და მეტად კარგი მოსაუბრე („მოუბარი წყლიანი“) იყო.
2. როსტევანს მხოლოდ ერთადერთი ასული ჰყავდა, რომელიც სილამაზით მნათობებს („მზის დასს“) აჭარბებდა; მნახველებს („მისთა მჭვრეტთა“) გულს, გონებასა და სულს წარსტაცებდა ხოლმე მეფის ასულის უბადლო მშვენება. მისი სილამაზის სრულად აღწერა მხოლოდ ენაწყლიან („ენად ბევრად ასულ“) ბრძენს თუ შეეძლო.

3. როსტევნმა ვეზირებს უთხრა: „მე დავბერდი, სიბერე ყველა ჭირზე უარესია, დღეს თუ ხვალ მოვკვდები, ასეა ქვეყანა მოწყობილი, სინათლეს ყოველთვის სიბნელეც ახლავს, ამიტომ აჯობებს ჩემი შვილი („ძე“) გავამეფოთ.“
4. „თუმცა შენი შვილი ქალია, მაგრამ ისიც ღმერთისგან მეფედ არის დაბადებული, არ გეპირფერებით („გათნევთ“), მან იცის მეფობა და ამიტომაც უთქვენოდაც გვითქვამს თანხმობა („დია“) მის გამეფებაზე; მისი საქმე მისი სილამაზის თანასწორია. ლომის ლეკვი ყველა თანასწორია, მიუხედავად იმისა, ხვადია ის თუ ძუ, — მოახსენეს ვეზირებმა.
5. არაბეთში გასცა ბრძანება როსტევანმა თინათინის გამეფების შესახებ: „ ის მზესავით გაანათებს ყველაფერს („მან განანათლნეს ყოველი“); მოდით და ნახეთ ყველა მაქებარმა („შემსხმელმან და შემამკობელმან“).“
6. სრულიად არაბეთმა მოიყარა თავი ზეიმზე. მრავალი დიდებული მოვიდა („ჯარი გამრავლდა ხასისა“), მრავალრიცხოვანი („ბევრ ათასი“) ლაშქარიც აქ იყო და მისი მხედართმთავარი („სპასპეტი“) ავთანდილიც. აქ იყო სოგრატიც მეფის დიდებულთა თანხლებით („მოახლე მეფისა დასთა დასისა“). ვაზირმა სოგრატმა და ავთანდილმა თინათინისათვის უძვირფასესი („ფასის ურქმელი“) სამეფო ტახტი („საჯდომი“) დადგეს.
7. გახარებულმა, სახემცინარმა („პირითა მით ნათელითა“) მამამ გამოიყვანა თინათინი, დასვა სამეფო ტახტზე და თავზე გვირგვინი დაადგა, მისცა სკიპტრა ანუ სამეფო კვერთხი, შემოსა სამეფო ტანსაცმლით.
8. მეფე როსტევანმა და ჯარმა უკან დაიხიეს და ისე სცეს თაყვანი ახალგამეფებულ თინათინს, დალოცეს, მეფედ აკურთხეს, ყოველი მხრიდან („სხვაგნით სხვათა“) შეამკეს ქებით, ჩაჰბერეს ბუკს, წინწილების ხმით დაიტკბეს სმენა, ქალი კი ტიროდა და ყორნის ბოლოსავით შავ წამწამებს ისველებდა ცრემლით.
9. ქალს მამის ტახტზე ჯდომის ღირსად არ მიაჩნდა თავი, ამიტომაც („ამად“) ტიროდა და ვარდის მსგავს პირისახეს („ბაღი ვარდისა“) ცრემლებით ისველებდა. მამა ასწავლიდა, არიგებდა — მამას ყოველთვის შვილი სცვლის, მამის საქმის გამგრძელებელი შვილია („მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“), ამის გაკეთებამდე („ამის ქმნამდის“) ვერ მოვისვენებდიო („ცეცხლი არ დამევსებოდა“).
10. როსტევანმა ქალიშვილს უთხრა; „ნუ სტირი, ჩემო ასულო, კარგად მოისმინე ჩემი ნათქვამი: დღეს შენ ხარ არაბეთის მეფე, ჩემ მიერ მეფედ წოდებული („ხმობილი“), დღეიდან („აქათგან“) ეს სამეფო შენთვის მაქვს მონდობილი, შენ ხარ საქმის ბრძნულად მკეთებელი („მქმნელი“), იყავი წყნარი და ჭკვიანი.
11. ვინაიდან მზის შუქი თანაბრად ეფინება ყველას და ყველაფერს — ნეხვსაც და ვარდსაც, შენც ნუ მოგბეზრდება თანაბრად განიკითხო მდიდარიც („დიდი“) და ღარიბიც („წვრილი“), უხვი ურჩებსაც, არამომხრეებსაც („ახსნილს“) მიიმხრობს, ხოლო ვინც ერთგული ჰყავდა („ება“), ის კვლავ ერთგული ეყოლება; ამიტომაც უხვად გაეცი, ამით შენს სიმდიდრეს არაფერი მოაკლდება, რადგან ზღვას წყალი იმდენი ემატება, რამდენიც აკლდება.
12. მეფეებს სიუხვე ისევე ამშვენებს, როგორც ედემს – ალვა; უხვს ყველა ემორჩილება, ორგულიც კი; უხმარი, გამოუყენებელი ნივთი რა სარგებლობის მომტანია?! („დება რა სავარგულია“); რასაც გასცემ, ის იქნება შენი, რასაც არა – ის დაკარგულია.
13. ქალი ბრძნულად უსმენდა მამას და ამგვარი წვრთნა არ ჰბეზრდებოდა. მეფეც

მღეროდა და ილხენდა. თინათინის სილამაზე მზესაც კი აღემატებოდა იმ დროს.

14. ამის შემდეგ თინათინმა მოიხმო თავისი ერთგული გამზრდელი და უბრძანა, მოერთმიათ მისთვის უფლისწულობაში დაგროვილი სიმდიდრე. მოართვეს ეს საგანძური, რომელიც უხვად, უანგარიშოდ გასცა.
15. იმ დღეს თინათინმა ყველაფერი დაარიგა, რაც კი უფლისწულობაში („სივაჟეში“) დაეგროვებინა („მოგებულსა“). ღარიბიც („მცირე“) და დიდებულიც აავსო სიმდიდრით. მერე განაცხადა: „მე ასე მამის დარიგებისამებრ ვიქცევი, ამიტომ ნურავინ გაბედავს ჩემი სიმდიდრის („საჭურჭლის“) დამალვასო“.
16. უბრძანა მეჯინებეთუხუცესს („ამილახორს“) გამოერეკა ახალგაზრდა ცხენთა და კვიცთა ჯოგი, რემა და ასევე — გახედნილი ცხენები. მოასხეს საჯინიბოებიდან ცხენები და თინათინმაც უხვად დაასაჩუქრა ქვეშევრდომნი; ძვირფას ნივთებს („ლარს“) ისე იტაცებდა („ხვეტდიან“) ლაშქარი, როგორც მეკობრეთა ბრბო.

მასწავლებლის შემდეგ ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები და დამოუკიდებლად აშინაარსებენ მას. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ გამოკრებითი კითხვაც:

— მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც აღწერილია მეფე როსტევანი;

— მოძებნეთ ტექსტში ის ადგილები, სადაც მწერალი თინათინის სილამაზეს აღწერს;

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც თინათინის მეფედ კურთხევის პროცესია აღწერილი.

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში: ა) მამის დარიგება, ბ) თინათინის განცდები გამეფებისას, გ) თინათინის სიუხვის დამადასტურებელი ადგილები...

ამის შემდეგ დაისმის ტექსტის შინაარსზე ორიენტირებული კითხვები:

— რა გადაწყვიტა მეფე როსტევანმა? როგორ აუხსნა მან ვეზირებს თავისი გადაწყვეტილება?

— რა უპასუხეს ვეზირებმა? მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში სათანადო ადგილი.

— რა ბრძანება გასცა ახლად გამეფებულმა თინათინმა?...

წერილობით სრულდება დავალება №1 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება:

— რატომ განუცხადეს თანხმობა ვეზირებმა მეფე როსტევანს ქალიშვილის გამეფებაზე? რით დაასაბუთეს მათ თავიანთი მოსაზრება?

— მეფე როსტევანის რა თვისებები ჩანს ტექსტში?

— თინათინის რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაასაბუთეთ.

— შესწავლილი მონაკვეთის მიხედვით, იმსახურებდა თუ არა თინათინი ასეთ ნდობას?

— რატომ ბრძანა მან თავისი საუფლისწულო სიმდიდრის დარიგება? მისი რა თვისებები ჩანს აქედან?

— დავახასიათოთ მეფე როსტევანი და მისი ქალიშვილი შესწავლილი მონაკვეთის მიხედვით.





ამ თვისებების მიხედვით დახასიათდება ორივე გმირი, ამავე დროს მოსწავლეებს ვავალებთ — ტექსტში მოიძიონ ის ადგილები, რომლებშიც ამ თვისებებზეა მინიშნება. უნდა შევნიშნოთ, რომ ასაკის მოზარდებს უჭირთ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ერთ ცნებაში მოქცევა, ამიტომ სჭირდებათ მასწავლებლის დახმარება. ამ მუშაობას შეიძლება მივცეთ **ჯგუფური აქტივობის** სახეც — თითოეულ ჯგუფს ევალება ისაუბროს ამა თუ იმ გმირის კონკრეტულ თვისებაზე. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ „ბარათებიც“.

აქვე მოსწავლეებს ვავალებთ – დაიმახსოვრონ როსტევან მეფისა და თინათინის მახასიათებელი ნიშნები და გაიაზრონ: პოემის მომდევნო ნაწილებში, რომლებსაც ისინი შემდეგ კლასებში შეისწავლიან, მომავალშიც გამოავლენენ თუ არა ამ თვისებებს ეს გმირები, ხომ არ დავინახავთ მათ ახალი კუთხით? (იხ. ელ. თაბორიძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სალექციო კურსი განათლების ფაკულტეტების სტუდენტთათვის, თბ., 2009 წ, გვ. 148)

წერილობით სრულდება დავალება №2 („აქტ. რვეული“), გმირის დახასიათებისათვის წინასწარ შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. ვინ იყო თინათინი („სხვა ძე არ ესვა მეფესა...“)
2. თინათინის მშვენება („სოფლისა მნათი, მნათობი...“, „თინათინ მზესა სწუნობდა...“)
3. თინათინი ბრძენი ქალია („შუქთა მისთაებრ საქმეცა...“, „ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა“...)
4. თინათინი მამის მოყვარული და პატივისმცემელია („ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა“...)
5. თინათინი თავმდაბალია („მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“...)
6. თინათინი კეთილი და უხვია („მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“...)

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა) აფორისტულ გამოთქმებზე დაკვირვება: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, „რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია“, „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“... — გაირკვევა, სად და რა მიზნით იყენებს ტექსტში პოეტი ამ აფორიზმებს, რა კავშირში არიან ისინი ტექსტის დედააზრთან.

ბ) არქიზმებზე დაკვირვება: მოსწავლეებს ვყოფთ ჯგუფებად და ვავალებთ, მოძებნონ ტექსტში 10-10 სიტყვა, რომლებიც უცხოა დღევანდელი ქართული მეტყველებისათვის და მიუწერონ მათ თანმედროვე ქართული შესატყვისები. გამოყენონ ამ მიზნით „სიტყვის სალარო“.

აქტივობა 5 — ცოცხალი სურათების წარმოდგენა (კლასგარეშე ღონისძიება):

ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“
(ფარდის წინ დგანან წამყვანები)

წამყვანი: „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნეში, თამარის მეფობის დროს შექმნა დიდმა შოთა რუსთაველმა. მას შემდეგ, რვაასი წლის მანძილზე ჩვენი წინაპრები ზეპირად სწავლობდნენ პოემის სტრიქონებს. ბევრმა წერა-კითხვის უცოდინარმაც კი იცოდა თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად. გამოჩენილი ოჯახები მზითევში ატანდნენ თავიანთ ქალიშვილებს ამ შესანიშნავი ნაწარმოებების ხელნაწერებს. ახალგაზრდა ვაჟები ტარიელსა და ავთანდილს ჰბაძავდნენ, გოგონები ნესტან-თინათინობას ცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები როსტევან-სოგრატობაზე დებდნენ თავს.

მაშ ასე, დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ შორეულ წარსულში არაბეთის უძლიერეს სახელმწიფოში აღმოჩნდით.

სურათი

(იხსნება ფარდა)

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან **სვიანი,**
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული,
მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.
მისი სახელი თინათინ, არს ესე საცოდნარია,
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“.

წამყვანი: სწორედ მისი, თავისი ერთადერთი ქალიშვილის გამეფება გადაწყვიტა მოხუცებულმა როსტევანმა. როსტევან მეფემ ბრძანება გასცა, არაბეთის ყოველი კუთხიდან ჩამოსულიყო ხალხი თინათინის ტახტზე ასვლის გამო გამართულ ზეიმზე. ბრძანება, რასაკვირველია, შესრულდა.

(ტექსტის კითხვის პარალელურად სცენა ზე ვითარდება მოქმედება: მოწვეულ სტუმრებს განასახიერებენ მეხუთეკლასელი გოგონები და ბიჭები. ავთანდილსა და სოგრატს შემოაქვთ ტახტი, რომელ ზეც მეფე როსტევანი სვამს თინათინს. ყველანი თაყვანს სცემენ ახლადგამეფებულ ქალს)

„მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „ურქმელია ფასისა!
თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.

უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა“.

(ფარდა იხურება)

*(**შენიშვნა:** სცენარი ამოღებულია ელ. თაბორიძის დასახელებული წიგნიდან.)*

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V6, V7, V8, V10, V11, V12.

აკაკი წერეთლის „ამირანი“, საკუთარ სახელებთან დაკავშირებული მართლწარმოთქმისა და მართლწერის საკითხები

მიზნები:

— პოეტური ტექსტის აღქმა
— გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
— მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება ქართული მითოლოგიიდან
— ტექსტის აგება
— კითხვის სტრატეგიების დაუფლება
— წერითი მეტყველების უნარ-ჩვევათა ფორმირება
— საკუთარ სახელებთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების ფორმირება

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება/პროვოცირება:

პოეზიის ხუთი წუთი — მასწავლებელი კლასს ჰყოფს ჯგუფებად და ავალებს გაიხსენონ ქართველ პოეტთა ლექსები, რომლებიც საქართველოს ეძღვნება. იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტ ასეთ ლექსს გაიხსენებს და ამავე დროს წაიკითხავს გამომეტყველებით.

აქტივობა 2 — ლექსის კითხვა და ანალიზი:

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ამირანი — ქართული ხალხური ეპოსის გმირი, „ამირანიანის“ მთავარი პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთის — დალისა — და უცნობი მონადირის შვილი. მას ოქროს კბილები აქვს და საცრისოდენა თვალები, მგლის მუხლი, 12 უღელი ხარ-კამეჩის ღონე და ზვავის სისწრაფე. ხალხისათვის თავდადებული გმირი ურჩობისათვის (დედამიწაზე ცეცხლის მოტანისათვის) ღმერთმა კავკასიონზე მიაჯაჭვა.

უძველესი ცნობები მიჯაჭვული ამირანის შესახებ გვხვდება ბერძნულ მწერლობაში, ასევე საქართველოში მოპოვებულ ნივთიერი კულტურის ძეგლებზე. გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად, ამირანი საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც დაახლოებით 3 500 წლის წინ უნდა იყოს შექმნილი. პროფ. **მ. ჩიქოვანის** აზრით, ამირანის სახე ქართველურ ტომთა დიფერენცირებამდე შეიქმნა, იგი თავდაპირველი ქართველური ხალხის მიერ შექმნილი გმირია. „ამირანიანი“ ქართული ეპოსის განვითარების წინაფეოდალური საფეხურის ნაწარმოებია. მასში შექსოვილია საგმირო და მითოლოგიური ელემენტები ისე, რომ „ამირანიანმა“, როგორც მთლიანმა მხატვრულმა ნაწარმოებმა, ჩვენამდე საგმირო თქმულების სახით მოაღწია.

ამირანი ხალხის მოსარჩლე გმირია, რომელიც ამარცხებს დევებს, ქაჯებს, გველეშაპებს, ებრძვის ძალმომრეობას. თქმულებებში ამირანს ცისა და ღრუბლების გამგებელი პირიმზე სჯიდა. დროთა განმავლობაში ამბავმა და პერსონაჟებმა ცვლილება განიცადეს; საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ძველ წარმართულ მითოლოგიურ ეპიზოდებს ქრისტიანულიც დაემატა და ასე შეცვალა პირიმზე ქრისტე ღმერთმა.

ამირანის სახეს ხშირად უკავშირებენ ბერძნული მითების პერსონაჟ პრომეთეს, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მისი გამოყენება ასწავლა, რითაც საფუძველი დაედო კულტურულ წინსვლას: ცეცხლის მეშვეობით ადამიანი შეუდგა იარაღების დამზადებას, განვითარდა მიწათმოქმედება და სხვა სამეურნეო დარგები. ღმერთებმა საიდუმლოების გათქმის გამო პრომეთე დასაჯეს და კავკასიონის ქედს მიაჯაჭვეს.

ბევრ რამეში ამირანი მართლაც ჰგავს პრომეთეს, მაგრამ ამირანის თქმულებაში შემოჭრილია ზღაპრული ელემენტები: მასში გვხვდებიან დევები, გველეშაპები; გარდა ამისა, ამ მითის გვიანდელი გადამუშავების მიხედვით, ამირანის ნათლია არის ქრისტე, რომელსაც ძალ-ღონეში გამოცდა მოუნდომა ნათლულმა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც. ქართულ ცნობიერებაში დავიწყებას მიეცა ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცება, სამაგიეროდ წინა პლანზე წამოიწია მისმა ადამიანურმა თვისებებმა: ყოველივეს დაძლევის, აღმასვლის და დაუმორჩილებლობის ჟინმა.

ეს თქმულება ძალზე პოპულარული იყო საქართველოში. ამირანის თავგადასავალი ყველაზე ადრე XII საუკუნის მწერალმა მოსე ხონელმა გამოიყენა თავის „ამირანდარეჯანიანში“, წმინდა ხალხური ტექსტე-

ბის ჩაწერა კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მოიპოვება უამრავი ჩანაწერი. ქართულის გარდა, მოგვეპოვება აგრეთვე მეგრულ და სვანურ ენაზე ჩანაწერებიც.პირველად ეს ჩანაწერი გამოქვეყნდა 1848 წელს თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“.

მიჯაჭვული ამირანის სახე შემდეგ ეროვნული ჩაგვრისგან ხსნის იდეას დაუკავშირდა და თავისებური გამოხატულება პოვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აკაკის პოეზიაც ამის ნიმუშია.ამ სახეს აკაკიმ სრულიად ახალი და ძლიერი წახნაგი შესძინა — იგი საქართველოს სიმბოლოდ, დაკარგული თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდად აქცია. ასეთი გააზრება პოეტმა პირველად მას „თორნიკე ერისთავში“ მისცა. ამ პოემაში ჩართული ქართველ რაინდთა სიმღერა დამოუკიდებელ ლექსადაც აღიქმება. *(ქ ს ე, ტ. I, გვ. 397; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, მ. ჩიქოვანის საერთო რედაქციით, თბ. 1968 წ; „ქართული მწერლობა“, ტ. მე-12, გვ. 626, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, თბ. 1992 წ).*

მითი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს თქმულებას, გადმოცემას, ანდრეზს, ანდერძს. მითი ეწოდება ფანტასტიკური შინაარსის ზეპირ გადმოცემას, რომელიც მხატვრულ ფორმებში გადმოგვცემს საზოგადოებრივი ცხოვრების ან ბუნების ამა თუ იმ მოვლენას. მეცნიერებას, რომელიც მითებს შეისწავლის, მითოლოგია ეწოდება.

მიწის შვილები — იგულისხმებიან ქართველები. ძველი ბერძნები საქართველოს **გეორგიას**, ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანას, ეძახდნენ. მიწის შვილებში ამ კუთხის შვილნი, ანუ ქართველები, იგულისხმებიან.

მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ლექსს თავიდან ბოლომდე. შემდეგ აკითხებს მოსწავლეებს როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ. აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. გარდა „სიტყვის სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა, გაანალიზდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

წყლული — ჭრილობა
ღვაწლი — დამსახურება
გმირთაგმირი — უძლეველი, დაუმარცხებელი გმირი

გაანალიზდება, ვინ იყო ამირანი, სად იყო მიჯაჭვული, ვინ მიაჯაჭვა იგი, რატომ; როგორია იგი ლექსის მიხედვით (*გმირთაგმირი, მომთმენი, დაუმორჩილებელი, გამარჯვებული...*), რასთან არის ის შედარებული, რატომ; რის იმედი აქვს მწერალს...

გაირკვევა, რატომ ადარებს მწერალი ამირანსა და საქართველოს ერთმანეთს, რა საერთოს ხედავს მათ შორის, ვის გულისხმობს იგი ყვავ-ყორნებში, რატომ... იხსენებენ ვაჟა-ფშაველას „არწივს“ და ავლებენ მათ შორის პარალელს. მოსწავლეები ვარჯიშობენ ლექსის გამომეტყველებით წაკითხვაში. ტარდება გამოკრებითი კითხვაც:

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ლექსში ის ადგილი, სადაც აღწერილია:
ა) კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის გასაჭირი
ბ) მისი გამძლეობა
გ) ამირანის გამარჯვება
დ) მწერლის იმედი...

აქტივობა 3. წერა — ტექსტის აგება („აქტივობების რვეული“, დავალება №1).

აქტივობა 4. ენობრივ მასალაზე დაკვირვება.

ა) რთული სიტყვების მართლწერა:

— რომელი რთული სიტყვები გვხვდება ტექსტში? (*ყვავ-ყორანი, გმირთაგმირი*). როგორ იწერება ეს სიტყვები? რატომ? გაიხსენეთ სხვა რთული სიტყვები, რომლებიც იწერება ა) დეფისით, ბ) უდეფისოდ.

ასეთი სიტყვების გამოყენებით შედგება წინადადებები და დაიწერება დაფაზე.

ბ) საკუთარი სახელების მართლწერა:

— რომელი საკუთარი სახელები გვხვდება ტექსტში? რომელია აქედან ადამიანის სახელი?

კლასის მონაწილეობით დაფაზე აბრუნებენ საკუთარ სახელს „ამირანი“. ყურადღება მახვილდება წოდებითი ბრუნვის ფორმაზე; გაირკვევა, რომ ადამიანის სახელი წოდებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს; ასევე, იმ ფაქტზე, რომ საკუთარი სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმით არ იხმარება.

„აქტივობების რვეულიდან“ სრულდება დავალება №2.

შედეგების კოდი: V4, V5, V6, V8, V9, V11.

შემდეგი მასალის: **ლ. სანიკიძის „დიდგორის ბრძოლა“, არსებითი სახელის რიცხვი, თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება** — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

იაკობ გოგებაშვილის „თავდადებული მღვდელი თევდორე“, *ზედსართავი სახელი, სინონიმები*

მიზნები:

— აღწერითი ტექსტის კითხვა და ანალიზი
— კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
— გაბმული მეტყველების უნარ-ჩვევათა ფორმირება
— მარტივი საინფორმაციო ტექსტის აგება
— დიალოგი ისტორიულ გმირთან
— საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება, კრიტიკული აზროვნების ფორმირება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ზედსართავი სახელის სემანტიკაზე დაკვირვება, მათი დალაგება მახასიათებელი ნიშნის ზრდადობის მიხედვით

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება — პროვოცირება:

მასწავლებელი კლასს ავალებს გაიხსნენონ, თუ სმენიათ რამე თევდორე მღვდლის შესახებ (სავარაუდო პასუხი დადებითია). მოსწავლეთა დახმარებით თანდათან შეივსება „გონებრივი იერიშის რუკა“:



დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ლუარსაბ II (1592-1622) — ქართლის მეფე 1606-1615 წლებში, 14 წლისა მეფედ დაამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ-აბას I-მა უეცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. მას ირან-ოსმალეთის ომში ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა. თავი გამოიჩინა ტაშისკარის ბრძოლაში (1609). 1611 წელს ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და, რომელსაც თავადთა მოთხოვნით მალევე გაეყარა. ამას მოჰყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთავს, თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე აღარ ჰყავდა. 1612 წელს მისი და ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა. ამით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა კავშირი, რომლის მიზანიც იყო ირანის მოსალოდნელი აგრესიისაგან განთავისუფლება. 1614 წელს იგი იმერეთში გადავიდა და სხვა ქართველ მეფეებთან ერთად ოსმალეთს სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1614 წელს თავისი ფეხით ეახლა შაჰ-აბას I-ს, რათა ქართლი მისი თავდასხმისაგან ეხსნა. შაჰმა იგი ირანში წაიყვანა და გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზედაც მან სასტიკი უარი განაცხადა. ამის გამო იქ ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც საბლით მოაშთვეს. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

გიორგი სააკაძე (1570-1629) — დიდი მოურავი, საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი მოღვაწე. მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. მიიღო იმ დროისათვის შესაფერი განათლება, გამოირჩეოდა

სამხედრო საქმის დიდი ცოდნით, იყო სიმონ I-ისა და გიორგი X-ის თანამებრძოლი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მის სახელმწიფოებრივ ნიჭს განსაკუთრებით დიდი ასპარეზი მიეცა ლუარსაბ II-ის მეფობისას. 1608 წლიდან იყო თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი. მის მთავარ მიზანს შეადგენდა შინაფეოდალური ბრძოლების ალაგმვა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რაც მან ერთგვარად შეძლო კიდეც. ამანაც განაპირობა ქართლის გამარჯვება ტაშისკარის ბრძოლაში. უპირისპირდებოდა თავადთა მრავლრიცხოვან ჯგუფს. მისმა მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს მეფის მიმხრობა. თავს მან სპარსეთში გაქცევით უშველა (1612). 1619 წელს შაჰ-აბასმა იგი დანიშნა ქართლის ხანის სიმონ II-ის ვექილად (რწმუნებულად). საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი შეუდგა ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადებას. ამ მიზნით იგი შეურიგდა თავის ყოფილ მტრებს, დაუმოყვრდა ოსმალთა დიდმოხელეს, სამცხის ათაბაგთა ჩამომავალს ფარად-ფაშას. შაჰ-აბასმა 1625 წლის შემოდგომაზე დიდი არმია გამოგზავნა საქართველოში ყორჩიხა-ხანის სარდლობით. მისი მიზანი იყო კახელების მთლიანი გაჟლეტა და ქართლელთა ირანში გადასახლება. აჯანყებულებმა სააკაძის მეთაურობით თითქმის მთლიანად გაწყვიტეს მტრის მთავარი ძალები სოფ. მარტყოფთან, ხოლო ქართლ-კახეთის ტახტის მეფედ მოიწვიეს თეიმურაზ I. ამას მალე სააკაძისა და მეფე თეიმურაზ I-ის დაპირისპირება მოჰყვა, რაც ბაზალეთის ბრძოლით (1626) დამთავრდა. თეიმურაზის დამარცხების შემთხვევაში სააკაძეს განზრახული ჰქონდა იმერეთის მეფის მემკვიდრის —ალექსანდრეს — გამეფება, რასაც მოჰყვებოდა სამი სამეფოს — იმერეთის, ქართლისა და კახეთის —გაერთიანება. ამ ბრძოლაში სააკაძე დამარცხდა და იძულებული იყო კვლავ გადახვეწილიყო, ამჯერად ოსმალეთში. მისი მიზანი იყო ოსმალთა დახმარებით სპარსელთა დამარცხება. მაგრამ ვერ მიიღო მისგან სათანადო დახმარება და კვლავ საქართველოში აპირებდა დაბრუნებას. დიდი ვეზირის ხოსროვ ფაშას ბრძანებით იგი და მისი ძე ავთანდილი 40 მხლებელთან ერთად შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა ხსნიან უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

სპარსეთი – დღევანდელი ირანი
ოსმალეთი — დღევანდელი თურქეთი
თათრები — საერთო სახელია მუსულმანი თავდამსხმელებისა, ამჯერად „თათრებში“ ი. გოგებაშვილი ოსმალებს (*თურქებს*) გულსხმობს
გარდუვალი — უეჭველი, აუცილებელი
ჯოჯოხეთის ცეცხლში — აქ: დიდ განსაცდელში, დიდ გასაჭირში
სიხარული შეუდგათ — ძალიან გაუხარდათ
თადარიგს შეუდგა — მზადებას შეუდგა

ტექსტის ანალიზისათვის დაისმის ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები:
—რომელ საუკუნეში მოხდა ტექსტში აღწერილი ამბავი?
—საქართველოს რომელი კუთხეა მასში აღწერილი? რა მინიშნებებია ამაზე ტექსტში? (*გეოგრაფიული სახელები — მანგლისი, თრიალეთი, ცხირეთი, კველთა*).
— რატომ არ ელოდნენ ქართველები მტრის გამოჩენას?
— რა იყო მტრის მიზანი?
— როგორი იყო ცხირეთისაკენ მიმავალი გზა?
— სად შეიპყრეს თევდორე?
— რა არჩევანის წინაშე დადგა იგი?
— როგორ იძია მოტყუებულმა მტერმა თევდორეზე შური?
— რა შედეგი გამოიღო თევდორეს თავდადებამ?
— რა მინაწერი აქვს ტექსტს ბოლოში? რის შესახებ საუბრობს აქ მწერალი? რატომ აღარ მიიჩნევს მწერალი თურქებსა და სპარსელებს მტრებად? რომელ მტრებზე საუბრობს იგი? რას გვირჩევს?..

ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას აქტიურად გამოიყენება სახელმძღვანელო.

აქტივობა 3 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

მოსწავლეები ერთხელ კიდევ კითხულობენ ტექსტს, ამჯერად **ჩუმად**, ყოფენ მას ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) საქართველო 1609 წლის ზაფხულში
ბ) მტრის მოულოდნელი თავდასხმა
გ) მტრის განზრახვა/სურვილი/ჩანაფიქრი
დ) ცხირეთის გზა
ე) თევდორე მღვდლის შეპყრობა
ვ) თევდორე მღვდლის არჩევანი
ზ) მოტყუებული მტერი
თ) მტრის შურისძიება
ი) თევდორეს თავგანწირვის ნაყოფი

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ — მთლიანად. თხრობისას ყურადღება მახვილდება ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემაზე, მწერლის ლექსიკაზე, რომელიც ზოგ შემთხვევაში მასწავლებლისგან კორექტირებას მოითხოვს.

აქტივობა 4 — ტექსტის გააზრება და შეფასება:

— თევდორე მღვდლის რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში?

— რა იყო ამ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების მიზეზი? (*თევდორეს თავდადება, გიორგი სააკაძის წინამძღოლობა, ქართველთა თავგანწირვა, მათი ორგანიზებულობა...*).

— ქართველთა რა თვისებები ჩანს ტექსტში? (*მტრის სიძულვილი, ბრძოლისათვის მზადყოფნა, სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა...*).

— თქვენი აზრით, რატომ გაუკეთა მწერალმა მინაწერი ამ მოთხრობას? ეთანხმებით მწერლის რჩევას? რატომ?

— რა არის ამ ნაწარმოების თემა? (*სწორი პაუხია* **გ**). რამდენად სწორად აქვს ტექსტს შერჩეული სათაური?

— თევდორე მღვდელთან გასაუბრების საშუალება რომ გქონდეთ, რა კითხვებს დაუსვამდით მას? (ეს დავალება სრულდება წყვილებში, „აქტივობების რვეული“, დავალება №1).

აქტივობა 5 — მარტივი საინფორმაციო ტექსტის აგება: („აქტივობების რვეული“, დავალება №2).

ტექსტის აგებისას მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მივცეთ მითითება იმის შესახებ, რომ ა) **იგი უნდა იყოს მოკლე,** ბ) **ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ მთავარსა და არსებითზე**, გ) **ფაქტები გადმოიცეს ჩვენი შეფასების გარეშე** (*ამ შემთხვევაში მტრის თავდასხმის მიზანზე, თევდორეს საქციელზე, ქართველთა გამარჯვებაზე*).

ტექსტი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

„1609 წლის ზაფხულში ოსმალები თავს დაესხნენ ქართლს მეფე ლუარსაბის შეპყრობის მიზნით. სოფელ კველთის მღვდელმა თევდორემ შეძლო მტრისათვის გზის აბნევა. მოტყუებულმა მტერმა მღვდელი საშინელი წამებით მოკლა. მაგრამ თევდორეს თავგანწირვამ შედეგი გამოიღო. ქართველებმა შეძლეს გამკლავებოდნენ მტერს და დაემარცხებინათ იგი.“

აქტივობა 6 — წერა. თემატური ტექსტის აგება სათაურის მიხედვით (დავალება №3).

აქტივობა 7 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

— რა აფორიზმით ამთავრებს მწერალი თხრობას? რატომ აკეთებს ამას? (*უფრო ხატოვნად რომ გვითხრას თავისი სათქმელი, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მომხდარისადმი*).

— რაიმე ანდაზა ან აფორიზმი ხომ არ გაგახსენდებათ, რომლითაც თქვენ დაამთავრებდით თხრობას?

— მოძებნეთ სინონიმური ზედსართავი სახელები ტექსტში.

— დაალაგეთ მახასიათებელი ნიშნის ზრდადობის მიხედვით ზედსართავი სახელები („აქტივობების რვეული", დავალება №4. **პასუხები:** *შეშფოთებული, შეშინებული, გულგახეთქილი, თავზარდაცემული; მოზრდილი, დიდი, უშველებელი; ციცქნა, პატარა, მომცრო; გაცხარებული, გაბრაზებული, განრისხებული, გაშმაგებული; ულამაზო, უშნო, მახინჯი; გაკვირვებული, განცვიფრებული, გაოგნებული*).

შედეგების კოდი: V1, V2, V3, V4, V6, V7, V10, V11.

შემდეგი თემის: **ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“**, თანხმოვანფუძიანი ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ **დამატებით ინფორმაციას** გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით:

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ა) სამასი არაგველი — კრწანისის ბრძოლისა და თბილისის აღების შემდეგ, 1795 წ., ირანელთა ერთი ნაწილი ქალბ-ალი-ხანის მეთაურობით არაგვის ხეობას აუყვა. მათ მეფე ერეკლეს შეპყრობა და საარაგვოს დაპყრობა ჰქონდათ დავალებული. ჟინვალში მთიდან წამოსული სამასამდე თუშ-ფშავ-ხევსური მოგროვდა. მათ გვიან გაეგოთ საყვარელი მეფისა და სამშობლოს გასაჭირი და „მგმლურით“ მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ. აქ ისინი 4000-იან ირანულ ჯარს შეებნენ და გაანადგურეს დამპყრობლები. გამარჯვებულმა არაგველებმა სასიხარულო ამბავთან ერთად საყვარელ მეფეს ირანელი ტყვეებიც მიჰგვარეს (ლ. სანიკიძე, თხზ. ტ. I, 1991 წ).

ბ) „პატარა კახი“ — მეფე ერეკლე — 1720-1798 წ.წ. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში. იგი აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ და მისმა მამამ — თეიმურაზ II-მ 1747 წელს თბილისი ირანელებისგან გაათავისუფლეს. გააერთიანეს ქართლისა და კახეთის სამეფოები. შეიქმნა მორიგე ჯარი. ერეკლემ შეზღუდა თავნება თავადები, სასტიკად აკრძალა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, განახლდა ზარაფხანა, გაჩნდა პირველი ქართული ფაბრიკა-ქარხნები, დაარსდა სემინარიები, გახშირდა წიგნების ბეჭდვა. 1783 წ გააფორმა რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“). მალე გამწვავდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება. ყველაფერი ეს გადაულახავ სიძნელედ გადაეღობა ქვეყნის განახლება-აღორძინებას. ამას ზედ დაერთო ირანელთა შემოსევა და თბილისის აოხრება 1795 წ., ასევე — რუსეთის მიერ სამოკავშირეო ვალდებულებების შეუსრულებლობა და ღალატი, რასაც მალე რუსეთის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოჰყვა.

გ) „ოჟა ჯურხაი“ ქართული ხალხური პოეზიის გმირია, მას ეძღვნება ცნობილი ოთხტრიქონიანი ლექსი:

„ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის წადილი,
ხანდახან შასძრავს ქარიო“.

ამ გმირის ცხოვრებისა და მოქმედების დრო არ ვიცით. მხოლოდ ხალხი გვამცნობს, რომ მისი ფარი იფარავდა ჩვენს ქვეყანას. ბეთლემის კარზე შეკიდული გმირის ფარი ხალხმა წარმოადგინა არა მხოლოდ ქვეყნის თავისუფლების ემბლემად, არამედ — მისი განსაცდელის მაცნედაც *(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1968)*. ლ. ასათიანის ამ ლექსში **ოჟა ჯურხაის ფარს** სწორედ ეს სიმბოლური დატვირთვა აქვს.

რევაზ ინანიშვილის „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“, ყოლა-ქონების მაწარმოებელ აფიქსებზე (ტერმინის გარეშე) დაკვირვება, -მეთქი, -თქო და -ო ნაწილაკების სწორად გამოყენება — 3 სთ.

მიზნები

— მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
— აღწერითი ტექსტის აგება
— ზეპირი ტექსტის მომზადებისა და მოსმენის სტრატეგიების დაუფლება
— საკუთარი აზრის დასაბუთება
— კრიტიკული აზროვნების განვითარება
— სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— დიალექტიზმებზე დაკვირვება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება
— წერის სტრატეგიების დაუფლება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება (7 წთ.):

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს გაიხსენონ, რა იციან **მეფე ერეკლეს** შესახებ. კარგი იქნება, თუ მანამდე დავავალებთ მოიძიონ ინფორმაცია ამ მეფის შესახებ.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წელს 30 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, ხუთი კლასი დაამთავრა მშობლიურ სოფელში. 1937 წელს ოჯახთან ერთად გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ, ომის წლებში (1943-45) წლებში მუშაობდა 31-ე ქარხანაში. 1947 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1949 წელს უნივერსიტეტი მიატოვა და ოჯახის სიდუხჭირის გამო იმავე წელს მუშაობა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობაზე. 1951 წელს დაბრუნდა უნივერსიტეტში და დაამთავრა 1956 წელს. 1952 წელს დაოჯახდა. 1960 წელს მუშაობა დაიწყო საბავშვო გამომცემლობა ,,ნაკადულში''.

1966 წელს გადავიდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' სასცენარო განყოფილებაში, 1985-1988წლებში მუშაობდა მწერალთა კავშირის მდივნად. 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჟურნალ „დილის“ რედაქტორად.

პირველი მოთხრობა დაიბეჭდა 1950 წელს, პირველი წიგნი გამოვიდა 1953 წელს. 1977 წელს წიგნისათვის ,,შორი თეთრი მწვერვალი'' მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია. მისი ნოველები თარგმნილია მრავალ ენაზე. მწერალი გარდაიცვალა 1991 წელს 26 დეკემბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კრწანისის ბრძოლა — 1795 წელს, ბრძოლა ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან, კრწანისის ველზე. აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე II-ს მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება) ერთგული ერეკლე II რუსეთის მთავრობას დახმარებას სთხოვდა. სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანი 35 ათასიანი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა. რუსთა დახმარების მომლოდინე მეფემ დროული და საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუმზადებელი დახვდა. ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, 10 სექტემბერს ქართველთა შეტევით შეშინებულ აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა დაარწმუნა შაჰი ქართველთა სისუსტეში. დღის II ნახევარში ბრძოლა სპარსელთა უპირატესობით წარიმართა (ადგილი ჰქონდა ღალატსაც). მტერმა ზარბაზნებიც გამოიყენა. ერეკლე II-მ და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწიეს, ბოლოს კი მთიულეთს შეაფარეს თავი. სპარსელებმა თბილისი ააოხრეს,

ხალხი ტყვედ გარეკეს, მათ დიდი ზარალი მიაყენეს აღმოსავლეთ საქართველოს. *(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბ., 1973)*

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი (17 წთ.):

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. გამომეტყველებით წაიკითხავს I თავის სამ აბზაცს. კითხვას აგრძელებს კითხვაში გაწაფული სამი მოსწავლე. მასწავლებელი არჩევს ზომიერად ზეაწეულ ინტონაციას, ტემპს, აკეთებს პაუზებს, მახვილებს... კითხვის პროცესშივე ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. გარდა „სიტყვის სალაროში" ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები:

გუშაგი — მცველი

მდუმარე — უტყვი, უთქმელი, უსიტყვო

ვიშვივი — ოხვრა, მოთქმა

ჩოჩქოლი — შეშფოთებით, აღელვებით გამოწვეული მოძრაობა და ყრუ ხმაური (ადამიანის)

მანდილი — ქალის თავსახვევი, თავსაბურავი

ნაბადი — მოთელილი მატყლისგან დამზადებული ქსოვილი; თექა

იერი — სახის გამომეტყველება, შესახედაობა, გარეგნობა (ადამიანისა)

გამოჩეჩქვილი — აქ: გამოცდილი, გამობრძმედილი

ტექსტის ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

— რა პერიოდია აღწერილი ტექსტში? (*ტექსტში აღწერილია მეფე ერეკლე II-ს მეფობის ხანა — კრწანისის ომი, რომელიც 1795 წ. გაიმართა*)

— როგორ აღწერს მწერალი კრწანისის ომში დამარცხებულ ქართველთა განცდებს? (*„მხოლოდ ციხის ბურჯებზე... მოსახვევის ბოლოებს"*)

— რა სურდა მზევარის ბიჭს? (*მზევარის ბიჭს უნდოდა თათრებს კომბლებით დაპირისპირებოდა თავისივე თანატოლ შვიდიოდე ბიჭთან ერთად*)

— როგორ აღწერს მწერალი მზევარის ბიჭისა და მეფის შეხვედრას?

(„რაღაცისათვის ტახტისკენ დახრილი... სიმტკიცე")

— "ქვეყნისათვის საჭირო" რა საქმე აქვს მზევარის ბიჭს მეფესთან?"

(*მას აქვს გეგმა, როგორ დაამარცხონ თათრები*)

— რას სთავაზობს იგი მეფეს? (*იგი მეფეს სთავაზობს: „ანანურელი ულამაზოების" — ქვრივ-ოხერთა, ღარიბ, უბრალო ადამიანთა — დახმარებას ბრძოლაში დამპყრობელთა წინააღმდეგ*)

მასწავლებელი სვამს კითხვებს (ზოგიერთი შეკითხვის პასუხს მოსწავლეები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ):

— *„დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა",* — წერია ტექსტში. თქვენი აზრით, სად იმყოფებოდა ეს სამი დღე ბრძოლაში დამარცხებული მეფე? (მსჯელობენ ამ საკითხის ირგვლივ. მასწავლებელი ხელმძღვანელობს პრინციპით: **„ყველას აზრი საინტერესოა"**).

— როგორ აღწერს მწერალი მზევარის ბიჭს? (*„ბიჭმა ერთხელაც... შიშველი ფეხები"*). რაზე მეტყველებს მისი გარეგნობა? (*იმაზე, რომ იგი ძალიან ღარიბი, შიშველტიტველი ყმაწვილია*).

— რა ატირებდა მზევარის ბიჭს? (*მას ერთი მხრივ, კრწანისის ომში დამარცხების და უამრავი ქართველის დაღუპვა ატირებდა; მეორე მხრივ კი — მეფისა და საკუთარი უმწეობის შეგრძნება*).

— ერეკლე მეფემ „რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები", — თქვენი აზრით, რისი თქმა სურს ამ სიტყვებით მწერალს? (*მწერალი მიგვანიშნებს მეფის სასო-*

წარკვეთილებაზე, უიმედობაზე, მას ღრმად სწამს ის, რომ მის ქვეყანას აღარაფერი ეშველება... მოსწავლეებს ამ საკითხის გარშემო სხვადასხვანაირი თვალსაზრისი ექნებათ). რამ გამოიწვია მეფის ასეთი განცდა? (*იგი შეძრულია აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული მამულის, დახოცილი ვაჟკაცების ხილვით*), კიდევ რომელი სიტყვები მიგვითითებს მეფის ამავე განცდაზე? (*„მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა“... „ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...“*);

— რატომ არ ენდობა მზევარის ბიჭი მდიდრებს? (*მიაჩნია, რომ ისინი ანგარებიანები არიან*); რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მისი ასეთი დამოკიდებულება მდიდრებისადმი? (*მოსწავლეები იმსჯელებენ და იკამათებენ ამ საკითხის გარშემო*).

აქტივობა 3 — წაკითხულის გააზრება (6 წთ.):

გაირკვევა, ვინ არის ნაწარმოების ავტორი (*რ. ინანიშვილი*), რომელ ეპოქას, დროს შეეხება ნაწარმოებში აღწერილი ამბავი (*1795 წლის 11 სექტემბრის შემდგომ ხანას*), რა არის ნაწარმოების ამ თავში მთავარი (*ერეკლე მეფისა და ანანურელი ყმაწვილის შეხვედრა, „ანანურელი ულამაზოს“ მიერ მეფისათვის შეთავაზებული წინადადება...*).

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წთ.):

ყოლა-ქონების მაწარმოებელ სუფიქსზე (*ტერმინის გარეშე*) დაკვირვება
კომბალი — კომბლ-იანი
შარვალი — შარვლ-იანი
ქუდი — ქუდ-იანი

— რას ამჩნევთ? რით განსხვავდება ეს სიტყვები ერთმანეთისაგან? *(გარეგნულად ეს სიტყვები ერთმანეთისაგან დაბოლოებებით განსხვავდება).*

— რა კითხვა დაესმის I სვეტში ჩამოწერილ სიტყვებს? (**რა?** კითხვა) II სვეტში ჩამოწერილ სიტყვებს? **(როგორი?);** როგორ მივიღეთ არსებითი სახელისაგან ზედსართავი სახელი, რა ბოლოსართი დავურთეთ? (*არსებითი სახელისაგან ზედსართავი მივიღეთ ბოლოსართ „იანის“ დამატებით*). რას აღნიშნავს ეს ზედსართავი სახელები? (*ეს ზედსართავი სახელები აღნიშნავს რაღაცის მქონეს, ყოლა-ქონებას*).

აქტივობა 5 — შეჯამება-შეფასება(3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს.

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.): — ტექსტის I თავი, შეადგინონ I თავის გეგმა, „აქტივობების რვეულიდან“ სავარჯიშო №2, — „მზევარის ბიჭისა და მეფის შეხვედრა“.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის დაყოფა ნაწილებად და შინაარსის გადმოცემა (9-10 წთ.): აქვე მასწავლებელი ამოწმებს წინა გაკვეთილზე მოცემულ დავალებას — მოსწავლეებს წერილობით უნდა გადმოეცათ ანანურელი ბიჭისა და მეფის შეხვედრა, შეედგინათ I თავის გეგმა.

სავარაუდო გეგმა:
Iთავი:

ა) მეფის იდუმალებით მოცული გამოჩენა
ბ) ჩოჩქოლი ციხის კედელთან
გ) მზევარის ბიჭის სტუმრობა
დ) მეფისა და ანანურელი ყმაწვილის შეხვედრა

მოსწავლეები ამ გეგმის მიხედვითა და მასწავლებლების დახმარებით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი მთლიანად, გაბმული თხრობით.

აქტივობა 2 —ზეპირი ტექსტის აგება (10-12 წთ.):

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას — შეადგინონ ტექსტი ზეპირი გამოსვლისათვის: **„მამულისათვის თავდადებული ადამიანები“.** შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ამისათვის საჭიროა გეგმის შედგენა. გეგმა უნდა ჩამოწერონ პუნქტებად, თხრობისას უნდა დაიცვან თანმიმდევრობა, შინაარსი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მის სათაურს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წაუკითხონ ამხანაგებს და მოისმინონ მათი შეფასება.

მოსწავლეები ახდენენ საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას და ისმენენ ამხანაგებისა და მასწავლებლის შეფასებებს.

აქტივობა 3 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (12 წთ.):

გრძელდება ტექსტის II და III თავების კითხვა. ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს, მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. გამოიყენება სახელმძღვანელოში მოცემული „სიტყვის სალარო“, აიხსნება ფრაზები: **აჯაგრული, აფხორილი ბიჭები** — გაბრაზებული ბიჭები; **გულში გამდნარ ტყვიასავით ჩაეღვენთა** — გულში გაჰკრა, გული ეტკინა; **სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას** — გაუჩინარდნენ, გაქრნენ...

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმული პირველი დონის კითხვების პასუხებს მოსწავლეები ამოიკითხავენ სახელმძღვანელოში.

— სად და როდის ხდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება? (*მოქმედება ხდება ანანურის ციხეში კრწანისის ბრძოლიდან სამი-ოთხი დღის შემდეგ*).

— ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მთავარი გმირები? (*ნაწარმოების მთავარი გმირები არიან მზევარის ბიჭი და მეფე ერეკლე*).

— როგორ აღწერს მწერალი ბიჭებს? (*„მზევარის ბიჭი კუშტად... ფეხებს შორის“*).

— რა განწყობა დაეუფლა მეფეს მათი დანახვისას? (*„უყურა, უყურა და... ქვეყნის საცოდავი შვილები“*).

— რას შეჰპირდა მეფე ბიჭებს? (*მეფე ბიჭებს შეჰპირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაგიძახებთო*).

— როგორ არის აღწერილი მოხუცებული „მზევარის ბიჭი“ (*„მთლად გათეთრებული უსინათლო მოხუცი“*).

— ვის და რას ელის იგი? (*იგი ელის ერეკლე მეფის მიერ გამოგზავნილ მაცნეს, რომელიც ხალხს თათრების წინააღმდეგ სალაშქროდ წაიყვანს*).

აქტივობა 4 — ტექსტის ნაწილებად დაყოფა და გეგმის შედგენა (7 წთ.): სრულდება დავალება №3, „აქტივობების რვეული“

1. კომბლიანი ბიჭების სტუმრობა მეფესთან
2. გულდამწვარი მეფე ერეკლე
3. მეფის დაპირება
4. მზევარის ბიჭი ოთხმოცი წლის შემდეგ

5. რუსული მედალი...

(გეგმის შედგენაში მონაწილეობს მთელი კლასი, დასახელდება თითოეული მონაკვეთის რამდენიმე სათაური და შეარჩევენ უკეთესს).

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება — სახელთა წარმოქმნა (5 წთ.):

ა) სიტყვათა წარმოქმნა — დავალება №3 („აქტივობების რვეული“)

ბ) ფრაზეოლოგიზმზე დაკვირვება:

ჯიქურ წავიდა — თამამად, გაბედულად წავიდა

გაჭირვებაში გამოჩეჩქვილი — გაჭირვებაში გამოცდილი, გამობრძმედილი

აქტივობა 6 — შეჯამებ ა (2 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (*მათ დაასრულეს რ. ინანიშვილის „ანანურელი ულამაზოების“ შესწავლა*), გაიცნეს მოხუცი მეფე ერეკლე — ქართველებისა და საქართველოს უიღბლობით გულდამძიმებული, ასევე გაეცნენ უცნობი გმირის „ანანურელი ულამაზოს“ — მზევარის ბიჭის სიმამაცეს, ქვეყნისათვის მის გულანთებულობას ღრმა მოხუცებულობამდე.

აქტივობა 7 — შეფასება (2 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა***)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%.***

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (1 წთ.):

„ანანურელ ულამაზოების“ II და III თავებში მოინიშნონ ის ადგილები, რომლებმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ, წერითი დავალება №4 „აქტივობების რვეულიდან“.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — საშინაო დავალების შემოწმება (8 წთ.):

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს თავიდან ბოლომდე. ყურადღება მახვილდება: ა) ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემაზე, ბ) თხრობისას დროთა თანმიმდევრობის დაცვაზე, გ) სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართებულად ხმარებაზე, დ) მწერლისეული ლექსიკის გამოყენებაზე...

მოწმდება და გაანალიზდება წერითი დავალებაც („აქტივობების რვეული“, დავალება №4). პასუხები:

დაძენძილი — დაკონკილი, დაფლეთილი, დაგლეჯილი

განიერი — აქ: ტანსრული, სქელი

დაშაშრული — დახეთქილი, კანდამსკდარი

შიშველი — ტიტველი

თოფიანი — იარაღიანი (შეიარაღებული)

დიდებული — საპატიო, პატივსაცემი

აქტივობა 2 — ზეპირი ტექსტის აგება და პრეზენტაცია (6 წთ.):

მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეებს; საანალიზოდ აძლევს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ცნობილი ლექსიდან შემდეგ სტროფს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

კლასს ყოფს სამ ჯგუფად, ავალებს გაიაზრონ სტროფის მნიშვნელობა, შეადგინონ ტექსტი ზეპირი გამოსვლისათვის და მოახდინონ მისი პრეზენტაცია. წამზომის ზარზე მოსწავლეები წყვეტენ მუშაობას და კლასს წარუდგენენ ზეპირი ტექსტის საკუთარ ვერსიას. აფასებენ და ავსებენ ერთმანეთის პასუხებს, ასახელებენ ფაქტებს, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას.

აქ მასწავლებელი კლასის ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის სიტყვებზე: ***„ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის ისტორიას ივიწყებს, საკუთარ წარსულს ივიწყებს, წარსული ახლანდელი დროების საფუძველია, ახლანდელი კი — მომავლისა“*** (ადაპტ.) — წერილი **„ერი და ისტორია“**.

ამ სიტყვებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები და მამულიშვილები.

აქტივობა 3 — წაკითხულის გააზრება (13 წთ.):

სრულდება დავალება №1. მოსწავლეები წყვილებში უსვამენ კითხვებს ლიტერატურულ პერსონაჟებს, ისინი კითხვა-პასუხით აგებენ დიალოგებს.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს საანალიზოდ:

— თქვენი აზრით, გულწრფელი იყო მეფის დაპირება? (*წარიმართება პოლემიკა. იქნება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხები*). რატომ ვერ შეასრულა მან თავისი დაპირება? (*რადგან მეფემ უკვე იწვნია მარცხი და იცოდა, რომ მისი დაქუმაცებული სამშობლო მხოლოდ გულადი ბიჭების საშუალებით უთანასწორო ომს ვერ მოიგებდა*).

— რომელი წლის ამბებია აღწერილი ნაწარმოების III ნაწილში?

(*აქ აღწერილია მეფისა და მზევარის ბიჭის შეხვედრიდან ოთხმოცი (80) წლის შემდეგდროინდელი ამბები*). რომელი წლით იწყებს მწერალი თხრობას და რომელი წლით ამთავრებს? (*იგი თხრობას იწყებს 1795 წლით და ამთავრებს 1875 წლით).* როგორია საქართველოს მდგომარეობა ამ დროს? (საქართველო უკვე რუსეთის საკუთრებაა), — „მოხუცს რუსული მედალი ეკიდა“, — წერია ტექსტში. რაზე მიგვანიშნებს მწერალი ამ წინადადებაში სიტყვა, „რუსულით“? (*სწორედ იმაზე, რომ საქართველო და ქართველები ახლა რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში იბრძვიან და არა სამშობლოსათვის*). რას ადარებს მწერალი ამ მედლების ფერს? (*სანთლის ფერს*).

— „გამვლელი თავჩაღუნული, სევდაჩამოწოლილი განაგრძობდა გზას“, — რა ჰგვრიდა გამვლელს ამ სევდას? (*ის, რომ მზევარის ბიჭი მთელი ცხოვრების მანძილზე ელოდა დამძახებელს მეფისას, საქართველო კი უკვე დიდი ხანია აღარ იყო სამეფო, ერეკლე კი უკვე ძალიან დიდი ხნის გარდაცვლილი გახლდათ. ანანურელ ბიჭს, ისევე, როგორც მთელ საქართველოს, გაუცრუვდა მოლოდინი*).

— თქვენი აზრით, ტექსტის მთავარ გმირს რატომ არ არქმევს მწერალი სახელს? (იმიტომ, რომ ის ტიპური მაგალითია მისი ასაკის ყველა იმდროინდელი ყმაწვილისა). რატომ მოიხსენიებს მას „მზევარის ბიჭად?“ (*ალბათ, იმიტომ რომ მზევარი ცნობილი პიროვნება იყო*).

— რატომ არიან ანანურელი ბიჭები „ულამაზოები“? რაზე მიგვანიშნებს მწერალი

ამ სიტყვით? (*სწორი პასუხია* **გ**).

— რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის? (*კრწანისის ომში დამარცხებამ შეცვალა ქართველების ცხოვრება; ქართველებს ძალიან სტკივათ გული ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო...*).

სრულდება დავალება №3.

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წთ.):

ა) სიტყვათწარმოება — უქონლობის სახელები:

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს იმ ზედსართავებზე, რომლებთაც მწერალი იყენებს გმირების აღწერისას:

ლამაზი — უ-ლამაზ-ო

სინათლე — უ-სინათლ-ო

ფული — უ-ფულ-ო

მასწავლებელი სვამს კითხვას: რას ამჩნევთ, რით განსხვავდება ეს სიტყვები ერთმანეთისაგან? (*ეს სიტყვები ერთმანეთისაგან მნიშვნელობით განსხვავდება, მეორე სვეტში ჩამოწრილი სიტყვები უქონლობას აღნიშნავს*).

მოსწავლეები ასრულებენ დავალება №5 („აქტივობების რვეულიდან“);

იარაღი — უ-იარაღ-ო

მიწა — უ-მიწ-ო

ტყე — უ-ტყე-ო

ქუდი — უ-ქუდ-ო

ჭკუა — უ-ჭკუ-ო

ბინა — უ-ბინა-ო

ბ) სხვათა სიტყვის ნაწილაკი:

მასწავლებელი დაფაზე წერს ფრაზას ტექსტიდან:

„შენს მეგობრებს გადაეცი: მეფემ შემოგითვალათ, როცა დრო დადგება, მაშინვე დაგიძახებთ-თქო“. კითხვით მიმართავს კლასს:

— ვინ აბარებს ამ სიტყვებს? (*ამ სიტყვებს აბარებს მეფე*). ვინ არის მოუბარი? (*მოუბარი მეფეა*).

— ვის აბარებს ამ სიტყვებს? (*ამ სიტყვებს მზევარის ბიჭს აბარებს*)

— ვისთან აბარებს? (*აბარებს ანანურელ ბიჭებთან*)

— რა ბოლოსართი (*ნაწილაკი*) დაერთვის მოუბარის ნათქვამს ამ შემთხვევაში? *(მოუბარის ნათქვამს დაერთვის* **-თქო** *ნაწილაკი).*

დაიმახსოვრეთ: თუ მოუბარი ვინმეს რამეს აბარებს სხვასთან, წინადადებას ბოლოში **-თქო** დაერთვის.

შემდეგ სვამს კითხვას წინა კლასში განვლილი მასალიდან:

— რომელ ბოლოსართს (ნაწილაკს) იყენებს მოუბარი:

ა) თავისი სიტყვების გამეორებისას? (**-მეთქი** *ნაწილაკს*)

ბ) სხვისი სიტყვების გამეორებისას? (**-ო** *ნაწილაკს*).

ასახელებენ მაგალითებს.

აქვე მასწავლებელი კლასს შეახსენებს ადრე შესწავლილ **-მეთქი, -თქო** ნაწილაკებსაც (იხ. ა. წერეთლის „ძიძასთან“), ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება დავალება №6 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 5 — შეჯამება (3 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (დაასრულეს „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოების“ ტექსტის შესწავლა, გაეცნენ უქონლობისა და ქონაყოლის მაწარმოებელ თავსართ-ბოლოსართების გამოყენება, დააკვირდნენ და გაიხსენეს **-მეთქი, -თქო** და **-ო** ნაწილაკების სწორად ხმარების წესი...).

აქტივობა 6 — შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა***)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%.***

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 წთ.):

საშინაო დავალებად ეძლევათ რ. ინანიშვილის მოთხრობა „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“ ბოლომდე. დასაწერად ეძლევათ სავარჯიშო №4. II თავის მოკლე შინაარსი; №2 — მოამზადონ ტექსტი ზეპირი პრეზენტაციისათვის: „რატომ ვერ შეასრულა მეფემ დანაპირები?“.

შედეგების კოდი:

V4 — მოსწავლე წარმოადგენს/აფასებს ზეპირ ტექსტს „თავდადებული გმირები“;

V2 — წინასწარ ადგენს გეგმას ზეპირი გამოსვლისათვის, ჯგუფთან ერთად განსაზღვრავს წესებს ზეპირი გამოსვლისათვის;

V3 — თემის შესაბამისად მოიძიებს სათანადო მასალას;

V4 — ავლენს ლიტ. ნაწარმოების ესთეტ. შეფასების საწყის უნარს (მონაწილეობს ჯგუფურ დისკუსიაში, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ტექსტში აღწერილი ამბის მიმართ, ასაბუთებს თავის აზრს);

V5 — მართებულად იყენებს ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს შესაბამის სიტუაციაში (სხვათა სიტყვების ნაწილაკების მაგალითზე);

V6 — ასახელებს წაკითხული ტექსტის თემას, ავლებს პარალელებს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;

V7 — ამიცნობს ტექსტის ენობრივ თავისებურებებს (სიტყვათა წარმოება...);

V8 — ყოფს ტექსტს ცალკეულ ნაწილებად, ადგენს გეგმას;

V9 — წერილობით ქმნის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს (ეპიზოდი შესწავლილი ლიტ. მასალიდან, წაკითხულის მოკლე შინაარსი), წერისას იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხებს (ეპიტეთებს, შედარებებს...);

V10 — ადეკვატურად ცვლის ენას ერთი ტექსტის ფარგლებში (თხრობა, აღწერა...);

V11 — ნაწერის სათაურს შეუსაბამებს შინაარსს, წერისას იცავს ლოგიკურ თანმიმდევრობას ფაქტების გადმოცემისას;

V12 — იყენებს კორექტირების მარტივ ხერხს, ასწორებს შემჩნეულ გრამატიკულ და პუნქტუაციურ შეცდომებს.

ანა კალანდაძის ლექსი „შენ ისე ღრმა ხარ...“, *ენობრივი მასალა — ზედსართავ სახელზე დაკვირვება, რითმა.*

მიზნები

— პოეტური ტექსტის აღქმა
— მხატვრულ კითხვაში ვარჯიში
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
— ორთოგრაფიული და ორთოეპიული ჩვევების ფორმირება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება, სიტყვათა წარმოქმნა (ტერმინის გარეშე)

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისთვის მზადება:

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას — გაიხსენონ საქართველოს ისტორიული ძეგლები, ისაუბრონ მათ შესახებ; კარგია აგრეთვე ჯგუფური გასვლა კულტურული ძეგლების დასათვალიერებლად (*მოსწავლეები იხსენებენ მაგ: გრემს, დავით გარეჯს, გელათს, იყალთოს* და *ა.შ.*). თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ვარიანტს. მოსწავლეები საუბრობენ, რა წაუკითხავთ ამ ძეგლების ირგვლივ, რომელი ცნობილი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს გაიხსენებენ...

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ანა კალანდაძის ლექსს „შენ ისე ღრმა ხარ...“, აკითხებს 1-2 მოსწავლეს, შემდეგ ავალებს წაიკითხონ ლექსი ჩუმად, მოძებნონ და ახსნან გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გამოიყენონ ამ მიზნით „სიტყვის სალარო“; მოინიშნონ ის უცნობი სიტყვებიც, რომლებიც წიგნში არ არის ახსნილი:

ოსმალო — (ძვ.) იგივეა, რაც თურქი...

მონღოლი — (ისტ.) მონღოლები — სახელწოდება სხვადასხვა ტომებისა, რომლებმაც მე-13 საუკუნეში შექმნეს სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, **მონღოლი** — ამ ეთნოსის წარმომადგენელი.

სპარსი — ირანელის ძველი სახელწოდება. **ირანი** — ქვეყანა აღმოსავლეთში.

ოშკი — X ს-ს 50—60-იანი წლების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სამონასტრო ცენტრი ისტორიულ ტაოში (ახლა თურქეთის ფარგლებშია).

ზარზმა — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფელ ზარზმაში, ადიგენის რაიონში. თავდაპირველად დაუარსებია (VIII-IX სს.) სერაპიონ ზარზმელს ადგილობრივი მთავრის გიორგი ჩორჩანელის დახმარებით. ზარზმის ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV ს-ის პირველ წლებში — სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს.

ტაო — მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ურარტულ წარწერებში „დიაოხის“ სახელითაა ცნობილი.

ფაქიზი — ძალიან სუფთა, წმინდა, სპეტაკი, უმწიკვლო.

დიდება — სახელი, პატივი, ღირსება.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ანა კალანდაძე 1924 წ. დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში, ქართველი პოეტი, მან 1946 წ. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსები. პირველი კრებული „ლექსები“ 1953 წელს გამოსცა. მისმა პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფით და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართულ პოეზიაში ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. მისი შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი ლირიკული თვითგამოხატვით ცხადდება და უაღრესი ინტიმურობის ელფერს იძენს. ასე აჟღერდა მის ლექსებში სამამულო ომის შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისის თემაც („კარში გამო, ჭია-ჭია მარია“, 1946); ასეთია ბუნების გრძნობაც („თუთა“, 1945; „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, 1946; „ბეთანიის გზაზე“, 1954). ისტორია კალანდაძის ლექსში არასოდეს არ გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“; „ღრუბლები“). ანა კალანდაძის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა — სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების — ორგანულ განცდას („საქართველოო ლამაზო“, „მრავალჟამიერ“, „ფეხი დამადგით“). მისი ლექსის საზოგადოებრივი ჟღერადობა ეფუძნება თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიწმინდისა და ამაღლების ამოცანას.

ანა კალანდაძის პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმით გამოირჩევა. სინამდვილე მის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი, გაფაქიზებული სახით წარმოჩნდება. მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით არის მიღწეული.

ა. კალანდაძის პოეტური კრებულები გამოიცა გასული საუკუნის 50-60-70-იან წლებში, მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე.

ანა კალანდაძე გარდაიცვალა 2008 წელს.

(ჩხეიძე ნ. ლიტერატურული წერილები, თბ., 1969; ჩხენკელი თ., პოეზია — სიბრძნის დარგი, თბ., 1978; ჭილაძე თ. წერილები, თბ., 1978 წ.).

აქტივობა 3 — გააზრება:

1) გაირკვევა ვინ არის ლექსის ავტორი *(ა. კალანდაძე)*, რომელი ხუროთმოძღვრული ძეგლები *(ტაძრები, ეკლესიები)* არის დასახელებული ლექსში (*ოშკი, ზარზმა*), საქართველოს ისტორიული მტრებიდან რომლებია ნახსენები აქ *(სპარსი, ოსმალო, მონღოლი*).

2) გაანალიზდება, რას უძღვნის პოეტი ამ ლექსს (*პოეტი ამ ლექსს უძღვნის მშობლიური ქვეყნის ზეცას*).

— რომელი სიტყვები მეორდება ლექსში? (*„შენ ისე ღრმა ხარ...“ და „ქართულო ცაო!“*). ხერხი გამეორებისა, რომელსაც პოეტი მიმართავს, ცნობილი სტილისტური ხერხია ლიტერატურაში.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

გამეორება — გამოსახვის სტილისტიკური ხერხი; მხატვრულ მეტყველებაში გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და ემოციის გამაძლიერებელ საშუალებად. გულისხმობს როგორც სიტყვების, ფრაზების, წინადადებების, ისე — ბგერების, რითმის მეტრისა და რიტმის გამეორებასაც. ენობრივი გამეორების (ბგერითი გამეორების) სახეებია: **ალიტერაცია, ასონანსი, რითმა.**

— პოეტის აზრით, რატომ ვერ ნახულობს ქართული ცის ქვეშ სამკვიდროს მტერი? (*ქართველები ვერ ეგუებიან მტრის ბატონობას*).

— რომელი ისტორიული ძეგლებია ნახსენები ლექსში? (*ლექსში ნახსენებია **ოშკი** და **ზარზმა***). რატომ ახსენებს მათ პოეტი? (*ზემოთდასახელებული ისტორიული ძეგლები: **ოშკი** და **ზარზმა** უტყუარი დასტურია ძველი საქართველოს მატერიალური და სულიერი ძლიერებისა, მათი ხსენებით პოეტი ლოგიკურ ხაზს აბამს მანამდე ნათქვამ ფრაზასთან: „სამკვიდრო შენს ქვეშ... ვერავინ ნახა“, ვერ მოიკიდა ფეხი მტერმა, რადგან ოშკისა და ზარზმის შემქმნელ ერს ვერ მოერია ვერც ურჯულო ოსმალი, ვერც სპარსი და ვერც მონღოლი*).

— რა განწყობა დაგეუფლათ? (*ამის თაობაზე მოსწავლეებს, ბუნებრივია, სრულიად სხვადასხვა შეხედულება ექნებათ. დაე, იმსჯელონ*).

— რატომ არის ტაო „ბებერი“? (*რადგან მას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და პოეტის სუბიექტური დამოკიდებულება სამხრეთ საქართველოს კულტურულ მარგალიტთან ამდაგვარია, „ბებერში“ იგულისხმება კდემა და მოწიწება სიძველის, სიწმინდის მიმართ*).

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

— რომელ ზედსართავ სახელებს იყენებს პოეტი ქართული ცის დახასიათებისთვის? (*„ღრმა“*)

— *“ბებერო ტაო“*, — წერია ლექსში. უსულო საგნის თვისების აღსანიშნად შეიძლება თუ არა ამ ზედსართავი სახელის გამოყენება? (*შეიძლება, როდესაც ავტორი მას იყენებს, როგორც მხატვრულ ხერხს — გაპიროვნების*).

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

გაპიროვნება — პერსონიფიკაცია, ტროპის სახე. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი გაპიროვნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. განსხვავდება მეტაფორისაგან იმით, რომ მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე, გაპიროვნებაში კი გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები. *(ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები).*

— სად არის ამ ლექსში მიმართვა? *(„ქართულო ცაო“)*; რა სასვენი ნიშნებით გამოიყოფა იგი? (*მიმართვა ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა*).

აქტივობა 5 — რითმაზე დაკვირვება:

მასწავლებელი დააკვირვებს მოსწავლეებს ლექსის ორ სეგმენტზე:

სპარსმა — ზარზმა

ცაო — ტაო

სვამს კითხვას: — როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს? (*სავარაუდო პასუხი: ეს სიტყვები ერთმანეთს ჰგავს დაბოლოებებით*); ლექსში სხვაგანაც ხომ არ მოძებნიდით ასეთ სიტყვებს? (*ღრმა ხარ — ნახა*); რას ანიჭებს ამით ლექსს პოეტი? (*ამით ლექსს პოეტი ანიშნებს მუსიკალურობას, კეთილხმოვანებას, სილამაზეს*).

რითმა — (ბერძნ. რიტმოს — ტაქტი, ზომა) ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორება, ბგერათა შეწყობა-შეთანხმება ტაეპებში უკანასკნელი მახვილიანი მარცვლიდან მოყოლებული. ზოგჯერ ბგერების ასეთი შეწყობა-შეთანხმება ტაეპებს შიგნითაა (შიგა რითმა).

რითმაში შეიძლება მეორდებოდეს ცალკეული ბგერები, სიტყვები ან სიტყვათა ჯგუფები, იშვიათად — ტაეპები. ლექსიკური თვალსაზრისით რითმა საინტერესოა იმით, რომ იგი ბგერითი გამეორებით გამოყოფს სიტყვას და მით ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. რითმის ინტონაციური ფუნქცია ხელს უწყობს ლოგიკურ მახვილს, რის შედეგადაც გასარითმი სიტყვა გამოიყოფა მეტყველების ნაკადში და იქცევს ყურადღებას. რითმა პოეტურ მეტყველებაში ქმნის რიტმულობას, კეთილხმოვანებას, მუსიკალობას საერთოდ.

(ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები)

აქტივობა 6 — შეჯამება-შეფასება:

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა,***

კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%.***

აქტივობა 7 — საშინაო დავალება:

საშინაო დავალებად მოსწავლეებს ეძლევათ ა. კალანდაძის ლექსი „შენ ისე ღრმა ხარ“... ზეპირად, — სავარჯიშო №1 „აქტივობების რვეულიდან“: **ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მოიძიონ სათანადო მასალა ბიბლიოთოეკაში ან იტერნეტით და ისაუბრონ ოშკისა და ზარზმის შესახებ,** შესაძლოა ვიზუალური მასალების წარმოდგენითაც. დასაწერად სავარჯიშო №2: თხზულება სათაურით „სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა ვერავინ ნახა“.

შედეგების კოდი: V1, V5, V6, V8, V10.

შემდეგი მასალის: **ი. ჭავჭავაძის ლექსების „დამაკვირდი“** — დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ.

ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, *რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელი და მათი მართლწერა*

მიზნები:

— ტექსტის კითხვა და ანალიზი

— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება

— პარალელების გავლება შესწავლილ (წაკითხულ) ლიტერატურულ ნაწარმოებებთან

— წაკითხულის შეფასება და საკუთარი აზრის დასაბუთება

— ლექსიკური მარაგის გამდიდრება

— გაბმული მეტყველების განვითარება

— ნაწარმოების თემისა და დედააზრის გარკვევა

— ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება

— რიცხვით სახელზე დაკვირვება და მართლწერის სათანადო ჩვევების დაუფლება

აქტივობა 1 —კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

მასწავლებელი კლასს ახსენებს ილიას ცნობილ ფრაზას“:

„პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“.

კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს გაიაზრონ, როგორ ესმით ფრაზა **„ნამუსიანი მტერი“**. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომელიც შეფასდება და გაანალიზდება კლასში.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

გიორგი XI — ქართლის მეფე 1676-88, 1703-1709 წლებში; ვახტანგ V-ის ძე; მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით; ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და ირანის ბატონობის ალაგმვას ქართლში; დახმარების მისაღებად დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. 1688 წ. აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. აჯანყება დამარცხებით დასრულდა, რადგანაც ვერ მიიღო შეპირებული დახმარება ირანისაგან, ამავე დროს უღალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა. ირანის შაჰმა მეფობიდან გადააყენა და მის ნაცვლად გაამეფა ერეკლე I (1688 წ). გიორგი XI-მ იმერეთს შეაფარა თავი და იქიდან იბრძოდა ტახტის დასაბრუნებლად. 1696 წელს გაემგზავრა ირანში და დასთანხმდა შაჰის წინადადებას — ირანთან ერთად მიეღო მონაწილეობა ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შაჰმა იგი კვლავ დაამტკიცა ქართლის ტახტზე (1703 წ.) და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გიორგი X-მ ირანის შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული ავღანელები დაამარცხა, მაგრამ ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს 1709 წ. (ქსე, ტ. III, გვ. 161).

ყიზილბაშები (თურქ.) — „წითელთავიანები“; მათი წითელი თავსაბურავი შედგებოდა 12 ნაკეცისაგან, რაც 12 შიიტ იმამს ნიშნავდა სიმბოლურად. ქართულ ისტორიულ წყაროებში „ყიზილბაშები“ ერქვათ ირანელ მებრძოლებს, რომლებიც ამ წითელ თავსაბურავს ატარებდენენ (ქ ს ე, ტ. X, გვ. 642).

ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, ცალკეული, აზრობრივად დასრულებული მონაკვეთების სახით. შეიძლება გამოვიყენოთ „პაუზებით კითხვაც“ და თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ კლასს მივცეთ შესაძლებლობა, გამოთქვას ვარაუდი მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს:

სარდალი – მხედართმთავარი
დაიძახეს ჯარიანობა – შეკრიბეს ჯარი
გამართული ჯარი – კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი ჯარი
ჯირითი — ჭენება (ცხენისა)
მოსხეპილი – მოხდენილი, ტანწვრილი
კამარა შეკრა — მაღლა ახტა და შორს დაეშვა, ფრენით ნახევარწრე გააკეთა
მკლავი ერჩის — ძალა მოსდევს...

ამ დროს გაირკვევა ისიც, თუ რომელი ფორმებია დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელი და რა არის მათი თანამედროვე შესატყვისი (**დაიძახეს ჯარიანობა** – *ჯარი შეკრიბეს*; **თავისად დაიჭიროს** — *დაისაკუთროს, დაიპყროს*; **მინამ** — *მანამ*; **შეუბღერტა** — *შებერტყა, შეაჯანჯღარა...*). ყურადღება გამახვილდება ტექსტში გამოყენებულ იდიომატურ გამოთქმებზეც:

სირცხვილი გვაჭამოს — შეგვარცხვინოს
ქალის ლეჩაქი დაგვხუროს — შეგვარცხვინოს (*იტყვიან მხოლოდ მამაკაც ზე*)

დაისმის **ფაქტობრივ** მასალაზე ორიენტირებული კითხვები, რომელთა პასუხები მოსწავლეებმა წიგნში უნდა მოძებნონ:

— საქართველოს ცხოვრების რა პერიოდია აღწერილი ტექსტში? ვინ იყო ამ დროს ქართლის მეფე? ირანის ყაენი?

— რა მიზნით გამოაგზავნა ირანის შაჰმა თავისი ჯარი?

— მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც აღწერილია: **ა)** ყიზილბაში მეომრის სითამამე; **ბ)** ქართველ მეომართა წუხილი ამის გამო; **გ)** მტერთან შებრძოლება; **დ)** ქართველ მეომართა იმედი; **ე)** ნიკოლოზის უარის მიზეზი; **ვ)** ნიკოლოზისა და მტრის მეომრის ორთაბრძოლა...

ამის შემდეგ მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ **ჩუმად**, ჩაინიშნავენ იმ კითხვებს, რომლებიც ტექსტის კითხვისას გაუჩნდათ.

აქტივობა 3 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

კლასის კოლექტიური ძალებით შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) სპარსელების თავდასხმა
ბ) ახალგაზრდა ყიზილბაშის სითამამე
გ) ქართველების წუხილი
დ) მშველელის ძებნა
ე) ნიკოლოზის უარის მიზეზი
ვ) ქართველების თხოვნა
ზ) ახალგაზრდა მტერთან შებრძოლება
თ) რაინდები...

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი — მთლიანად გაბმული თხრობით. თხრობისას ყურადღება მახვილდება ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემაზე, თანამედროვე სალიტერატურო ფორმების გამოყენებაზე, III პირში თხრობაზე, სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართებულად გამოყენებაზე...

აქტივობა 4 — ტექსტის გააზრება და შეფასება:

— თქვენი აზრით, რატომ იქცევა მტრის მებრძოლი ასე თამამად? მისი რა თვისებები ჩანს ტექსტში?

— რას წუხან ქართველი მეომრები? რას მიიჩნევენ ისინი „სირცხვილის ჭმევად“ და „ქალის ლეჩაქის“ დახურვად? რა სწყინთ მათ ყველაზე მეტად? მათი რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში?

— რატომ თქვა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა მტრის ახალგაზრდა ჯარისკაცთან შებრძოლებაზე უარი? რა იყო ამის მიზეზი?

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის რა თვისება ჩანს მისი სიტყვებიდან: *„მე შენ თავს არ მოგჭრი, შენი თავი შენი ვაჟკაცობისათვის მიპატიებია...“?* რა ჩათვალა მან მტრის ვაჟკაცობად?

— რატომ მოიქცა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი ასე? რა იყო ამის მიზეზი? (**ა) მტრის სიბრალული, ბ) დამარცხებული მტრის პატივისცემა, გ) ყიზილბაშების შიში** — ხაზი გაუსვით თქვენთვის მისაღებ პასუხს და დაასაბუთეთ).

— მტრის მებრძოლის რა თვისება ჩანს მისი სიტყვებიდან: *„მეც თუ სიცოცხლეს ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგან“?*

— რა სიტყვებით ახასიათებს ნიკოლოზი საკუთარ თავს? *(დაბერებული და დაჩაჩანაკებული).* მისი რა თვისება ჩანს აქედან? *(თავმდაბლობა).* რა სიტყვებით ახასიათებს იგი მტრის ჯარისკაცს? რას ადარებს მას? *(ახლადულვაშაშლილი ვაჟკაცი ლომსა ჰგავს).* თუ ჩანს ამ სიტყვებში მისი დამოკიდებულება მტრის ჯარიკაცისადმი? *(ჩანს მის მიმართ პატივისცემა და ძალების რეალურად შეფასების უნარი*).

— თუ ჩანს ტექსტში ავტორის დამოკიდებულება გმირებისადმი? *(ავტორის დამოკიდებულება ტექსტში არ ჩანს, იგი მხოლოდ მთხრობელის როლში გვევლინება).*

— მისაღებია თქვენთვის ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის საქციელი? მტრის ჯარისკაცის საქციელი? (**დიახ, არა,** — დაასაბუთეთ თქვენი აზრი, სრულდება წყვილებში, დავალება №1).

— შეიძლება თუ არა ვუწოდოთ მათ „ნამუსიანი მტრები“? დაასაბუთეთ.

— რომელი შესწავლილი (წაკითხული) ნაწარმოები გაგახსენდათ ამ ლექსის კითხვისას? რა აქვთ მათ საერთო?

— ილიას რომელი ცნობილი ლექსი შეიძლება მივუსადაგოთ ამ ნაწარმოებს? („სიკეთით სძლიე შენს მტერსა...“).

— რა არის მთავარი ამ ტექსტში? (**ა)** რაინდული დამოკიდებულება მტრებს შორის, **ბ)** ქართველების ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, **გ)** გიორგი XI-ის დროინდელი საქართველოს აღწერა – სწორია პასუხია ა).

აქტივობა 5 — ტექსტის აგება – ლიტერატურულ პერსონაჟთა მარტივად დახასიათება:

დაფაზე დაიხაზება **„გონებრივი იერიშის რუკა“**, რომელიც თანდათანობით შეივსება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით:





გაკეთდება **ვენის დიაგრამაც,** რომელიც ასევე დაეხმარება. მოსწავლეებს პერსონაჟთა ხასიათთა შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენაში:



მის შემდეგ მოსწავლეები წერილობით ახასიათებენ პერსონაჟებს (დავალება №2).

აქტივობა 6 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა) ფრაზეოლოგიური მუშაობა: რომელი ფრაზებით გამოხატავს მწერალი უდიდეს სირცხვილს? (*„ქალის ლეჩაქი დაგვხუროს“, „სირცხვილი გვაჭამოს“*). აქვე მასწავლებელი კლასს აცნობს სინონიმური მნიშვნელობის სხვა ფრაზეოლოგიზმებსაც: **„თავი მოეჭრა“, „სირცხვილის ოფლში გაიწურა“, „ქუდი არ ჰხურებია“**. შეიძლება ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებაც წინადადებებში.

ბ) მართლწერაზე მუშაობა — მოსწავლეები გაიხსენებენ რიცხვითი სახელის რაობას, რომელიც მათ შესწავლილი აქვთ III-IV კლასებში, შემდეგ ტექსტში ეძებენ ა) რაოდენობით (ერთი, ხუთი, ერთი-ორი), ბ) რიგობით (მეთერთმეტე, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე) რიცხვით სახელებს; იხსნებენ მათ მართლწერას და წერილობით ასრულებენ დავალებებს №3 და №4-ს.

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V6, V7, V8, V11, V12.

3 სანიმუშო გაკვეთილის სცენარი

რევაზ ინანიშვილის „ხორასნელი ჭაბუკი“, *რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერა, სახელთა წარმოქმნა (ადამიანთა წარმომავლობის სახელები)*

მიზნები

— ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
— საკუთარი აზრის გამოხატვა და დასაბუთება
— გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა, შინაარსის გადმოცემა (თხრობით, წერილობით)
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ტექსტის აგება, ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
— რიცხვითი სახელის მართლწერის დაუფლება
— სახელთა წარმოქმნაზე დაკვირვება.

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — მზადება კითხვისათვის (5-7 წთ.):

ეს მუშაობა შეიძლება წარვმართოთ ორგვარად:

ა) მასწავლებელი კლასს აძლევს საყრდენ ფრაზას:

„საქართველოს მტრები“ და ავალებს შეადგინონ ზეპირი თხზულება ისტორიულ თემაზე. ეს სამუშაო უმჯობესია შესრულდეს ჯგუფურად (*ორი ან სამი ჯგუფი ინაწილებს თემებს*).

ბ) მოსწავლეები იხსენებენ რ. ინანიშვილის წინა კლასებში შესწავლილ ნაწარმოებებს და საუბრობენ მათ შესახებ.

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (15 წთ.):

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას, პირველ აბზაცს კითხულობს მხატვრულად, კითხვაში გაწაფული მოსწავლეები ერთმანეთის მონაცვლეობით აგრძელებენ კითხვას (სამი მოსწავლე მაინც). ტექსტი მთლიანად აგებულია ისტორიულ-პატრიოტულ მოტივზე, აქედან გამომდინარე, უნდა შეირჩეს ზომიერად დრამატული ინტონაცია და ტემპი.

მასწავლებელი სვამს **პირველი დონის** კითხვებს, რომელთა პასუხებს მოსწავლეები სახელმძღვანელოში ამოიკითხავენ:

— რა ამბავი შეატყობინეს თემურ-ლენგს მაცნეებმა? (*თემურ-ლენგს მაცნეებმა შეატყობინეს, „ისევ აიშალნენ ქართველები, ისევ გამოიღეს ხელი, ყლეტენ ჩვენს რაზმებსა და ურდოებს, გამაგრდნენ ციხეებში და უარს ამბობენ მორჩილებაზეო“*);

— რა საშუალებით დაამარცხა „სამყაროს მბრძანებელმა“ ქართველები?

— როგორ აღგვიწერს მეისტორიე საქართველოს რბევას? (*„ბრიალებდა ქალაქები და სოფლები, მიწისძვრისაგან ჩამოშვავებულივით ინგრეოდა ციხეები, იკაფებოდა ბაღები და ვენახები, ცხენებს უჭირდათ დახოცილთა გვამებში ბრუნვა და გაღი ზიანებულები სწვდებოდნენ ერთმანეთს კბილებით“*).

— როგორ არის აღწერილი ბირთვისის ციხე? მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში

სათანადო ადგილები (*„მაინც აღმოჩნდა გაუტეხელი ციხე, ბირთვისად წოდებული, ას ორმოცდაათი ადლის სიმაღლე კლდის წვერზე აზიდული, ორმხრივ ღრმაღელეჩამომდინარი, ღრანტიანი, ვიწრო ალაგი, რომე კაცისაგან არ დაიდგომებოდა“*);

— რატომ ვერ შეძლო თემურ-ლენგმა ბირთვისის ციხის აღება? (*ციხისკენ მიმავალი გზა არ არსებობდა, მასზე მხოლოდ ბაგირით თუ აცოცდებოდი*);

— ვინ დაეხმარა მას ამაში? (*მას ამაში დაეხმარა ქურთი ეროვნების ჯამბაზი ბიჩაგი*);

— რა „სასიამოვნო ამბავი“ შეიტყო თემურ-ლენგმა? (*მან შეიტყო ქართველების უდარდელობისა და დროსტარების ამბავი*);

— რა ხერხს მიმართეს ციხის ხელში ჩასაგდებად დამპყრობლებმა? (*ციხის ხელში ჩასაგდებად ბიჩაგისა და მისი ორი მუშაითის პროფესია — საბელზე ცოცვა გამოიყენეს, მოქსოვეს აბრეშუმის ბაგირები, საბელით გადაძვრნენ ციხის გალავანზე, ციხის ეზოში მდგარ ხეს შეაბეს ნაქსოვი კიბეები, რომლებზეც მტრის ორმოცდაათი ნარჩევი ვაჟკაცი აცოცდა და ღამით ვერაგულად ამოხოცეს მიძინებული ქართველობა*).მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც ბირთვისის ციხის აღებაა აღწერილი (*მოიგრაგნებოდა და მობღაოდა რაზმი რაზმებზე, სამოცმა ქართველმა, დაჭრილებმა და დასახიჩრებულებმა, დამორჩილების ნიშანი გამოჰკიდეს კოშკიდან, მაგრამ არა ქნა, არ შეიწყალა თემურმა. მაშინ, ვისაც შეძვრის ღონე ჰქონდა, წაიკრეს ხელი ხმალთა*);

— რატომ არ იკადრა ხორასნელმა ჭაბუკმა მძინარე ქართველების ხოცვა? (*„ჭაბუკური რწმენისა თუ გულოვანების გამო“ — როგორც დასძენს ავტორი, შესაძლოა მას როგორც ყურანში განსწავლულს, ცოდვად მიაჩნდა უდანაშაულო, უიარაღო ადამიანების ხოცვა*); რა იყო მისი „დანაშაული“? (*მისი დანაშაული ისაა, რომ დანანებით აღმომხდარი სიტყვები „ალლაჰ, ალლაჰ“, მიზეზი გახდა მძინარე მეციხოვნეების გაღვიძების და დაუგეგმავი ბრძოლის გაჩაღებისა*);

— როგორ გაუსწორდა თემურ-ლენგი ტყვეებს? (*თემურმა ტყვეების წამებით ამოხოცვის ბრძანება გასცა*); გაიხსენეთ ხნიერი ციხისთავის დასჯის მაგალითი (*ხნიერი ციხისთავი დაამხეს, მიწა აალოკინეს, შემდეგ კი ჯალათს გადასცეს წამებისათვის*);

— რა განაჩენი გამოუტანა ლანგ-თემურმა ხორასნელ ჭაბუკს? (*განაჩენი ასეთი იყო: წამების გარეშე, ბასრი ცულით თავის მოკვეთა*); რა იყო მიზეზი მისი „შებრალებისა“? (*მისი „შებრალების“ მიზეზი იყო მისი განათლებულობა, წერა-კითხვის და ყურანის ცოდნა, თემურ ლენგი კი განათლების მოტრფიალე იყო*);

მოსწავლეები ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს „სიტყვის სალაროსა“ და მასწავლებლის დახმარებით.

ინფორმაცია მასწავლებლებისათვის

ხორასანი — ისტორიული ოლქი შუა აღმოსავლეთში, მოიცავდა თანამედროვე ირანისა და ავღანეთის ნაწილს; VII ს-ში დაიპყრეს არაბებმა. VIII-XIII სს-ში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა იყო. IX ს-დან ახ. სპარსული ენისა და ლიტერატურის აღორძინების კერად ითვლებოდა. ხორასნის დას. ნაწილში შაჰ-აბას I-მა დაასახლა კახეთიდან გადასახლებული ქართველები.

თავრიზი — თაბრიზი, ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, აჯიჩაის ხეობაში, 1364 მეტრის სიმაღლეზე. მოსახლეობის მიხედვით, ქვეყნის მეორე ქალაქი (თეირანის შემდეგ). დააარსეს III-IV საუკუნეებში სასანიანთა დინასტიის წარმომადგენლებმა.

ბაღდადი — ერაყის დედაქალაქი 1921 წლიდან, მდებარეობს მდინარე ტიგროსის ნაპირებზე. დააარსა ხალიფა მანსურმა 762 წელს და აქცია აბასიანთა სახალიფოს (აბასიანები — სამეფო გვარი) დედაქალაქად. ძველად მას ეწოდებოდა **მადინათ ალ-სალამი** (მშვიდობის ქალაქი), რაც სპარსულად უნდა ნიშნავდეს „ღვთის ნაბოძებს“ (ძველ ქართულ წყაროებში იგი **ბაბილონად** მოიხსენიება).

ბირთვისის ციხე — ციხესიმაგრე ისტორიულ ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში (ახლანდელი თეთრიწყაროს რ-ნი), წყაროებში მოხსენიებულია XI ს-ში, როდესაც კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ შეიპყრეს თბილისის ამირა და ბირთვისი ჩამოართვეს. ბირთვისი

აუცილებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა. მისი მფლობელი კი პოლიტიკურად ბატონობდა მთელს ალგეთის ხეობაზე, მიუვალ კლდეებს შორის შექმნილი ბუნებრივი სიმაგრე დაცულია ციხის კედლებით და დაახლოებით 1 კვ. კმ-ს მოიცავს. ყველაზე მაღალ კლდეზე დგას კოშკი „შეუპოვარი". ციხის მისასვლელი ჩაკეტილია კარიბჭით. გვიანფეოდალურ ხანაში ბირთვისი ბარათაშვილების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

თემურ-ლენგი (ევროპულად ტამერლანი) — 1336-1405 წლებში მოღვაწე შუაზიელი მხედართმთავარი, ემირი, გათურქებული მონღოლის — შეგის თარაღაის — შვილი. 1362 წელს იგი ფეხში დაიჭრა და ამის გამო „თემურლენგი" (ტაჯიკურად „კოჭლი თემური") შეარქვეს. იგი ჩინგიზ-ყაენის შთამომავალთა სახელით ერთპიროვნულად განაგებდა, აიღო ხვარაზმი, დაანგრია მისი დედაქალაქი ურგენჩი.

თემურ-ლენგი დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, დაპყრობილი ქვეყნებიდან მოჰყავდა ოსტატები და აგებდა სასახლეებს, მეჩეთებს, მავზოლეუმებს. მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო სამარყანდი. მისი ლაშქრობები სისასტიკით გამოირჩეოდა. ის რვაჯერ შემოესია საქართველოს 1386-1403 წლებში და უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოს. ამ დროს საქართველოს მეფეა ბაგრატ V, რომელიც აიძულა რჯული შეეცვლა, მაგრამ შვილის, გიორგი VII-ის, საშუალებით მალე მან თავი დაიხსნა...

მეექვსე შემოსევის დროს მას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მთელი მოსახლეობის გათათრება ან პირწმინდად გაჟლეტა. მტერმა მოაოხრა მთელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, დალეწა ციხე-კოშკები, გაძარცვა და დაანგრია ეკლესია-მონასტრები, გაკაფა ბაღ-ვენახები, დაწვა და დაანგრია სოფლები და დაბა-ქალაქები, გაჟლიტა უამრავი ხალხი, სამოცი ათასზე მეტი ტყვე წაიყვანა.

ბირთვისის ციხის ალყა 1403 წლის ივლისს უკავშირდება. ციხის ერთი მუშა გარნიზონი 3 კვირის განმავლობაში მამაცურად იგერიებდა მტრის იერიშებს. ციხის დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგმა გაილაშქრა დასავლეთ საქართველოზე და გიორგი VII-ის დევნაში მივიდა აფხაზეთის საზღვრამდე. რაკი საქართველოს მეფის წინააღმდეგობა ვერ გატეხა, იგი იძულებული გახდა დაზავებოდა გიორგი VII-ს. ამ ზავით იგი ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება, რომელიც მოპოვებულ იქნა ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლისა და უზარმაზარი ზარალის ფასად.

ყურანი — (არაბულად **კურან** — წაკითხვა), მუსლიმანთა რელიგიის ისლამის დოგმებისა და დებულებების კრებული, მუსლიმანთა „წმინდა წიგნი", ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის მიერ „წინასწარმეტყველური" ზეშთაგონებისა და აღტყინების დროს (მექასა და მედინაში 610-632 წლებში) წარმოთქმული ქადაგებები. ისლამის თანახმად, ადამიანთათვის გასაგებ ენაზე მუჰამედ წინასწარმეტყველის მიერ ამეტყველებული „ალაჰის სიტყვა". ზეპირად გადაცემული ტექსტი პირველად მუჰამედის სიკვდილის (632 წლის) შემდეგ ჩაწერეს. კანონიკურ ტექსტში შედის 114 გამოცხადება — სურა (თავი).

ყურანი შინაარსობრივად შეიცავს ლოცვებს, შელოცვებს და წყევლას (უძველესი ნაწილი), ესქატოლოგიურ (წინასწარმეტყველება „ქვეყნის აღსასრულის" შესახებ) სურებს; მასალებს დამნაშავის დასჯის, ომის ნადავლის განაწილების შესახებ და სხვ. რითაც დააკანონეს სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა, ქალის არათანასწორუფლებიანობა.

ყურანი პირველი პროზაული წერილობითი ძეგლია არაბულ ენაზე, სურები გარითმულია (რაჯი).

ყურანის წაკითხვის სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ძველ არაბულში ხმოვნები არ იწერებოდა; კითხვის წესი საბოლოოდ დააკანონა 1923 წლის კაიროს გამოცემამ.

აქტივობა 3 — ტექსტის ჩუმი კითხვა და გეგმის შედგენა (10 წთ.):

ჩუმი კითხვის პროცესში მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ („აქტივობების რვეული", დავალება №2).

სავარაუდო გეგმა:

1) თემურ ლენგის სახე;

2) ბირთვისის აუღებელი ციხე;

3) ქურთი ბიჩაგი — იდუმალი მაცნე;

4) „აოხრების ძილით მძინარე" ქართველობა;

5) ხორასნელი ჭაბუკის უცნაური გმირობა;

6) ხორასნელი ჭაბუკის „შეწყალება"/„ლმობიერი" თემურ-ლენგი/საშინელი სასჯელი...

მოსწავლეები გეგმის მიხედვით ყვებიან წაკითხულის შინაარსს.

აქტივობა 4 — წაკითხულის გააზრება (8 წთ.):

გაირკვევა, როგორ აღწერს მწერალი ნაწარმოებში თემურ ლენგს (*„სამყაროს მბრ-*

ძანებლის“ ეპითეტით ამკობს), რა სიტყვათშეთანხმებებით გვაცნობს მის იდუმალ ზრახვებს (*კოპებშეკრული, უბედნიერესი დამპყრობელი, სამყაროს მბრძანებელი*). ქართველ მეციხოვნეებს (*„სულ ადვილად იგერიებდნენ მოიერიშეებს, მერე ისხდნენ, მშვიდად პურობდნენ, ცას უშვერდნენ ყანწებსა და ჯამებს“*), როგორია ქურთი ბიჩაგის სახე (*„ერთ დღეს ვეზირებმა ერთი უცნაურად მომზირალი ქურთი მოჰგვარეს — სახელად ბიჩაგი, მუშაითი, საბელზე მოთამაშე, ოსტატი კედლებსა და კლდეებზე ცოცვისა“*), როგორ შეიძლება აიხსნას ხორასნელი ჭაბუკის უცნაური ქმედება (*მისი რაინდული ბუნებით, რომლისთვისაც უღირსი საქციელია მძინარე და უიარაღო მტრის მოკვლა*); რატომ იჩენს ასეთ „ლმობიერებას“ თემურ ლენგი ხორასნელი ჭაბუკის დასჯისას (*რადგან აფასებდა მეცნიერების მოყვარულ ადამიანებს*), თუ შეცვლიან რამეს ამ ნაწარმოებში და როგორ (პოლემიკა წარიმართება მშვიდად, მოსწავლეები ეჩვევიან სხვისი აზრის პატივისცემას, საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვას).

გააზრებასა და შეფასებაზე ორიენტირებული კითხვები:

— რა იყო ამ ომში ქართველთა დამარცხების მიზეზი? *(ქართველთა უდარდელობა და უყურადღებობა).*

— თემურ-ლენგის რა თვისებებზე მიგვითითებს მწერალი, რა იპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას? *(მწერალი მიგვანიშნებს თემურ-ლენგის მტკიცე ხასიათზე, შორსმჭვრეტელობაზე, გონიერებაზე, მრისხანებაზე, დაუნდობლობაზე...).*

— ხორასნელი ჭაბუკის ხასიათის რა მხარეები ჩანს ტექსტში? მათ შორის რომელია მისაღები, მიუღებელი? *(ხორასნელი ჭაბუკის ხასიათის თვისებებიდან ტექსტში ჩანს მისი გულოვანება, სიმამაცე, ვაჟკაცობა, სიყვარული მოყვასისადმი, რწმენა... ხორასნელი ჭაბუკის თვისებებიდან რომელია მისაღები, ხოლო რომელი — მიუღებელი, ამაზე თავად მოსწავლეები იმსჯელებენ).*

— ჩაითვლება თუ არა ხორასნელი ჭაბუკის სიკვდილით დასჯა „შებრალებად“? *(ამაზე ბევრი ურთიერთგამომრიცხავი აზრი დაებადებათ მოსწავლეებს, — მათ უნდა მიეცეს საკუთარი აზრის თამამად გამოვლენის საშუალება)*

— ამართლებთ თუ არა ხორასნელი ჭაბუკის მოქმედებას? არის თუ არა იგი თავისი ხალხის მოღალატე? *(ხორასნელი ჭაბუკი მოქმედებას ზოგიერთი მოსწავლე გაამართლებს, ზოგი — არა, საკუთარი ხალხის თვალში ხორასნელი ჭაბუკი მოღალატედ აღიქმება, მაგრამ იგი აღმოჩნდა გარემოებათა მსხვერპლი იმ თვისებათა გამო: კაცთმოყვარეობა, რწმენა — რაც არ იყო მისაღები მის თვისტომელთათვის და არ შედიოდა თემურ-ლენგის მტარვალურ გეგმებში).*

— რომელი შესწავლილი (წაკითხული) ნაწარმოებები გაგახსენდათ ამ ტექსტის კითხვისას? რა საერთოს ხედავთ მათ შორის? მებრძოლების რა თვისებებზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას? *(ამ ტექსტის კითხვისას მოსწავლეებს შეიძლება გაახსენდეთ ლ. სანიკიძის „დიდგორის ბრძოლა“, II თემიდან, ან სხვა ნებისმიერი პატრიოტულ-სარაინდო თხზულება.* მწერალი ყურადღებას ამახვილებს მებრძოლების ფიზიკურ მომზადებაზე, ორგანიზებულობაზე*).*

აქტივობა 5 — შეჯამება-შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს, შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს.

ა) პრაქტიკული მუშაობა, ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა — 40%;

ბ) მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა) — 35%;

გ) პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა) — 25%.

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.):
რ. ინანიშვილის „ხორასნელი ჭაბუკი"; მოინიშნონ ტექსტში ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ; „აქტივობების რვეული", დავალება №3.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის გააზრება (8 წთ.):
გაკვეთილს ვიწყებთ წინა გაკვეთილზე მიცემული დავალების (ტექსტში მოინიშნონ ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ); ირგვლივ მსჯელობით. მასწავლებელი იმ მოსწავლეებს წააკითხებს ტექსტს, რომელთაც განსხვავებული ადგილები აქვთ მონიშნული. გადმოსცემენ, თუ რატომ დააფიქრათ იმ ადგილმა, როგორი განწყობა შეექმნათ მისი წაკითხვის დროს. მოსწავლეები შეავსებენ ერთმანეთის პასუხებს, შემდეგ უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ პირველი დონის კითხვებს.

აქტივობა 2 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (13 წთ.):
მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ და გაიაზრებენ ჯერ მასწავლებელის მიერ დასმული დამხმარე კითხვების საშუალებით:
— როდის მოხდა ნაწარმოებში აღწერილი ამბავი? *(ძველ დროში)* — რატომ ფიქრობენ ასე? *(ტექსტში აღწერილია ბირთვისის ციხის აღების ამბავი)...*

— როგორ არის აღწერილი ტექსტში ციხეში მყოფი ქართველების ცხოვრება, რით არის ცუდი მათი უდარდელობა, რისი საბაბი ხდება მოგვიანებით მათი პურობა-ნადიმი? *(მტრის მოულოდნელი თავდასხმის).*
— რა ვერ შენიშნეს მეციხოვნეებმა? *(მათ ვერ შენიშნეს საბელები)*;
მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს ქურთი ბიჩაგის მიერ თხის დაკვლის ამბავსაც.
უკვე შედგენილი გეგმის მიხედვით მოსწავლები ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის შინაარსს გადმოსცემენ გაბმული თხრობით.
— ქურთი ბიჩაგის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში? *(ცბიერება, ეშმაკობა).*
— ხორასნელი ჭაბუკის რა თვისება ჩანს მომდევნო მონაკვეთში *(ვაჟკაცობა, რაინდობა...)*
— თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის პოზიცია მომხდარი ფაქტისადმი? თუ არის ის გამოხატული სიტყვიერად? მაშ როგორ ვგრძნობთ ავტორის მიზანდასახულობას — გაგვაცნოს იდეალური გმირი, რა მხატვრული საშუალებებით ახორციელებს მწერალი მიზანს? *(მწერლის პოზიცია ემთხვევა მეისტორიის აზრს, მეისტორიის სიტყვები ჩასმულია ბრჭყალებში, — თხრობა მიმდინარეობს მესამე პირში, ავტორი თითქმის განყენებულია, მაგრამ ციტატების შერჩევაში საცნაურდება მისი ჰუმანისტური პოზიცია).*

აქტივობა 3 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (13 წთ.):
ა) ბრჭყალების ხმარება:
— რას უწოდებს მეისტორიე თემურ-ლენგს? *(„სამყაროს მბრძანებელს").*
— რა სასვენი ნიშანია ამ სიტყვებთან გამოყენებული? *(ბრჭყალები).*
— როგორ ფიქრობთ, რატომ? *(იმიტომ, რომ ეს სიტყვები ავტორს კი არა, მეისტორიეს ეკუთვნის).*

— სად არის კიდევ ტექსტში მეისტორიეს სიტყვები? *(„ვიწრო ალაგი, რომ კაცისგან არ დაიდგომებოდა“, „აოხრების ძილით ეძინათ“, „ვისაც შეძვრის ღონე ჰქონდა...“).*

ეძლევა დასკვნა: **ბრჭყალებში ჩაისმის ვისიმე ნათქვამიდან თუ ნაწერიდან პირდაპირ, სიტყვასიტყვით მოტანილი ადგილი.** ამ ცოდნის გამოყენებით კლასშივე სრულდება და გაანალიზდება დავალება №5 („აქტივობების რვეული“).

ბ) ფრაზეოლოგიზმზე დაკვირვება:

— ტექსტში გვხვდება ასეთი ფრაზა:

„მაგრამ ეს მხოლოდ ბრჭყალების წაჭრა იყო გველეშაპისთვის“, — რას ნიშნავს აქ სიტყვა „ბრჭყალები“? *(მტაცებელი ფრინველის ან ცხოველის ფრჩხილები).* როგორ გესმით „გველეშაპისთვის ბრჭყალების წაჭრა“? *(გველეშაპის დასუსტება. გველეშაპში მტერი იგულისხმება).*

აქტივობა 4 — შეჯამება (3 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა ისწავლეს ამ გაკვეთილებზე ახალი (შეისწავლეს რ. ინანიშვილის მოთხრობა „ხორასნელი ჭაბუკი“, დაეუფლნენ მხატვრული კითხვის ჩვევას, ააგეს ტექსტები მოცემულ თემაზე, გაეცნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, გაიგეს ვინ იყო თემურ-ლენგი, სად მდებარეობს ბირთვისის ისტორიული ციხე, შეიმეცნეს ადამიანური ფასეულობები — შემწყნარებლობა, რაინდობა, ვაჟკაცობა...).

აქტივობა 5 — შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (***ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა***)—40 %; ბ) მსჯელობა კლასში ***(აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა***)—35%; გ) პრეზენტაცია ***(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა)—25%.***

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.):

„ხორასნელი ჭაბუკი“, „აქტივობების რვეული“, დავალება №4.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — დისკუსია (15 წთ.):

მასწავლებელი ამოწმებს წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას — მოსწავლეებს უნდა შეესრულებინათ №4 დავალება „აქტივობების რვეულიდან“.

დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი ასაუბრებს იმ მოსწავლეებს, რომელთაც განსხვავებული აზრი აქვთ ხორასნელი ჭაბუკის საქციელზე. მოსწავლეები თამამად აყალიბებენ საკუთარ შეხედულებებს ხორასნელი ჭაბუკისა და მისი ქმედების (ჩვენთვის გმირობის, ხოლო მისი თანამებრძოლებისთვის — ღალატის) ირგვლივ. მასწავლებელი ეკითხება კლასს : ხომ არ ახსოვთ სხვა რომელიმე ნაწარმოები , მათ მიერ შესწავლილი ან წაკითხული, რომელსაც მსგავსი სიუჟეტი აქვს. მოსწავლეები მართავენ დისკუსიას თევდორე მღვდლის, ცოტნე დადიანის, ქეთევან წამებულის ირგვლივ.

აქტივობა 2 — მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა (8 წთ.):

მასწავლებელი სვამს კითხვას: რომ შეძლებოდა ხორასნელ ჭაბუკს გაქცევა განაჩენის აღსრულებამდე, როგორ მოიქცეოდა იგი? როგორი იქნებოდა მისი შემდგომი ცხოვრება? რა თავგადასავალს მოიგონებენ მისთვის მოსწავლეები?

ეძლევათ აზრების თავისუფალი გამოხატვის საშუალება დევიზით: **ყველას აზრი საინტერესოა.**

აქტივობა 3 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (12 წთ.):

ა) ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობა:

თავის დაღწევა — /გათავისუფლება, გადარჩენა/
თავის მოქონვა —/პირფერობით, ტკბილი სიტყვით ვისიმე გადაბირება/
თავის სასწორზე დადება — /თავის საფრთხეში ჩაგდება/
თვალყურის დევნება —/ ყურადღების მიქცევა, პატრონობა/
თმების ყალყზე დადგომა — / შეშინება, შეძრწუნება, აღელვება, აღშფოთება/
თოკის წაჭერა ყელში —/უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგდება/

ბ) სადაურობის სახელები:

ხორასანი — ხორასნ-ელ-ი
თავრიზი — თავრიზ-ელ-ი
ბაღდადი — ბაღდად-ელ-ი
ბირთვისი — ბირთვის-ელ-ი

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ პირველ მწკრივში ჩამოწერილ კითხვებს დაესმის ,,რა'' კითხვა, მეორე მწკრივში ჩამოწერილ სიტყვებს კი — შეკითხვა „სადაური?" ისინი ჩამოწერილი იწარმოება პირველ მწკრივში მოცემულ სიტყვებზე **-ელ** ბოლოსართის დართვით.

გ) რიცხვითი სახელის მართლწერა:

მოძებნონ ტექსტში რაოდენობითი რიცხვითი სახელები, გაარკვიონ, როემლია **ერთფუძიანი, ოფუძიანი, ორზე მეტფუძიანი**; დააკვირდნენ, როგორ იწერება ისინი: მაგ.:

ერთფუძიანები:	**ორფუძიანები:**	**ორზე მეტფუძიანები:**
ოთხი	ორმოცდაათი	ას ორმოცდააათი
ერთი		
ხუთი...		

მოსწავლეები დაიმახსოვრებენ, რომ რთული **რიცხვითი სახელები ასის ფარგლებში და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები იწერება ერთად** (ორმოცდაათი, სამოცი...); **რიცხვითი სახელები ასს ზემოთ** (გარდა მრგვალი ასეულებისა) **იწერება ცალ-ცალკე** (ას ორმოცდაათი, ორას თხუთმეტი...)

აქტივობა 4 — შეჯამება (5 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა ისწავლეს ამ გაკვეთილებზე ახალი (შეისწავლეს რ. ინანიშვილის მოთხრობა ,, ხორასნელი ჭაბუკი'', დაეუფლნენ გამომეტყველებითი

კითხვის ჩვევას, ააგეს ტექსტები მოცემულ თემაზე, გაეცნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, გაიგეს ვინ იყო თემურ-ლენგი, სად მდებარეობს ბირთვისის ისტორიული ციხე, შეიმეცნეს ადამიანური ფასეულობები— შემწყნარებლობა, რაინდობა...)

აქტივობა 5 — შეფასება (3 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა) — 40%: **ბ) მსჯელობა კლასში** (აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა) —35% **გ) პრეზენტაცია** (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა) — 25%.

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.):

„ხორასნელი ჭაბუკი“, დავალება №6 („აქტივობების რვეული“); ააგონ ზეპირი ტექსტი თემაზე: „მამულისათვის თავდადებული გმირები“.

შედეგების კოდი:

V4 — მოსწავლე ავლენს ლიტ. ნაწარმოების შეფასების საწყის უნარს, ასაბუთებს თავის აზრს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის ირგვლივ, მონაწილეობს ჯგუფურ დისკუსიაში;

V5 — შესაბამისად იყენებს ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს შესაბამის სამეტყველო სიტუაციაში;

V6 — ასახელებს ნაწარმოების თემას, ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან; გამოხატავს თავის პოზიციას, ამოიცნობს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს („სამყაროს მბრძანებელი“, „აოხრების ძილით ეძინათ...“);

V8 — იყენებს კითხვის სტრატეგიებს (ყოფს ტექსტს ნაწილებად, ასახელებს მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივ საფუძველს);

V9 — ქმნის სხვადასხვა ტიპის წერილობით ტექსტებს (შინაარსი, პერსონაჟის მარტივად დახასიათება); მართებულად იყენებს შეფასების ფორმებს (ჩემი აზრით, არ ვეთანხმები...).

აკაკი წერეთლის „მესარკე“, *ძირეული და წარმოქმნილი (ხელოვნის აღმნიშვნელი) სახელები (ტერმინის გარეშე); სახელთა ბრუნება (რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად);.*

მიზნები

— ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
— ლიტერატურის ჟანრებზე (ზღაპარი) დაკვირვება
— გაბმულ თხრობაზე მუშაობა
— წერილობითი ტექსტის აგება, ნაწერის კორექტირება
— ტექსტის გაგრძელებაზე მუშაობა
— სახელთა წარმოქმნაზე დაკვირვება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ორთოეპიულ-ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — მზადება კითხვისათვის, სტუმრად ზღაპართან (ზღაპრების სამყაროში) (7- 8წთ.):

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, რა ზღაპრები წაუკითხავთ, რომელი მათგანი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რომელია მათთვის ყველაზე საყვარელი, რომელი ზღაპრული პერსონაჟი მოსწონთ და რატომ... შეიძლება ამას ერთგვარი შეჯიბრის ხასიათიც მივცეთ – გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მეტ ზღაპარს დაასახელებს. შემდეგ კლასი იყოფა ორ ჯგუფად: I ჯგუფს ევალება გაიხსენოს და ისაუბროს ხალხურ ზღაპრებზე, მეორეს — მწერლების მიერ დაწერილ **(ლიტერატურულ)** ზღაპრებზე. აანალიზებენ, რა ნიშნებით ხასიათდება საერთოდ ზღაპარი *(მასში მოთხრობილია დაუჯერებელი ამბავი, ბოლო კეთილი აქვს, ხალხური ზღაპრების უმრავლესობა იწყება „იყო და არა იყო-რა“-თი, ბოლოვდება: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“)*; რა მსგავსებაა ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებს შორის *(ორივეგან აღწერილია ამბავი, რომელიც არ მომხდარა; ორივეს დასასრული კეთილია...)*, რა განსხვავებაა *(ხალხური ზღაპრის შემოქმედი ხალხია, მას ერთი კონკრეტული ავტორი არ ჰყავს, აქვს ტრადიციული შესავალი და დასასრული; ლიტერატურულ ზღაპარს კი მწერალი წერს, მას შეიძლება არ ჰქონდეს ტრადიციული დასაწყისი და დასასრული)*; ახსენებს მათთვის ცნობილ მეზღაპრეებს *(ა. წერეთელი , ო. იოსელიანი, გ. პეტრიაშვილი, ა. ლინდგრენი, შ. პერო, ძმები გრიმები...).*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ზღაპარი — პოეტურ გამონაგონზე, ფანტასტიკურ ამბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუჟეტით, ენობრივი თავისებურებებით, ეროვნული კოლორიტით. ზღაპარი არის როგორც პროზაული, ისე ლექსის ფორმით დაწერილი. იგი ეპოსის ერთ-ერთი ჟანრია. საწყისები უძველეს ხალხური სიტყვიერებაში აქვს. ზღაპრის სამეცნიერო კლასიფიკაცია არ არსებობს. მაგრამ პირობითად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები:

ა) **ზღაპრები ცხოველთა შესახებ,** რომლებიც უკავშირდება წინაკლასობრივი საზოგადოების ტოტემიზმს. დროთა განმავლობაში მან შეიძინა იგავ-არაკის ხასიათი, დიდქტიკური მოტივი;

ბ) **ჯადოსნური ზღაპრები,** რომლებიც განისაზღვრება ხალხის წარმოდგენით სიკეთისა და ბორო-

ტების შესახებ, მისი იდეალებით. იგი მდიდარია ფანტასტიკური ელემენტებით. ასეთ ზღაპარს ხშირად აქვს დასაწყისი („იყო და არა იყო რა“ ტიპისა) და დასასრული („ჭირი იქა, ლხინი აქა“ ტიპისა). ჯადოსნური ზღაპრების რიგს მიეკუთვნება სახელმძღვანელოში ჩვენ მიერ შეტანილი **„ბედი და იღბალი“,** რომელიც ამოღებულია „ხალხური სიბრძნის“ II ტომიდან (ჩაწერილია ქართლში ალ. ღლონტის მიერ, მთქმელი ფიდა კვიწინიძე);

გ) **სათავგადასავლო ზღაპრები,** სადაც გმირთა თავგადასავალი მოთხრობილია ფანტასტიკური ელემენტების გარეშე;

დ) **საყოფაცხოვრებო ზღაპრები,** რომლებიც ასახავენ ადამიანებისა და საზოგადოების ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს. ისინი გამოირჩევა სოციალური მიზანმიმართულებით. საყოფაცხოვრებო ზღაპრებს პროფ. ალ. ღლონტი **ხალხურ ნოველას** უწოდებს. **ხალხური ნოველა** არის მცირე ზომის მოთხრობა საყოფაცხოვრებო თემაზე, მისთვის უცხოა ჯადოსნური ზღაპრებისათვის დამახასიათებელი ფანტასტიკური ელემენტები, ზღაპრის ტრადიციული დასაწყისი და დასასრული. მოქმედება აქ რეალისტურად ვითარდება. თემატურად ეს ნოველები მრავალფეროვანია. მათი პერსონაჟები ცხოვრებიდან აღებული ჩვეულებრივი ადამიანები არიან. საყოფაცხოვრებო ზღაპრის, ანუ ხალხური ნოველის, ტიპურ ნიმუშს წარმოდგენს სახელმძღვანელოში ჩვენ მიერ შეტანილი **„ფილოსოფოსი და ვირი“**, რომელიც ამოღებული გვაქვს „ხალხური სიბრძნის“ II ტომიდან.

ყველა ზღაპარში დადებითი გმირი გამრჯვებულია, ბოლო კეთილია. ზღაპრებში თხრობა წარსულ დროშია. ზღაპარს თავისი მთქმელები ჰყავდა, რომლებიც მას ინდივიდუალურ იერს სძენდნენ. ამიტომაცაა ზღაპრები ვარიანტების სიმრავლით ცნობილი.

ქართული ხალხური ზღაპარი შორეულ წარსულში გაჩნდა, მაგრამ მისი პირველი ჩანაწერი VII ს-ს ეკუთვნის. XIX ს-დან ზღაპრების ჩაწერა სისტემატურად ხდება. გამოვიდა ქართული ხალხური ზღაპრების რამდენიმე კრებული **მ. ჩიქოვანის, ქ. სიხარულიძის, ე. ვირსალაძის, ა. ღლონტის** რედაქციით. (ლიტ-რა: ა. ჭილაია, რ. ჭიალაია, „ლიტერათურათმცოდნეობის ცნებები“, თბ. 1984; „ხალხური სიბრძნე“, ტ. II, თბ. 1964, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო ალ. ღლონტმა).

მწერლებიც მიმართავენ ზღაპრის ჟანრს, რომელსაც საყოფაცხოვრებო და შემეცნებითი ხასიათი აქვს — იხ. სახელმძღვანელოში ა. წერეთლის **„მესარკე“**.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი (15 წთ.):

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას, აგრძელებენ მოსწავლეები. წარიმართება გამოკრებითი კითხვა. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები , გამოიყენებენ „სიტყვის სალაროს“:

მესარკე — სარკეების ოსტატი

მოსისხარი მტერი — მოსისხლე მტერი

საჩივარი — ოფიციალური განცხადება, რომლითაც ითხოვენ რაიმე უსამართლობის, უსიამოვნების აღკვეთას

მომჩივარი — მომჩივანი, ვინც უჩივის ვისმე, ვისაც სასამართლოში აქვს საჩივარი შეტანილი

მოპასუხე — ვის წინააღმდეგაც მომჩივანი აღძრავს სარჩელს

მოსწავლეები უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ პირველი დონის კითხვებს:

— რას უჩიოდნენ მესარკეს? *(მესარკეს უჩიოდნენ თავისი ხელობის ბოროტად გამოყენებას).*

— ვინ იყო მომჩივანი? მოპასუხე? *(მომჩივანი იყო ათასობით ქალი, მოპასუხე კი—მესარკე).*

— რატომ მიიჩნია მეფემ მესარკე „საძაგელ“ კაცად? *(მთელი ქვეყანა მასზე იყო გადამტერებული*); რა იყო ამის მიზეზი? *(ამის მიზეზი იყო ცრუ ბრალდება მესარკე ოსტატზე*).

— რით იმართლა თავი მესარკემ მეფესთან? *(მესარკემ მეფესთან თავი დანარჩენი ორმოცი ლამაზი ქალის ,,ჩვენებით'' იმართლა).*

— ვინ იყო მესარკის „მოსისხარი მტერი“? *(მოსისხარი მტრები იყვნენ მახინჯი ქალები)*; „გულითადი მეგობარი“? *(გულითადი მეგობრები— ლამაზმანები*).

— რა განაჩენი გამოიტანა მეფემ? *(მეფის განაჩენი ასე ჟღერდა: ,, დღეის იქით აღარავინ გაბედოს საჩივარი აღარც მესარკეებზე და აღარც მწერლებზე, რადგანაც ორივე ერთმანეთს ემსგავსებიან მოხელეობითო“)*;

ტექსტის გააზრებისათვის დაისმის კითხვები:

— რატომ უჩიოდნენ ქალები მესარკეს? *(ქალები მესარკეს მათი დამახინჯების გამო უჩიოდნენ)*; მათი აზრით, რა იყო ამის მიზეზი? *(ცუდად დამზადებული სარკე...)*

— რატომ იყვნენ „მოსისხარი მტრები“ „ერთგულ მეგობრებზე“ ბევრად მეტნი? *(ულამაზოები რიცხობრივად სჭარბობდნენ ლამაზებს).*

— რამდენად სამართლიანი იყო ქალების საჩივარი? იყო თუ არა მესარკე მართლა დამნაშავე? *(ქალების საჩივარი არ იყო სამართლიანი, მესარკე უდანაშაულო იყო, მისი დამზადებული სარკე ყველას თავის ნამდვილ სახეს უჩვენებდა).*

— თქვენი აზრით, მესარკეს ისეთი სარკეები რომ დაემზადებინა, რომლებშიც ყველა ქალი ლამაზი გამოჩნდებოდა, ეყოლებოდა თუ არა მას ამდენი მომჩივანი? *(სავარაუდო პასუხია — არა).* მისი დამზადებული სარკეები როგორ გაიყიდებოდა? *(უფრო მეტი გაიყიდებოდა, რადგან ყველას სურს თავისი თავი ლამაზი იხილოს).*

— რატომ არ ღალატობდა მესარკე თავის ხელობას? *(ის კარგი ხელოსანი იყო და არ შეეძლო ცუდი სარკის დამზადება და ხალხის მოტყუება).*

— მესარკის რა თვისებები ჩანს ამ ზღაპარში? დაასაბუთეთ ტექსტიდან *(**პატიოსანი** იყო იმიტომ, რომ არ სურდა ვინმეს მოტყუება; **სამართლიანი** იყო იმიტომ, რომ ყველას ნამდვილ სახეს უჩვენებდა; **გონიერი** იყო იმიტომ, რომ ადვილად იმართლა თავი ხელმწიფესთან და შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება...)* .

— რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ მეფის განაჩენი? *(ამ კითხვაზე მოსწავლეებს ექნებათ ინდივიდუალური პასუხები, წარიმართება ჯანსაღი პოლემიკა).*

— თქვენი აზრით, რატომ შეადარა მეფემ მესარკისა და მწერლის პროფესიები ერთმანეთს? რა აქვთ მათ საერთო? *(მწერლისა და მესარკის პროფესიები ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ორივე არსებული სინამდვილის ასახვას ემსახურება, აღმოაჩენს მანკიერ მხარეებს, რათა შევძლოთ მისი შეცვლა უკეთესობისკენ)*;



აქტივობა 3 — გეგმის შედგენა და შინააარსის გადმოცემა (6-7 წთ.) :

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც, სავარაუდოდ, ასეთ სახეს მიიღებს:

1) საჩივრები საწყალ კაცზე

2) მომჩივანი ქალები

3) მესარკის გულითადი მეგობრები

4) სამართლიანი მეფის განაჩენი

მოსწავლეები გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი — გაბმული თხრობით მთლიანად.

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (5 წთ.):

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს ხელობის სახელთა წარმოებაზე, ამ მიზნით იგი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: მოძებნონ ტექსტში ხელობის აღმნიშვნელი სიტყვა (*მესარკე— მე-სარკ-ე*), ასევე— გაიხსენონ ხელობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც (*მაგ.: მეწაღე, მებაღე, მენავე, მემანქანე, მეთევზე...*); დააკვირდნენ, როგორ წარმოიქმნება ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები არსებითი სახელებისაგან **მე-** თავსართისა და **-ე** ბოლოსართის დართვით.

აქტივობა 5 — შეჯამება (2 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა შეიტყვეს ამ გაკვეთილზე ახალი — გაიგეს მსგავსება და განსხვავება ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებს შორის; გაეცნენ მწერლისა და მწერლობის დანიშნულებას, სახელთა წარმოქმნის კონკრეტულ შემთხვევას (*ხელობის აღმნიშვნელი სახეები*).

აქტივობა 6 — შეფასება (2 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად კომენტარით აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა)პრაქტიკული მუშაობა (*ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა),* ბ)მსჯელობა კლასში (*აქტიურობა, პარტნიორთან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა*), გ) პრეზენტაცია *(საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა*).

აქტივობა 7 — საშინაო დავალება (2 წთ.):

საშინაო დავალებად ეძლევათ ტექსტის მოკლე შინაარსი დასაწერად („აქტ. რვეული“, დავალება №1); მოიფიქრონ და დაწერონ 5 წინადადება, რომლებშიაც იქნება ხელობის აღმნიშვნელი სახელები.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის გააზრება, დაყოფა ნაწილებად და შინაარსის გადმოცემა (10 წთ.):

აქვე მასწავლებელი ამოწმებს წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას— მოსწავლეებს უნდა დაეწერათ ტექსტის — ,,მესარკეს''— მოკლე შინაარსი და შეედგინათ 5

წინადადება ხელობის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით. დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება კლასს: ხომ არ ახსოვთ სხვა რომელიმე ნაწარმოები, მათ მიერ შესწავლილი ან წაკითხული, რომელშიც მსგავსი ამბავია მოთხრობილი. რით ჰგავს ის ნაწარმოებები „მესარკეს“.

აქტივობა 2 — წაკითხულის შეფასება (10 წთ.):

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

— ამ ტექსტს თუ აქვს ზღაპრისათვის დამახასიათებელი ნიშნები? (*დიახ, აქვს*); რა ნიშნებია ეს? *(დაუჯერებელი ამბავი — ათასი მომჩივანი ქალი, თანაც მახინჯი; კეთილი დასასრული—მეფემ უდანაშაულო მესარკე არ დასაჯა და შეუცდომელი გადაწყვეტილება მიიღო ...).*

— რა არის ამ ნაწარმოების თემა? *(ულამაზო ქალების საჩივარი მესარკეზე).* დედააზრი? *(სიმართლე არავის არ მოსწონს; არავის არ სიამოვნებს საკუთარ ნაკლზე მითითება; მწერალი, მესარკის მსგავსად, სიმართლეს ემსახურება).* რის თქმა სურს მწერალს? *(ალბათ, მწერალს სურს გვითხრას, რომ ადამიანის ნაკლის შემჩნევა და მისი აღიარება მხოლოდ კეთილშობილური მიზნითაა გამართლებული და არა დასაცინად, ეს კი გმირობის ტოლფასია, რადგან სიმართლის მთქმელს უამრავი მომდურავი ეყოლება; ,,სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს'',—ამბობს ხალხური სიბრძნე. მეფის გონიერება და სამართლიანობა რომ არა, მესარკეს შეიძლება დიდი უსიამოვნება შეხვედროდა..).*

— ქალების ერთ ნაწილს არ მოეწონა თავისი ნამდვილი სახის დანახვა. როგორ ფიქრობთ, ვის არ მოეწონება მწერლის ნათქვამი მართალი სიტყვა? *(იმას, ვინც მართალ სიტყვაში თავის ნაკლს ამოიკითხავს, ამოიცნობს).*

— ტექსტის რომელი ადგილი გამოხატავს ყველაზე უკეთ მწერლის დამოკიდებულებას მომხდარისადმი? *(„დღეის იქით აღარავინ გაბედოს საჩივარი აღარც მესარკეებზე და აღარც მწერლებზე, რადგანაც ორივე ერთმანეთს ემსგავსებიან მოხელეობით“*).

— თქვენი აზრით, შეეფერება თუ არა ტექსტის ბოლოს მოცემული ანდაზა მის დედააზრს? *(სავარაუდო პასუხია — **დიახ**!).*

— თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, პირში გეთქვათ თქვენი ახლობლისათვის სიმართლე? რა შედეგი მოჰყოლია ამას? რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ ახლობლისათვის საწყენი სიმართლის პირში თქმა?

ამგვარ მუშაობას შეიძლება მიეცეს ერთგვარი საკლასო დისკუსიის სახეც.

აქტივობა 3 — მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა (5-6 წთ.):

მასწავლებელი სვამს კითხვას: მეფეს რომ მცდარი განაჩენი გამოეტანა, როგორ მოიქცეოდა მესარკე, როგორი იქნებოდა მისი შემდგომი ცხოვრება, რა თავგადასავალს მოიგონებენ მისთვის მოსწავლეები? მათ ეძლევათ აზრების თავისუფალი გამოხატვის საშუალება დევიზით: ,, ყველას აზრი საინტერესოა.''

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წთ.):

— ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და მოძებნეთ მასში რიცხვითი სახელები (*ერთი, ათი, ათასი, ორმოცი*).

— დაასახელეთ ეს რიცხვითი სახელები სათანადო არსებითებთან ერთად (*ერთი კაცი, ათასი კაცი, ორმოცი ქალი...*).

— ვაბრუნოთ რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად:

სახელობითი	ერთ-ი კაც-ი
მოთხრობითი	ერთ-მა კაც-მა
მიცემითი	ერთ(და არა ერთ-ს) კაც-ს
ნათესაობითი	ერთ-ი(და არა ერთ-ის) კაც-ის
მოქმედებითი	ერთ-ი(და არა ერთ-ის) კაც-ით
ვითარებითი	ერთ(და არა ერთ-ად) კაც-ად
წოდებითი	ერთ-ო კაც-ო

— რომელ ბრუნვებში შეინარჩუნა რიცხვითმა სახელმა სრულად ბრუნვის ნიშნები? *(სახელობითში, მოთხრობითში, წოდებითში)*. რომელ ბრუნვებში დაკარგა ბრუნვის ნიშნები სრულად? *(მიცემითსა და ვითარებითში)*. ნაწილობრივ? (ნათესაობითსა და მოქმედებითში).

— ახლა თქვენ უკვე იცით, როგორ იბრუნვის რიცხვითი სახელი **ერთი** არსებითთან ერთად. ტექსტში ამ რიცხვითი სახელის ბრუნებისას დაშვებულია შეცდომა. იპოვეთ ეს შეცდომა და გაასწორეთ (*ერთს საწყალ კაცს*).

კლასშივე სრულდება დავალება №3 (*რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად*).

აქტივობა 5 — შეჯამება(1-2 წთ.).

აქტივობა 6 — შეფასება(2-3 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად კომენტარებით აფასებს რამდენიმე მოსწავლეს.

აქტივობა 7 — საშინაო დავალება(1-2 წთ.):

ტექსტი „მესარკე“, ამოიწერონ ტექსტიდან არსებითი სახელები და გაანაწილონ მოცემული სქემის მიხედვით (დავალება №4).

შედეგების კოდი:

V1 — მოსწავლე წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ჯგუფთან ერთად წარმოადგენს ზეპირ ტექსტს თემაზე: „მოყვარეს პირში უძრახე...“;

V2 —იცავს ეტიკეტს ზეპირი გამოსვლისას;

V3 – აფასებს თავისი ამხანაგების პასუხს მოცემულ („მოყვარეს პირში უძრახე...“) თემაზე;

V4 — ისმენს ლიტერატურულ ზღაპარს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მოქმედი პირებისადმი, მონაწილეობს ამ ტექსტის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში;

V6 —ასახელებს წაკითხული ტექსტის თემას, გამოხატავს საკუთარ პოზიციას წაკითხულის მიმართ, ავლებს ლიტერატურულ პარალელებს;

V8 — ყოფს ტექსტს ნაწილებად და ადგენს გეგმას;

V9 — ქმნის მარტივ წერილობით ტექსტს (წაკითხულის შინაარსი);

V12 — კითხულობს საკუთარ ნაწერს და აკეთებს კორექტურას.

იგავ-არაკის რაობა, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები: „იხვი და მყვარი“, „მეფე და მისი შვილი“, „გლახაკი და ქილა ერბო“[1], რიცხვითი სახელი — 3 სთ[1]

მიზნები:

— ლიტერატურის ჟანრებზე დაკვირვება *(იგავ-არაკი)*
— მხატვრული ტექსტების კითხვა და გააზრება, სათანადო დასკვნების გაკეთება
— საკუთარი აზრის დასაბუთება
— მწერლის ენაზე დაკვირვება
— სხვადასხვა პირში თხრობა
— რიცხვითი სახელის მართლწერასთან *(ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელი)* დაკავშირებული ორთოგრაფიული ჩვევების გამომუშავება

პირველი გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება პროვოცირება (7-8 წთ.):

მასწავლებელი კლასს ახსენებს წინა კლასებში შესწავლილ იგავ-არაკებს და ესაუბრება მათ შესახებ; ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა: კლასი დავყოთ ჯგუფებად და დავავალოთ — გაიხსენონ წინა კლასებში შესწავლილი იგავ-არაკები და ისაუბრონ მათ შესახებ. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტ იგავ-არაკს გაიხსენებს და შეძლებს მისი სპეციფიკის *(სიმართლის არაპირდაპირ გამოხატვა, შეგონება...)* უკეთ დაფიქსირებას. შეიძლება შევადგინოთ **გონებრივი იერიშის რუკა,** რომელიც შეივსება კლასის აქტიური მონაწილეობით:



1 *ეს იგავ-არაკები, მართალია, მცირე მოცულობისაა, მაგრამ უხვად შეიცავს მოსწავლეთათვის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, ამიტომ უმჯობესია მათზე მუშაობას მასწავლებელმა ცალ-ცალკე აკადემიური საათი დაუთმოს.*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

იგავ-არაკი—ლირიკულ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის თხზულება. მისი გმირები არიან ცხოველები, მცენარეები, მწერები, ქვეწარმავლები, მაგრამ იგულისხმებიან ადამიანები (ზოგჯერ მის გმირებად გამოყვანილი არიან ადამიანებიც). მის სიუჟეტურ არქიტექტონიკას საფუძვლად **შედარება** უდევს. ახასიათებს ნართაული თქმა, **ალეგორიულობა,** სატირულ-იუმორისტული, კომიკური ელემენტების სიჭარბე, რაც მთავარია — **შეგონება**. მისთვის უცხოა მეტაფორული მეტყველება, მისი ენა სადაა, **ავტოლოგიურია** (არ ახასიათებს სიტყვებისა და ფრაზების ხმარება პირდაპირი მნიშვნელობით), ასევე ახასიათებს აფორისტულად ჩამოყალიბებული **დასკვნა, შეგონება ან მორალი,** რომელიც იგავ-არაკის ან თავშია, ან ბოლოში. **იგავ-არაკი** გვხვდება როგორც პროზაული, ისე ლექსის ფორმით დაწერილი. ჟანრობრივად მასთან ყველაზე ახლოს დგას **აპოლოგი** (**არაკი** — მოთხრობები ცხოველთა ცხოვრებიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზნეობრივი დამრიგებლობა) და **იგავი (**დიდაქტიკურ-ალეგორიული ხასიათის მცირე ფორმის ნაწარმოები, რელიგიურ, ზნეობრივ, საყოფაცხოვრებო თემებზე დაწერილი).

იგავთმწერლობის მამამთავრად ითვლება ბერძენი მონა **ეზოპე** (ძვ. წელთაღრიცხვის VI—V სს), სოციალური მდგომარეობის გამო ეზოპე (ის მონა იყო) იძულებული იყო თავისი ჩანაფიქრი ალეგორიულად გამოეხატა. ასე წარმოიშვა ეზოპეს ენა. მისი იგავ-არაკები I ს-ში ლათინურად გადმოიღო **ფერდუსმა** და შემდეგ სწორედ ეს თარგმანები დაედო საფუძვლად ევროპულ ლიტერატურათა იგავ-არაკებს. მათი სიუჟეტების წყაროდ იქცა აგრეთვე ინდური „პანჩატატრა“, სპარსული „ქილილა და დამანა“.

იგავ-არაკმა სხვადასხვა ქვეყნებში შეიძინა ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეროვნული იერი და მისი ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა. ასე წარმოიქმნა საფრანგეთში **ლაფონტენის** (XVII სკ), გერმანიაში **ლესინგის** (XVIII ს), რუსეთში **ი. კრილოვის** (XVIII—XIX სს.) იგავ-არაკები. იგავ-არაკების ენამ დიდი როლი შეასრულა ამ ქვეყნების ლიტერატურული ენების განვითარებაში, ხოლო შეგონებანი კი ხშირ შემთხვევაში ანდაზების და აფორიზმების დონემდე განვითარდა. **სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“** სათაურშივე არის გახსნილი იგავ-არაკის ჟანრობრივი არსი (ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ. 1984, გვ. 119-120).

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (10 წთ.):

იგავ-არაკს „იხვი და მყვარი“ თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა და ფრაზებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ზაფხულმან სიცხეს მოუმატა — *ძალიან დაცხა*

ადგილი ვიცვალოთ — *საცხოვრებელი ადგილი შევიცვალოთ*

სამკვიდროს ვერ დავუტევებ — *ჩემს საცხოვრებელ ადგილს ვერ მივატოვებ*

რასა იქმს — *რას აკეთებს*

ჩემეულად — *ჩემსავით...*

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ **ჩუმადაც** და ეძებენ გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ტექსტის **გაგებისათვის** დაისმის შემდეგი კითხვები:

— ვინ და ვინ არიან ამ იგავ-არაკის მოქმედი პირები? *(იხვი და მყვარი).*

— რა არის „მყვარის“ დღევანდელი შესატყვისი? *(ბაყაყი).*

—სად ცხოვრობდნენ იხვი და მყვარი?

— რამ შეაწუხა ისინი? (*სიცხემ და უწყლობამ, ზაფხულში გუბე დაშრა).*

— რა გადაწყვიტა იხვმა? (*მოეძებნა ახალი საცხოვრებელი ადგილი).*

— რატომ არ მიატოვა ბაყაყმა საცხოვრებელი გუბე? წაიკითხეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი *(„შენ აქეთ-იქით თრევას ჩვეულხარ...“).*

— რა თქვა იხვმა მკვდარი მყვარის დანახვისას? *(„ძმობილო, მაგისთანა სამკვიდროს სიყვარულს...“)*

ტექსტის გაგებისათვის დასმული კითხვების პასუხებს მოსწავლეები ჯერ წიგნში ამოიკითხავენ, შემდეგ კი საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემენ.

აქტივობა 3 —ტექსტის გააზრება (7 წთ.):

— თქვენი აზრით, რამდენად სწორად მოიქცა იხვი, როდესაც საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა? როგორ შეაფასებთ მყვარის საქციელს – არ მიეტოვებინა ჭაობი? *(აქ მოსწავლეებს ვაძლევთ აზრის თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთების საშუალებას. მოქმედებს პრინციპი:* ***ყველას აზრი საინტერესოა)***.

— მოქმედი პირების რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში? *(იხვი გონიერია, ცდილობს მოძებნოს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი, გადაირჩინოს თავი, ამიტომაც იცვლის საცხოვრებელ ადგილს და ეძებს უკეთესს; მყვარი კი ძალზეა შეყვარებული თავის „სამკვიდროზე“, იქ სიკვდილი ურჩევნია სხვაგან სიცოცხლეს).*

— რომელი გმირის საქციელი უფრო მოგწონთ? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— რა აქვს ამ ორ გმირს საერთო? განსხვავებული? *(საერთოა ის, რომ ორივე ჭაობის ბინადარია; განსხვავება კი ის არის, რომ ერთისთვის ადვილია სამკვიდროს მიტოვება, მეორე კი ძალზეა შეყვარებული მასზე, ის მზად არის, მოკვდეს და არ მიატოვოს თავისი სამყოფელი, ჭაობის იქით არაფრის ნახვა არ აინტერესებს).*



— თქვენი აზრით, როგორ ადამიანს გულსხმობს მწერალი იხვში? მყვარში?

აქვე მასწავლებელი კლასს უკითხავს ილიას ცნობილ გამონათქვამს: ***„სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს?! რა უგავთ ერთმანეთსა?.. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე შიგ ჩასახული აზრია“ .***

ამ სიტყვების მიხედვით აანალიზებინებს შესწავლილ იგავ-არაკს **„იხვი და მყვარი“** — ***სიცრუეა თავად ამბავი*** (*იხვისა და მყვარის მეგობრობა, იხვის მიერ სამკვიდროს მიტოვება, მყვარის დარჩენა და იქ სიკვდილი, იხვის სიტყვები...),* ***სიბრძნეა შეგონება*** *(„სამკვიდრებელი“, მამული, როგორი გაუსაძლისიც არ უნდა იყოს იქ ცხოვრება, ძნელი მისატოვებელია, თუმცა ბევრისთვის — ამ შემთხვევაში იხვისთვის — ეს გრძნობა უცხოა).*

აქტივობა 4 — მწერლის ენაზე დაკვირვება (7-8 წთ.):

გაირკვევა როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანი *(მე-17 — მე-18 სს.),* როდის დაიწერა ეს ნაწარმოები *(ამავე პერიოდში),* თუ ჩანს ეს მწერლის ენიდან *(ჩანს)*, როგორ ჩანს (*მწერალი იყენებს იმ დროისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებსა და გრამატიკულ ფორმებს:* ***მყვარი, სამკვიდრებელი, დარჩომილიყო, დავუტევებ, იქმს, ჩემეულად****...), წერილობით სრულდება დავალება №2.*

აქტივობა 5 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა (5 წთ.):

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს თანამედროვე ქართულის ფორმებით.

აქტივობა 6 — შეჯამება (1-2 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე *(გაიხსენეს იგავ-არაკის რაობა, შეისწავლეს იგავ-არაკი „იხვი და მყვარი“, გაეცნენ ძველ ქართულ სიტყვებს, გადმოსცეს ტექსტის შინაარსი თანამედროვე ქართულით...).*

აქტივობა 7 — შეფასება (1-2 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ გაკვეთილის მიმდინარეობისას.

აქტივობა 8 —საშინაო დავალება (1-2 წთ.):

მოიძიონ მასალა სულხან-საბა ორბელიანის შესახებ *(გამოიყენონ ამ მიზნით ბიბ-ლიოთეკა, ინტერნეტი, შეეკითხონ უფროსებსაც*) და მომდევნო გაკვეთილზე თანატო-ლებს მის შესახებ ესაუბრონ, წერილობით გადმოსცენ „იხვისა და მყვარის“ შინაარსი, („აქტ. რვეული“, დავალება №3)

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — ჯგუფური მუშაობა-პრეზენტაცია (7-8 წთ.):

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს მოძიებულ მასალას სულხან-საბა ორბელიანის შესახებ, შეიძლება წარმოადგინონ ვიზუალური მასალაც. საუკეთესო ნამუშევარი შეფასდება და დაჯილდოვდება. აქვე კითხულობენ წერილობით დავალებასაც, რომელიც გაანალიზდება და შეფასდება მოსწავლეთა საერ-თო ძალებით.

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (12 წთ.):

ტექსტის „მეფე და მისი შვილი“ კითხვას იწყებს მასწავლებელი, აგრძელებს კითხ-ვაში გაწაფული მოსწავლე. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები:

მისი მეფობა მას მისცა *— თავისი მეფობა მას (შვილს) დაუთმო*

ვერავინ აკადრა მოხსენება *— ვერავინ გაუბედა თქმა*

ვითარ მეფობს *— როგორ მეფობს*

იამა *— ეამა, ესიამოვნა*

დაუმადლა *— მადლობა უთხრა...*

ტექსტის გაგებისათვის დაისმის კითხვები, რომელთა პასუხებს მოსწავლეები წიგნში ამოიკითხავენ:

— რა სთხოვა მამამ შვილს? (*„ჩემ მაგიერ შენ იმეფე და ვირე ცოცხალ ვარ...“*).

— როგორი მეფე გამოდგა მეფისწული? (*„ესეთი სამართალი და სიკეთე გამოიჩი-ნა,...“).*

— რით აოცებდა იგი მნახველებს? *(„დღისით ცხენს არ შეჯდის“...*)

—როგორ აუხსნა მან მამას თავისი საქციელი? (*„სალაროც თქვენსავ სიცოცხლე-ში... “*).

— ამოიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც მწერლის შეგონებაა მოცემული. *(„ყოველივე კეთილი...“).*

— რას შეადარა შვილმა სიკვდილის შემდეგ გაკეთებული სიკეთე? *(უკან მიდევნებულ ლამპარს).* რით ჰგავს უკან მიდევნებული ლამპარი სიკვდილის შემდეგ გაკეთებულ სიკეთეს? *(უკან მიდევნებული ლამპარი გზას ვერ გაანათებს, ასევე — ადამიანის სიკვდი-ლის შემდეგ გაკეთებულ კეთილ საქმესაც აღარ აქვს მადლი.)*

აქტივობა 3 — გეგმის შედგენა და შინაარსის გადმოცემა (7 წთ.):

მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს, მოინიშნავენ აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებს და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) მამის თხოვნა
ბ) ახალგაზრდა მეფის საქციელი
გ) მამის გაოცება
დ) ჭკვიანური პასუხი / უკან მიდევნებული ლამპარი
ე) მადლიერი მამა

ცალკეული საკითხების მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, შემდეგ საუბრობენ მოქმედი პირების საქციელზე.

აქტივობა 4 — წაკითხულის შეფასება (5 წთ.):

— მეფის რა თვისებები ჩანს ტექსტში? (*ის **მოსიყვარულე მამაა,** თავისივე სიცოცხლეში გაამეფა შვილი; **სამართლიანია** — აფასებს თავისი შვილის ჭკუას და მისი მადლობელია; **ძუნწია** — მიუხედავად დიდი სიმდიდრისა, არ სურს თავის სიცოცხლეში დაურიგოს გლახაკებს მოწყალება; ამჯობინებს ეს მისი სიკვდილის შემდეგ გაკეთდეს...)*

— შვილის რა თვისებები ჩანს ტექსტში? (***ჭკვიანია** — კარგი რჩევა მისცა მოხუც მამას; **სამართლიანი და კარგი მეფეა** — თავისი მეფობით მამას „ყოველთავე დაავიწყა“; **მორიდებულია უფროსთან** — თავისი სათქმელი პირდაპირ ვერ უთხრა მამას და საქციელით მიახვედრა...*).

— რომელი გმირის საქციელია თქვენთვის უფრო მოსაწონი? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— რა არის ამ ტექსტის დედააზრი? რის თქმა სურს მწერალს? *(ადამიანმა სიკეთე სიცოცხლეში უნდა აკეთოს).* რამდენად მისაღებია თქვენთვის მწერლის შეგონება? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— ხომ არ გაიხსენებთ მსგავს შემთხვევას ცხოვრებიდან, კინოფილმებიდან, წიგნებიდან?

— რა არის სიცრუე და სიბრძნე ამ იგავ-არაკში? (***სიცრუეა აქ მოთხრობილი ამბავი** — მეფის შვილის მიერ ლამპრის უკან მიდევნება, **სიბრძნეა შეგონება** —ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა მოასწროს სიკეთის კეთება);*

აქტივობა 5 — მწერლის ენაზე დაკვირვება (5 წთ.):

— დღევანდელი ქართულისათვის უცხო რომელი სიტყვები გვხვდება ტექსტში? რა არის მათი თანამედროვე შესატყვისები? *(ეს სავარჯიშო შეიძლება წერითაც შესრულდეს).*

აქტივობა 6 — შეჯამება (1-2 წთ.).

აქტივობა 7 — შეფასება (1-2 წთ.).

აქტივობა 8— საშინაო დავალება (1-2 წთ.):

ტექსტი „მეფე და მისი შვილი“, წერილობით გადმოსცენ მისი შინაარსი („აქტ. რვეული“, დავალება №4).

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — პრეზენტაცია (7-8 წთ.):

მოსწავლეები წარმოადგენენ შესრულებულ წერით ნამუშევარს, აფასებენ და აანალიზებენ ერთმანეთის პასუხებს, ასახელებენ მათ შორის საუკეთესო ვარიანტს.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა (10 წთ.).:

ტექსტი „ღარიბი და ქილა ერბო“ დამუშავდება ისევე, როგორც წინა იგავ-არაკები, მოსწავლეები სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვების საშუალებით გაიაზრებენ წაკითხულს და აკეთებენ სათანადო დასკვნებს.

აქტივობა 3 — საკლასო დისკუსია „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“ (7 წთ.):

მოსწავლეები აანალიზებენ ამ ანდაზის აზრს, შემდეგ იყოფიან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ამ თემაზე შექმნილ ზეპირ ტექსტს.

აქტივობა 4 — წაკითხულის შეფასება (5-7 წთ.):

— ვინა არის თქვენ მიერ შესწავლილი იგავ-არაკების ავტორი?

— მის რომელ იგავ-არაკებს იცნობთ კიდევ? *(მოსწავლეებს წინა კლასებში შესწავლილი აქვთ სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე იგავ-არაკი და საუბრობენ მათ შესახებ).* თუ გინახავთ მულტფილმები ამ იგავების მიხედვით გადაღებული? რა აერთიანებს ამ იგავ-არაკებს? (*მწერალი აღწერს მოგონილ ამბავს, ზოგჯერ მოქმედი პირები არიან ცხოველები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ჩვენს შემთხვევაში — იხვი, მყვარი, მაგრამ აქაც ადამიანები იგულისხმებიან; სიმართლეს მწერალი პირდაპირ არ გვეუბნება; აუცილებლად არის მოცემული დარიგება).*

გამოიკვეთება იგავ-არაკის საერთო ნიშნები:

ა) ის მცირე მოცულობისაა,

ბ) მწერალი თავის სათქმელს შეფარვით გვეუბნება,

გ) ხშირად მოქმედი პირები არიან ცხოველები, ფრინველები, მაგრამ იგულისხმებიან ადამიანები,

დ) მასში აუცილებლად მოცემულია დარიგება, შეგონება...

— რა დარიგებაა მოცემული პირველ იგავ-არაკში? ამოიკითხეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან (*„ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“*);მეორე იგავ-არაკში? (*„ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობსო და სიკეთის ქმნას დაეშუროსო“*); მესამეში?..

— ეთანხმებით ამ შეგონებებს? (*მოსწავლეებს ეძლევათ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება. ისინი იხსენებენ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ლიტერატურულ მაგალითებს, ფილმებს, ავლებენ მათ შორის პარალელებს და ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები. ამან შეიძლება ერთგვარი დისკუსიის სახეც კი მიიღოს).*

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (7-8 წთ.):

ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვითი სახელების შეერთებით მიღებული რიცხვითი სახელების მართლწერა:

დაფაზე იწერება წინადადება:

„გოჭებს ორ-ორ მარჩილად გავყიდი“.

— რომელია ამ წინადადებაში რიცხვითი სახელი? *(ორ-ორი).*

—როგორ არის ეს რიცხვითი სახელი მიღებული? (***ორ-**ის გამეორებით, ფუძის გამეორებით, ფუძის გაორკეცებით).*

— ხომ არ გაიხსენებთ სხვა რიცხვითი სახელსაც, რომელიც ასევე ფუძის გამეორებით არის მიღებული? *(სამ-სამი, ხუთ-ხუთი, შვიდ-შვიდი...*)

— როგორ იწერება ეს ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები? *(დეფისით).*

— შევაერთოთ დეფისით სხვადასხვა რიცხვითი სახელები: ხუთი, ექვსი; შვიდი, რვა... შევადგინოთ მათი გამოყენებით წინადადებები.

ეძლევა სათანადო წესი:

ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები იწერება დეფისით: ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი... დეფისით იწერება აგრეთვე სხვადასხვა რიცხვითი სახელების შეერთებით მიღებული რთული სახელები: ორი-სამი, ხუთი-ექვსი...

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება „აქტივობების რვეულში“ მოცემული მე-6 დავალება: ***იპოვეთ რიცხვითი სახელების მართლწერაში დაშვებული შეცდომები და გაასწორეთ.***

აქტივობა 6 — შეჯამება (1-2 წთ.).

აქტივობა 7 — შეფასება (1-2 წთ.).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (1-2 წთ.):

ტექსტი „ღარიბი და ქილა ერბო“, დავალება №5 („აქტ. რვეული“.)

შედეგების კოდი:

V1 — მოსწავლე მოიძიებს და წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის შესახებ ინ-ფორმაციულ და ვიზუალურ მასალას; აგებს ზეპირ ტექსტს ამ თემაზე;

V4 — მონაწილეობს იგავ-არაკების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ცალკეულ პერსონაჟებთან დაკავშირებით;

V6 — ასახელებს წაკითხული იგავ-არაკების თემას, ავლებს პარალელებს ადრე წაკითხულ თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;

V7 — ამოიცნობს სულხან-საბას ენისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს *(არ-ქაიზმები)*;

V8 — იყენებს კითხვის ცალკულ სტრატეგიებს — სულხან-საბა ორბელიანის შესა-ხებ ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს საბავშვო ენციკლოპედიურ მასალას, ყოფს ტექსტს ცალკეულ ნაწილებად და ადგენს გეგმას...

V11 — დამოუკიდებლად ქმნის სხვადასხვა ტიპის ტექსტს, თანმიმდევრობით გად-მოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;

V12 — იყენებს ნაწერის ჩასწორებისა და კორექტირების მისთვის ნაცნობ ხერხებს.

იგავ-არაკის რაობა (წინა თემის გაგრძელება), ა. წერეთლის „კატა და ლომი“

მიზნები:

— მხატვრული ტექსტის კომენტირებული კითხვა და გააზრება
— მხატვრულ სახეებზე დაკვირვება, პოეტური ტექსტის აღქმა
— გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
— პარალელების გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
— არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა დაუფლება
— წერის სტრატეგიების დაუფლება

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

მასწავლებელი კლასს უკითხავს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკს ***„კატის გაზრდილი ლომი“*** *(მოსწავლეთა ერთი ნაწილისათვის ამ ტექსტის ადაპტირებული ვარიანტი ცნობილია IV კლასის სახელმძღვანელოდან):*

კატის გაზრდილი ლომი

ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი ძუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი ***დარჩომია.*** *წაიყვანა და ზრდა დაუწყო.* ***რა*** *გაიზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა.*

დღესა ერთსა *ნადირი ველარ იშოვა, თავისი გამზრდელი კატაც შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაიქცა და ხეზედ გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: „ჩემო დედის უსაყვარლესო და დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზედ გასვლა რად არ მასწავლეო?“ კატამ უპასუხა: „ეგ ჩემთვის შევინახე, რა* ***ასრე*** *გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო“).*

აიხსნება მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები: **დარჩომია** – დარჩენია, **რა** — აქ: როცა, **დღესა ერთსა** – ერთ დღეს, **ასრე** – ასე... გაირკვევა, რატომ იყენებს მწერალი ამ ლექსიკურ ერთეულებს *(ნაწარმოები „სიბრძნე სიცრუისა“ მე-18 საუკუნეში დაიწერა, თანამედროვე ქართულში მათ სხვა შესატყვისები მოეპოვებათ).*

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ქართული იგავ-არაკის განვითარებაში საგანგებოდ უნდა გამოვყოთ **აკაკი წერეთლის** ღვაწლი, რომელმაც ლექსად გააწყო სულხან-საბას არაერთი იგავ-არაკი („კაცი და დათვი“, „მამალი და ძაღლი“, „კატა და ლომი“, „მეფე და მხატვარი“...). მანვე გადმოაქართულა ი. კრილოვის იგავ-არაკები — მისი 213 იგავ-არაკიდან აკაკიმ თარგმნა და ლექსად გააწყო 153.

აქტივობა 2 — ლექსის კომენტირებული კითხვა და ანალიზი:

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს აკაკი წერეთლის „კატასა და ლომს“, შემდეგ ნაწილ-ნაწილ აკითხებს მოსწავლეებსაც, რომლებიც გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს (იხ. „სიტყვათა სალარო“). დაისმება ტექსტის **გაგებაზე** ორიენტირებული კითხვები:

— რატომ გადაწყვიტა კატამ ლომის ლეკვის გაზრდა?
— რა მდგომარეობაში იყო ლომის ლეკვი?
— როგორ უვლიდა კატა შვილობილს?

— როდის გაიმეტა კატამ თავისი გამზრდელი შესაჭმელად?

— როგორ უშველა დედობილმა თავს?

— რა უსაყვედურა შვილობილმა დედობილს?

მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში კითხულობენ ტექსტიდან სათანადო ადგილებს და უკეთებენ მას საკუთარ ინტერპრეტაციას.

ტექსტის **ანალიზისათვის** დაისმის შემდეგი კითხვები:

— რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ ლომის საყვედური თავისი გამზრდელის მიმართ?

— ლომის რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში? როგორ ადამიანს გულისხმობს მწერალი ლომში? კატაში?

— ლომი ამ ლექსში კატას „დედობილს“ უწოდებს. თქვენი აზრით, მართლაც გაუწია თუ არა კატამ ლომს დედის მაგივრობა?

ამ კითხვაზე მოსწავლეებს შეიძლება სხვადასხვა პასუხი ჰქონდეთ — მოსწავლეთა ერთი ნაწილის აზრით, კატა იმსახურებს ამ სახელს, რადგანაც მან უპატრონო ლომის ლეკვს ყველაფერი გაუკეთა, რისი გაკეთებაც ნამდვილ დედას შეეძლო: *(„აიყვანა, უძიძავა, უგამდლა და გამოზარდა; შესტრფოდა და შეხაროდა, შვილზე ნაკლებ არ უყვარდა“)*; კლასის ერთი ნაწილის აზრით კი, ის მაინც არ იყო ნამდვილი დედა, რადგანაც მან ლომს ყველაფერი არ ასწავლა, მას ბოლომდე არ ენდობოდა, დედაშვილობა კი უნდობლობას გამორიცხავს. მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი საინტერესოა,** მთავარია, მოსწავლეებს მივცეთ აზრის თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთების საშუალება, თანდათან დავაუფლოთ ისინი დისკუსიის ხელოვნებას – სხვისი აზრის მოსმენას, საკუთარი აზრის კორექტულ და მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბებას.

— თქვენი აზრით, ადამიანის რა თვისებას კიცხავს მწერალი ამ ნაწარმოებში? (*უმადურობას).*

— როგორ ფიქრობთ, რა იყო ლომისაგან გამზრდელის გამეტების მიზეზი? (*ა) მტაცებლის ბუნება).*

— რომელი ანდაზები გაგახსენდებათ ამ ტექსტის კითხვისას? *(„კვიცი გვარზე ხტის“, „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“, „კუზიანს სამარე გაასწორებს“, „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ“, „დავთესე თხილი, მოვიდა თხილი, რაც იყო დედა, ის იყო შვილი“..).* წერილობით სრულდება დავალება №3 *(„აქტივობების რვეული“).*

— რამდენად შეეფერება ამ ნაწარმოებს სახელმძღვანელოში მოცემული ანდაზა *„ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილი“*? *(ნაწილობრივ შეეფერება, რამდენადაც ლომის ქცევის მიზეზი მხოლოდ ცუდი აღზრდა და მშობელი არ იყო, აქ დიდ როლს თამაშობს მისი მტაცებლური ბუნება).*

— თქვენი აზრით, როგორ წარიმართებოდა ამის შემდეგ ლომის ცხოვრება? *(აქ მოსწავლეებს ეძლევათ აზრის გამოხატვის სრული თავისუფლება, თავისი ფანტაზიის მიხედვით შეუძლიათ კიდეც ამ ნაწარმოების გაგრძელება).*

აქტივობა 3 — წაკითხულის შეფასება:

— რა საერთო აქვს ერთმანეთთან ამ ორ ნაწარმოებს? რით ჰგავს და რით განსხვავდება ისინი?

(საერთოა *სიუჟეტი – ამბავი კატის მიერ ლომის გაზრდის შესახებ, ორივე ნაწარმოები იგავ-არაკია,* ***განსხვავება*** *არის ამბის გადმოცემის ფორმაში — ერთი მოთხრობის სახით არის დაწერილი, მეორე კი — ლექსის; განსხვავება არის მწერლების ენაშიც — სულხან-საბას ენა უფრო ძველია...)*

აქტივობა 4 — დისკუსია:
ჯგუფური მუშაობისთვის კლასს სადისკუსიოდ ეძლევა თემა: ***იმსჯელეთ კატის ქცევის მიზეზზე — რატომ არ ასწავლა შვილობილს ხეზე ასვლა.***

აქტივობა 5 — ტექსტის აგება წერილობით:
დავალება №3 („აქტივობების რვეული“).

შედეგების კოდი: V1, V4, V6, V7, V8, V11.

მომდევნო თემის — **„ფილოსოფოსი და ვირი“ (ხალხური); არსებითი სახელის მართლწერა (მრავლობით რიცხვში ორი ე)** — დამუშავებას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

ზღაპრის რაობა, „ბედი და იღბალი“ *(ქართული ხალხური ზღაპარი), სიტყვის სემანტიკა, სიტყვათა წარმოქმნა*

მიზნები :

— ლიტერატურის ჟანრებზე დაკვირვება (ზღაპარი)
— მხატვრული ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— ტექსტის აგება
— წერის სტრატეგიების დაუფლება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

ეს მუშაობა შეიძლება სხვადასხვაგვარად ჩატარდეს; მასწავლებლს ვთავაზობთ ჩვენეულ ვერსიას: მოსწავლეები იხსენებენ ადრე შესწავლილ *(წაკითხულ, მოსმენილ)* ქართულ ხალხურ ზღაპრებს და მსჯელობენ იმ თავისებურებებზე, რაც ზოგადად ზღაპარს ახასიათებს — მასში მოთხრობილია დაუჯერებელი ამბავი, ბოლო კეთილია — იმარჯვებს კეთილი და მარცხდება ბოროტი, ქართული ზღაპრების უმეტესობა იწყება „იყო და არა იყო-რა“თი, მთავრდება: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“. აქვე კლასს გააცნობს ილიას ცნობილ გამონათქვამს ზღაპრის შესახებ **(„ჩვენი ზღაპარი ტყუილად კი არ იწყება *„იყო და არა იყო რათი“. „იყო“* შიგ ჩასახულის აზრია, და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. *„არა კი არა იყო-რა“* ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის“)** და მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს მას კონკრეტული მაგალითების მოშველიებით (*მაგ: **„ნაცარქექია“** — **„იყო“** ადამიანის გამარჯვება ბოროტ ძალებზე, **„არა იყო-რა“** — ეხება თავად ნაცარქექიასა და დევს, რომლებიც არც ყოფილან და არც ამჟამად არსებობენ...)...*

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი:

ტექსტის წაკითხვამდე კარგი იქნება, თუ მასწავლებელი კლასს დააკვირვებს ზღაპრის სათაურზე — **„ბედი და იღბალი“**. ჩვეულებრივ, ეს ორი სიტყვა (***ბედი, იღბალი***) ერთმანეთის სინონიმებად მიიჩნევა (*იხ. ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბ. 1978 წ, გვ. 47)*, მაგრამ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ამ სიტყვების უფრო ზუსტ ახსნას ვხვდებით: **ა) ბედი** — **1.** *ძველი ხალხური რწმენით, ზებუნებრივი რაღაც ძალა, რომელიც ვითომ წინასწარ განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას,* ***2.*** *მომავალი, ხვედრი, 3. კარგი ხვედრი (იღბალი);* **ბ) იღბალი** — ***კარგი ბედი.*** ამ ტექსტში ეს სიტყვა (*იღბალი)* სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული. მოსწავლეები ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. გარდა „სიტყვის სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები: **ღატაკი** — ღარიბი, **მუდამდღე** – ყოველდღე, **დუქანი** — სავაჭრო დაწესებულება, **ნაოფლარი** — დიდი შრომით შეძენილი...

მოსწავლეები აანალიზებენ წაკითხულს მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით:

— რატომ ვერ უშველა ღარიბს იღბლის დახმარებამ?

— როდის შეიცვალა ღარიბის ცხოვრება? ტექსტის მიხედვით, რა გახდა მისი წარმატების მიზეზი? *(ბედი და შრომისმოყვარეობა ერთად).* აქვე სრულდება წყვილებში დავალება №1 („აქტივობების რვეული“).

— ღარიბი კაცის რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

— რა ანდაზით მთავრდება ეს ზღაპარი? როგორ გესმით მისი მნიშვნელობა? *(თუ ბედი გწყალობს, ყველგან კარგად იგრძნობ თავს).* რამდენად შეეფერება ეს ანდაზა ტექსტის შინაარსს? (*ნაწილობრივ შეეფერება, იმიტომ რომ მარტო იღბლის/ბედის დახმარება არ იყო საკმარისი; სანამ ღატაკმა თვითონაც არ გაანძრია ხელი, არაფერი ეშველა).*

— რა არის ამ ზღაპრის თემა? *(ბედისა და იღბლის გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე)*, რის თქმა სურს მთქმელს ამ ზღაპრით? *(თუ ხელიც არ გაანძრიე, მარტო ბედი ვერაფერს გიშველის).*

— გავიხსენოთ რა სიტყვებით იწყება ეს ზღაპარი? *(„იყო და არა იყო-რა“...).* თქვენი აზრით, რის შესახებ შეიძლება ვთქვათ *„იყო“? (ღარიბი კაცის გაჭირვების შესახებ...),* რაზე შეიძლება ვთქვათ *„არა იყო-რა“? (ბედისა და იღბლის სანაძლეოსა და მათი დახმარების შესახებ; თვით ამ ამბის შესახებ, რომელიც არც მომხდარა და არც მოხდება...).*

აქტივობა 3 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ბედისა და იღბლის სანაძლეო
ბ) იღბლის საჩუქარი
გ) ოქროების დაკარგვა
დ) გაორმაგებული საჩუქარი
ე) კვლავ დანაკარგი
ვ) იმედების გაცრუება მესამედ
ზ) ბედის საჩუქარი...

მოსწავლეები ამ გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ნაწილ-ნაწილ. სრულდება დავალება №2 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 4 —ტექსტის აგება:

დავალება №3. ეს დავალება მოსწავლეებმა შეიძლება შეასრულონ როგორც ინდივიდაულურად, ისე წყვილებში ან ჯგუფურად. ნამუშევრის პრეზენტაცია ხდება კლასში.

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

1) სიტყვის გამოყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით (პრაქტიკულად, ტერმინის გარეშე):

— „მივიდა ღარიბი კაცი დაღონებული და **<u>დაძმარებული</u>** შინ.“

„ღვინო **<u>დაძმარებული</u>** დამხვდა“;

— რას ამჩნევთ? რას აღნიშნავს ხაზგასმული სიტყვა პირველ წინადადებაში? მეორე წინადადებაში?

ასევე შეიძლება შევთავაზოთ სხვა მსგავსი მაგალითებიც:

„დედა ოთახში გახარებული და **პირმცინარი** შემოვიდა.“

„აპრილის **პირმცინარი** მზე გულ-მკერდს უქარგავდა დედამიწას“.

„**ცივი** და უხვთოვლიანი ზამთარი დადგა“.
„ლეო ასეთ **ცივ** დახვედრას არ მოელოდა“...

2) ნასახელარი ზმნები (ტერმინის გარეშე):

მდიდარი — გამდიდრდა
ღარიბი — გაღარიბდა
ღატაკი — გაღატაკდა
ძმარი — დაძმარდა
გლახაკი — დაგლახაკდა
ნაძლევი — დანაძლევდნენ

3) ორთოგრაფიაზე ვარჯიში – დავალება №4 („აქტ. რვ.“).

შედეგების კოდი: V3, V4, V6, V7, V8, V9, V10, V11.

„როგორ ეძებდა გლეხი სამართალს“ (გერმანული ხალხური ზღაპარი), სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა, მიმართვის თავაზიანი ფორმები, ფრაზეოლოგიზმები

მიზნები:

— მხატვრული ტექსტის კომენტირებული კითხვა და გააზრება
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

მოსწავლეებს შეიძლება წავუკითხოთ ერთ-ერთი მონაკვეთი ამ ტექსტიდან, რომელიც ყველაზე დამაინტრიგებელი შეიძლება მოეჩვენოთ ბავშვებს, მაგ:

„ხალხი თანდათან აგუგუნდა, ახმაურდა. რისხვამ დაისადგურა თითოეული ადამიანის გულში. როგორც ერთი კაცი, ისე დაიძრა მეფის სასახლისაკენ. მალემსრბოლმა გაასწრო ხალხს, შევარდა სასახლეში და მეფეს მოახსენა:

— სამართლიანობა გარდაცვლილა და ამიტომ რეკავენ ზარებს. ხალხი შენთან მოდის სამართლის საძებნელადო..“

— როგორ გესმით სიტყვები: „სამართლიანობა გარდაიცვალა“?
— როგორ ფიქრობთ, რატომ ეძებდა ხალხი სამართალს?
— იპოვიდა თუ არა მეფის სასახლეში მისული ხალხი სამართალს?..
— თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება თხრობა ამ ტექსტში?

აქ მოსწავლეები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით გვთავაზობენ პასუხების სხვადასხვა ვერსიას. ისინი უკვე მზად არიან ტექსტის წასაკითხად.

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

ზღაპარს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ თავად მოსწავლეები. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და ფრაზები: **თავნება** — თავისნათქვამა, ჯიუტი; **ბაკი** — საქონლის სადგომი, **თვალში მომივიდა** — მომეწონა, **უთენია** — დილით ადრე, **მოწიწებით** — მორიდებით, პატივისცემით; **მუქთად** — უფასოდ; **სულს იქით არაფერი მაბადია** — ძალიან მიჭირს, არაფერი მაქვს...

ტექსტის გაგებისათვის დაისმის შინაარსზე ორიენტირებული კითხვები, რომელთა პასუხები მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნშიაც ამოიკითხონ.

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება და შეფასება:

დაისმის კითხვები:

— რატომ არ სურდა გლეხს სახლ-კარის გაყიდვა? თქვენი აზრით, სწორად იქცეოდა იგი? გლეხის რა თვისებები ჩანს ამ ზღაპარში? დაახასიათეთ გლეხი ტექსტის მიხედვით.

— რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ გრაფის საქციელი — გაეფართოებინა

სამფლობელო მეზობლების ხარჯზე? რა ხერხებს მიმართავდა იგი მიზნის მისაღწევად? გრაფის საქციელში რა გეჩვენებათ ყველაზე მიუღებლად? ამოიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს გრაფის შინაგან ბუნებას (*„ჩემი სარდაფი ოქროთია გამოტენილი, ჩემი ციხესიმაგრე კი ყველაზე მაღალი და მტკიცეა მთელ სამეფოში, მეც ყველაზე ძლიერი ვარ გრაფთა შორის და, რასაც მოვიწადინებ, იმავე წუთს შევასრულებ...“).*

— თქვენი აზრით, რატომ ჩამოყალიბდა გრაფი ასეთ ხარბ, უსამართლო, დაუნდობელ და ქედმაღალ ადამიანად? რა იყო ამის მიზეზი? *(ა. მისი სიმდიდრე და ძალაუფლება, ბ. მას არასოდეს არვისგან არ შეხვედრია წინააღმდეგობა, გ. იმ ქვეყანაში არ არსებობდა სასამართლო,* ***დ. ყველაფერი ერთად*** *— დაასაბუთეთ თქვენი აზრი).* როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ შეიცვლებოდა გრაფი?

— ნაწარმოების მიხედვით, როგორია მეფე? მისი რა თვისებები ჩანს? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით. როგორ ახერხებს იგი ამბოხებული ხალხის დაწყნარებას? შეეძლო თუ არა მას, თქვენი აზრით, სხვაგვარად დაეწყნარებინა თავისი ქვეშევრმდომები?

— ვინ და ვინ არიან ამ ზღაპრის გმირები? რომელი გმირები არიან მთავარი? (*გლეხი, გრაფი),* არამთავარი? *(მოსამართლეები, მნათე, მალემსრბოლი, მეფე, ხალხი).* რა შეგიძლიათ თქვათ ამ გმირების შესახებ? რომლის საქციელია თქვენთვის მისაღები? მიუღებელი? თქვენი აზრით, რომელი გმირები არიან დადებითი? უარყოფითი?

— რა აზრია გატარებული ამ ზღაპარში? *(ხალხმა თავად უნდა დაიცვას თავისი ინტერესები).*

— თუ ჩანს ზღაპარში მთქმელის დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი? *(არ ჩანს, მთქმელი მხოლოდ მთხრობელის როლში გვევლინება).*

— რა მოგეწონათ ამ ნაწარმოებში? რა არ მოგეწონათ? რას შეცვლიდით? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— როგორ ფიქრობთ, შეიცვლებოდა ამის შემდეგ ამ სამეფოში ცხოვრება? რა შეიცვლებოდა? — სრულდება დავალება №1 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 4 — შინაარსის გადმოცემა:

ტექსტი იყოფა ნაწილებად, შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) თავდაჯერებული გრაფი
ბ) გრაფის სურვილი
გ) გლეხის უარი
დ) განრისხებული გრაფი /გრაფის მუქარა
ე) უსამართლო სასამართლო / მოსყიდული მოსამართლეების განაჩენი
ვ) სამართლის ძიებაში
ზ) ხალხის აღშფოთება
თ) სამართალმა გაიმარჯვა / სამართალმა პური ჭამა

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ამ საკითხების მიხედვით, წერილობით ასრულებენ №2 დავალებას („აქტ. რვეული“).

აქტივობა 5 — სამეტყველო ეტიკეტზე დაკვირვება:

ა) დააკვირდით, რა სიტყვებით ესაუბრება გლეხი *(მოსამართლეები)* გრაფს *(კეთილო ბატონო, თქვენო ბრწყინვალებავ, დიდებულო გრაფო).* რა ჩანს მიმართვის ამ ფორმებში? *(გრაფისადმი მოწიწება, პატივისცემა, თავაზიანობა).* თქვენი აზრით, რატომ იყენებენ მიმართვის ასეთ ფორმებს გლეხი და მოსამართლეები? *(გრაფი მათზე ძლიერია და ძალაუფლებით მათზე მაღლა დგას).*

ბ) დააკვირდით, რა სიტყვებით მიმართავენ გლეხს გრაფი და მოსამართლეები *(ბრიყვო, ხეპრევ, სულელო).* რა ჩანს მიმართვის ასეთი ფორმებიდან? *(ისინი პატივს არ სცემენ გლეხს, რადგან ის უფლებრივად მათ ზე დაბლად დგას).* მიმართვის რა ფორმებს იყენებენ დღეს უცნობ/პატივსაცემ ადამიანთან საუბრისას? *(ბატონო, ქალბატონო...).* მიმართვის რა ფორმებს იყენებთ თქვენ უფროსებთან საუბრისას? რას გამოვხატავთ მიმართვის ასეთი ფორმებით? *(ჩვენს პატივისცემას).*

აქტივობა 6 — ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება:

თვალში მოუვიდა — მოეწონა
ცივი უარი — მტკიცე, გადაწყვეტილი უარი
სულს აქეთ არაფერი მაბადია – არაფერი მაქვს, ძალიან მიჭირს
ხელის ერთი დაკვრით მოვაგვარებთ — ადვილად მოვაგვარებთ
ზღვა ხალხი – უამრავი ხალხი
ხალხის გულში რისხვამ დაისადგურა — ხალხი გაბრაზდა

ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით მოსწავლეები ადგენენ წინადადებებს, ასრულებენ დავალება №3-ს („აქტ. რვეული“).

აქტივობა 7 — სიტყვის გამოყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით:

დავალება №4.

აქტივობა 8 — პუნქტუაციაზე დაკვირვება:

ა) ბრჭყალები ირონიულად ნათქვამ სიტყვასთან,
ბ) მრავალწერტილი:

მოძებნეთ ტექსტში ის ადგილები, სადაც მრავალწერტილია ნახმარი (*„დაიწყო სასამართლო..., მიწა მოსახნავი დარჩა, შეშა მოსატანი, ცხენები დასაჭედი...“ „ზარები კი რეკავდა, რეკავდა...“*)

— როგორ ფიქრობთ, რატომ ხმარობს მწერალი მრავალწერტილს? (*ნათქვამი არაა დამთავრებული*). ეცადეთ, დაამთავროთ სათქმელი.

შედეგების კოდი: V2, V4, V6, V7, V8, V10, V11, V12.

სერგო კლდიაშვილის „ყანჩა და კაკაბი“, *სხვადასხვა პირში თხრობა, სიტყვათა განმეორება და მათი თავიდან აცილება*

მიზნები:

— ლიტ. ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი
— კრიტიკული აზროვნების განვითარება
— ლიტ. პარალელების გავლება
— გაბმული თხრობა
— სხვადასხვა პირში თხრობა
— სიტყვათა განმეორების თავიდან აცილება ნაცვალსახელის საშუალებით
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1. კითხვისათვის მზადება — პროვოცირება: მასწავლებელი კლასს შესავსებად სთავაზობს „გონებრივი იერიშის“ რუკას:





დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

სერგო კლდიაშვილი (1893 – 1986 წლები) — დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მამასთან (ცნობილ ქართველ მწერალ დავით კლდიაშვილთან) ერთად მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, საქართველოში დაბრუნდა 1917 წელს. მისი პირველი პროზაული მინიატურები დაიბეჭდა 1911 წელს თბილისის გაზეთ „სინათლეში", 1916 წლიდან „ცისფერყანწელთა" ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური წევრია. მწერალი ნოველის ჟანრის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატია. მისი ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი შემოქმედი, ადამიანი პატრიოტი. ავტორია ნოველებისა: „ჭინკა ბიჭები", „ობროდი", „გორგასალის თასი", „სერაფიტი", „შემოდგომის წვიმა", „ჯორდანო ბრუნო"... განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა „ლახუნდარელის თავგადასავლმა". აქტიურად მუშაობდა დრამატურგიაშიც. სხვადასხვა წლებში ქართულ სცენაზე იდგმებოდა მისი პიესები: „დაბრუნება", „ირმის ხევი"... თარგმნილია მრავალ ენაზე.

ნოველა — (იტალ. – ახალი ამბავი) წარმოიშვა იტალიაში შუა საუკუნეებში და იქიდან გავრცელდა მსოფლიო ლიტერატურაში, მცირე მოცულობის პროზაული ნაწარმოებია. იგი ადამიანის ცხოვრების ერთ ისეთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდზე მოგვითხრობს, რომელიც ფაქტობრივად ამ პიროვნების მთელ ცხოვრებისეულ ყოფაზე გვიქმნის წარმოდგენას. მისთვის დამახასიათებელია მოქმედ პირთა რაოდენობრივი სიმცირე. პესონაჟთა ხასიათები, ყოფითი გარემო, მოქმედების მსვლელობა ნოველაში ძალზე შეკუმშულად არის აღწერილი. ნოველის ჟანრული თავისებურებაა ორიგინალური, მძაფრი ფაბულა, მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური კვანძის გახსნა. ნოველას მკაფიოდ გამოხატული კომპოზიცია ახასიათებს, რომელშიც დაცულია მოქმედების თანმიმდევრობა, თხრობის თავდაჭერილი კილო, ხასიათდება ლექსიკური ფორმის სინატიფით. მისთვის უცხოა აღწერა, მას არ აქვს (ან აქვს ძალზე სუსტად გამოხატული) ლირიკული საწყისები. ამ ნიშნების მიხედვით ს. კლდიაშვილის „ყანჩა და კაკაბი" სწორედ ნოველის ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ.

მსოფლიო ნოველისტიკის ცნობილ ოსტატებს წარმოადგენენ ჯ. ბოკაჩო, პ. მერიმე, ა. ჩეხოვი, ო'ჰენრი... ქართულ ლიტერატურაში ნოველის, როგორც კლასიკური ჟანრის, ფორმირება ხდება მე-19—მე-20 ს-ის მიჯნაზე. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან შ. არაგვისპირელი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, ნ. დუმბაძე, რ. ინანიშვილი... (ა. ნიკოლეიშვილი, „ქართული ლიტერატურა", XI კლ. 2004, გვ. 225; ა. ჭიალაია, რ. ჭიალაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები", 1984 წ, გვ. 226).

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

ტექსტი წინასწარ არის დაყოფილი ნაწილებად და მოსწავლეებიც ასე კითხულობენ მას. შეიძლება ამას მივცეთ „პაუზებით კითხვის" სახეც და თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ კლასს გამოვათქმევინოთ აზრი მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ.

ტექსტის ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, შემდეგ დაისმის **გაგებაზე** ორიენტირებული კითხვები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული.

მოსწავლეები ახასიათებენ თითოეულ გმირს, გამოყოფენ მათი ხასიათის ძირითად თვისებებს, რასაც ტექსტის მიხედვით ასაბუთებენ. ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზე, რომ ორივე გმირი — ყანჩაც და კაკაბიც — ცხოვრებას მხოლოდ საკუთარი გადასახედიდან უყურებს: მათ მოსწონთ მხოლოდ ის, რაც მათთვის არის კარგი და მისაღები. მათ არ ადარდებთ არაფერი, რაც მათ ინტერესებს არ უკავშირდება. ისინი ჩაკეტილნი არიან საკუთარ სამყაროში. სწორედ ამიტომ არის, რომ ერთსა და იმავე მოვლენას *(მაგ. ბაყაყის ყიყინს)* სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ამიტომ მათი მეგობრობა მოჩვენებითია, დროებითია. ყანჩას ჭაობი მოსწონს, რადგან იქ კარგად გრძნობს თავს, აქვს საკვები, ზამთარში კი თბილ ქვეყნებში გაფრენით შველის თავს. მისთვის თბილი ქვეყანაც მხოლოდ ზამთარშია კარგი, რადგან იქ ზაფხულობით ძალიან ცხელა. მას არ გააჩნია ერთი მუდმივი სამყოფელი, არ აქვს სამშობლო, მისთვის ყველგან კარგია, სადაც კარგად გრძნობს თავს. ყანჩას ძალზე წააგავს კაკაბიც, რომელიც ასევე მხოლოდ საკუთარ

თავზე ფიქრობს და ახალი ყოფა (*ქვეყნად გაშლილი მშენებლობა)* მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოსწონს *(მას ახლა ბევრი საჭმელი აქვს).*

მოსწავლეები მსჯელობენ, რა არის ამ ნაწარმოების თემა *(ყანჩისა და კაკბის ცხოვრება, მათი მეგობრობა*), რა არის დედააზრი (*ცხოვრებას მხოლოდ შენი გადასახედიდან არ უნდა უყურო, უნდა შეგეძლოს კარგისა და ცუდის დანახვა და მათი გარჩევა)*, როგორ ადამიანებს აკრიტიკებს მწერალი *(რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და არ აღელვებთ სხვისი ბედი)...*

ერთგვარ პარალელს ავლებენ ადრე შესწავლილ ნაწარმოებთან **„იხვი და მყვარი“**, ეძებენ მათ შორის მსგავსებასა (*მოქმედების ადგილი —ჭაობი; მოქმედი გმირები, რომელთაგან ერთს — ბაყაყს, ყანჩის მსგავსად, ძალიან მოსწონს და უყვარს იქაურობა; მეორისათვის კი — იხვისათვის, ისევე როგორც კაკბისათვის, — გაუგებარია და უცხო ეს გრძნობა...)* და განსხვავებას *(ბაყაყს, ყანჩისაგან განსხვავებით, იმდენად უყვარს ჭაობი, რომ მის დატოვებაზე არ ფიქრობს და კვდება კიდეც იქ...).*

აკვირდებიან, რა ნიშნით შეურჩია მწერალმა სათაური ტექსტს (*ლიტ. პერსონაჟების მიხედვით),* თვითონ სხვა სათაურს ხომ არ შეურჩევდნენ, რატომ...

აქტივობა 3 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

მოსწავლეები ყოფენ ტექსტს ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ბედით კმაყოფილი ყანჩა

ბ) კაკბის სტუმრობა/საუბარი კაკაბთან/წუნია სტუმარი

გ) ჭაობიან ველთან გამოთხოვება / თბილი ქვეყნებისაკენ გამგზავრება/ მოახლოებული ზამთარი

დ) დაბრუნებული ყანჩის გაოცება / მუდმივად საკვების ძებნაში/იმედების გაცრუება...

ე) კვლავ თბილი ქვეყნებისკენ / დამშვიდობება კაკაბთან

სრულდება დავალება №1 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 4 — ტექსტის აგება:

სათაურის მიხედვით მოსწავლეები ქმნიან აღწერით ტექსტს: „ჭაობიანი ველი წინათ და ახლა“, გადმოსცემენ მის შინაარსს ჯერ თხრობით, შემდეგ — წერილობით (დავალება №2).

აქტივობა 5 — ტექსტში კითხვითი, ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებებში ამოკითხვა:

გაირკვევა ძახილის წინადადების სახეები; ყურადღება გამახვილდება კითხვით-ძახილის წინადადებაზე — კითხვასაც გამოხატავს და გაკვირვებასაც. ვარჯიშობენ ამ წინადადებების სათანადო ინტონაციით წაკითხვაზე.

კითხვითი წინადადებები:

მეგობარო, სად ხარ, რომ ვერსად გნახე? (*კითხვითსიტყვიანია — სად?*); მალე აპირებ წასვლას? გაზაფხულზე მაინც აპირებ დაბრუნებას? მაშ, სხვაგან სად წავიდე? (*კითხვითსიტყვიანია — სად?*); მირჩევ მაინც რა ვქნა? (*კითხვითსიტყვიანია — რა?*); სად არის ჩემი ბუდე? (*კითხვითსიტყვიანია — სად?*).

ძახილის წინადადებები:

რა საამოდ ყიყინებენ ბაყაყები! (გამოხატავს სიამოვნებას); რა უნდა იყოს მაგაზე საზარელი! (გამოხატავს ზიზღს); ვერ გამიგია, რა გემოს ნახულობ რაღაც მარცვალში! (გამოხატავს გაკვირვებას); აბა, გასინჯე, რა გემო აქვს, იქნებ მოგეწონოს! (გამოხატავს თხოვნას); რომ იცოდე, რა გაჭირვებაში ჩავვარდი! (გამოხატავს გულისწყრომას); როგორ მიბედავ შეკამათებას! (გამოხატავს გაბრაზებას) და ა. შ. (ოცამდე ძახილის წინადადებაა ტექსტში)

კითხვით-ძახილის წინადადებები:

ყანჩასაც, აბა, მეტი რა უნდოდა?! იქნებ შევცდი?! როგორ თუ მშიერი?! როგორ შეიძლება აქაურობას წუნი დაედოს?! მიკვირს, ზაფხულშიც იქ არ რჩები?! ეს ამდენი ხალხი საიდან გაჩნდა?!

წერილობით სრულდება დავალება №4 („აქტ. რვეული“).

აქტივობა 6 — სხვადასხვა პირში თხრობა:

— ვინ გადმოგვცემს ტექსტში აღწერილ ამბავს? ეცადეთ, გადმოსცეთ ტექსტის შინაარსი ისე, თითქოს მას გვიყვება 1) ყანჩა, 2) კაკაბი. ეცადეთ თხრობისას გამოიყენოთ სიტყვები: ***სამწუხაროდ, საბედნიეროდ***. როდის გამოიყენებს ამ სიტყვებს ყანჩა? (***საბედნიეროდ*** *— ამ სიტყვას ყანჩა გამოიყენებს მაშინ, როცა ის აღწერს ჭაობს, ბაყაყებს, როდესაც საუბრობს თბილ ქვეყნებზე...* ***სამწუხაროდ*** *— ამ სიტყვას გამოიყენებს მაშინ, როცა მისი სტუმარი უარს ეტყვის ბაყაყის ჭამაზე; როცა უკან დაბრუნებული ჭაობს ვეღარ ნახავს; როცა მას გაუჭირდება ბაყაყების შოვნა; როცა სამუდამოდ უხდება თავის ძველ სამკვიდროსთან გამომშვიდობება...).*

აქტივობა 7 — ნაცვალსახელის რაობა:

მასწავლებელი კლასს სთავაზობს ტექსტს:

„ყანჩას კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ კაკაბმა უეცრად თვალი მოჰკრა მოძმეების გუნდს. კაკაბი საჩქაროდ დაემშვიდობა თავის ძველ მეგობარს, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაშორდა. კაკაბი ლაღად დაქროდა ხან მთაში, ხან ველზე“.

— რომელი არსებითი სახელი მეორდება ტექსტში? თუ შეიძლება, რომ თავიდან ავიცილოთ გამეორება? რა სიტყვა შეიძლება ჩავსვათ მის ნაცვლად? <u>სცადეთ</u> და სათანადო ადგილებზე ჩასვით სიტყვები: ***ის, იგი.***

ჩასწორების შემდეგ ტექსტი ასეთ სახეს მიიღებს:

„ყანჩას კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ კაკაბმა უეცრად თვალი მოჰკრა მოძმეების გუნდს. ის საჩქაროდ გამოემშვიდობა თავის ძველ მეგობარს, ფრთა ფთას შემოჰკრა და გაშორდა. იგი ლაღად დაქროდა ხან მთაში, ხან ველზე“.

მოსწავლეები იხსენებენ წინა კლასებში შესწავლილ ინფორმაციას არსებითი სახელისა და ნაცვალსახელის შესახებ, ასრულებენ: №3 დავალებას („აქტ. რვეული“).

შედეგების კოდი: V1, V3, V6, V7, V9, V10, V11.

გაკვეთილის მასალა: ვაჟა-ფშაველას „უნუგეშო ყოფა“, *გაპიროვნება (ტერმინის გარეშე), მწერლის ენაზე დაკვირვება*

მიზნები:

— პოეტური ტექსტის აღქმა
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
— მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
— გამომეტყველებით კითხვაზე ვარჯიში
— ტექსტის აგება
— პირის ნაცვალსახელების ფუნქციაზე დაკვირვება

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

მასწავლებელი კლასს 2-3 დღით ადრე აძლევს დავალებას — გაიხსენონ წინა კლასებში შესწავლილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, მოიძიონ მასალა ამ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ *(გამოიყენონ ამ მიზნით ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, ჰკითხონ უფროსებს).* ახლა კი დაიყონ ჯგუფებად და მოემზადონ პრეზენტაციისათვის: **რა ვიცი ვაჟას შესახებ.**

აქტივობა 2 — ლექსის კომენტირებული კითხვა და ანალიზი:

მასწავლებელი ლექსს კითხულობს გამომეტყველებით, შემდეგ აკითხებს კითხვაში გაწაფულ მოსწავლეს, იწყებენ ლექსიკურ ანალიზს. გარდა „სიტყვათა სალაროში“ მოცემული სიტყვებისა, აიხსნება შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: ***უნუგეშო*** — უიმედო (***ნუგეში*** — *ისეთი რამ, რაც ადამიანს დაამშვიდებს, იმედს დაუბრუნებს*); ***ჩაგრული*** – დაჩაგრული; ***გულმოკლული*** — ღრმად დამწუხრებული; ***ჯურღმული*** — 1. ღრმა ბნელი ორმო, 2. ღრმა ხრამი, უფსკრული; ***ბნელი ჯურღმული*** — აქ: იგულისხმება სიბნელე, რომელიც ჭადრის ტოტების ქვეშ იყო; ***წყლული გული*** — დაწყლულებული, დასევდიანებული, დანაღვლიანებული გული...

დაისმის ტექსტის **გაგებაზე** ორიენტირებული კითხვები, რომელთა პასუხებს მოსწავლეები წიგნშივე ამოიკითხავენ:

— სად ამოვიდა ია? (*„იას, ბნელ ხევში მოსულსა,...“*)
— რა ეწადა მას? *(„ეწადა ბეჩავს ამოსვლა...“)*
— რა აკლდა? *(„მზის სხივი აკლდა...“)*
— რატომ ეტირებოდა? *(„მზე ველარ აწვდის სხივებსა..“)*
— რა მდგომარეობაში იყვნენ დანარჩენი ყვავილები? რას ედარებოდნენ ისინი? *(„გაღმა კი ყვავილთა გუნდი სამოთხეს ედარებოდა...)*
— რატომ „ემწარებოდა“ იას სიკვდილი? *(ჰხედავს, რომ სხვანი ლხინობენ, მას მიწა ეფარებოდა).*

აქტივობა 3 — ლექსის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება:

მოსწავლეები აკვირდებიან, რა მხატვრულ ხერხებს იყენებს პოეტი *(ტერმინების გარეშე):*

— რასთან არის შედარებული მზის სხივები? რა აქვს საერთო მზის სხივებს ჩიქილასთან?

— იის სიკვდილის აღსანიშნავად რომელ სიტყვებს იყენებს პოეტი? *(„მიწა ეფარებოდა“).*

— როგორ ყოფას უწოდებს პოეტი იის ცხოვრებას? *(„უნუგეშოს“).*

— თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება იის ყოფას ეს სიტყვა? შეიძლებოდა თუ არა, სხვა სიტყვა შეგვერჩია? *(უიმედო).*

— რამდენად სწორად აქვს ტექსტს სათაური შერჩეული? რაზე მიგავნიშნებს ამით პოეტი? *(რომ ლექსში ვიღაცის უიმედო, უნუგეშო ცხოვრების შესახებ იქნება საუბარი*). თქვენ სხვა სათაურს ხომ არ შეურჩევდით? (*მოსწავლეები შემოგვთავაზებენ რამდენიმე ვარიანტს, აუცილებლად უნდა დაასაბუთონ, რამდენად შეეფერება მათი ვარიანტი ტექსტში გადმოცემულ ამბავს, პოეტის სათქმელს).*

— მოვძებნოთ ტექსტში რითმები (სრულდება დავალება №2).

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს „გონებრივი იერიშის“ რუკას და მოსწავლეებს ავალებს — დაახასიათონ ია, ტექსტის მიხედვით შეურჩიონ ზედსართავი სახელები:



— ჩვეულებრივ, ვისი დახასიათებისათვის ვიყენებთ ხოლმე ამ ზედსართავ სახელებს: ***ბეჩავი, განაბული, შემკრთალი, გულმოკლული, გაშტერებული, ატირებული, ჩაგრული?*** *(ადამიანის).*

— მოძებნეთ ტექსტში ის ზმნები, რომლებითაც პოეტი იის მოქმედებას (მდგომარეობას) აღწერს (*ინაბებოდა, კრთებოდა, ეწადა, შეჰფოფინებდა, ელოდა, ეტირებოდა, კვდებოდა...).* ჩვეულებრივ, ვისი მოქმედება გადმოიცემა ხოლმე ამ ზმნებით? *(ადამიანის).*

— თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა პოეტს იის გასულიერება, მისთვის ადამიანის თვისებების მინიჭება? *(რათა მკითხველს უკეთ დაენახა და ეგრძნო იის უნუგეშო ყოფა).*

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

გაპიროვნება — პერსონიფიკაცია, ტროპის სახე. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. გაპიროვნება უსულო საგანს (ამ შემთხვევაში იას) წარმოგვიდგენს როგორც ადა-

მიანს, რომელიც გრძნობს, ფიქრობს, განიცდის, ტირის... მეტაფორისაგან განსხვავებით, გაპიროვნება მხოლოდ ადამიანური თვისებების გადატანას გულისხმობს (ა. ჭილაია... დასახ. შრ. გვ. 56). გაპიროვნების კლასიკური ნიმუშებია ვაჟას „უნუგეშო ყოფა“ და „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

— ვინ მოგვითხრობს იის შესახებ? *(პოეტი ვაჟა-ფშაველა).* რომელ პირშია თხრობა? *(III პირში).* წარმოვიდგინოთ, რომ ტექსტში გადმოცემულ ამბავს თავად ია გვიყვება. ვეცადოთ, გადმოვცეთ ეს ამბავი იის ნაცვლად.

მოსწავლეები ზეპირად ადგენენ ტექსტს, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

“მე ბნელ ხევში ამოვედი, დიდი ჭადრის ძირას. ჭადრის ტოტები ჩემამდე მზის სხივებს არ უშვებენ, ამიტომ ყოველდღე მაკლდება ძალა. განსაკუთრებით ის მაწუხებს, რომ ჩემს ახლოს სხვა ყვავილები მზის სინათლეზე სიცოცხლეს შეხარიან, მე კი მალ მოვკვდები“.

— რომელ პირში გვიყვება ია თავის ამბავს? *(I პირში).* რომელი პირის ნაცვალსახელს იყენებს ის თავის თავზე საუბრისას? *(I პირის **მე** ნაცვალსახელს).*

„აქტ. რვეულში“ სრულდება დავალება №1.

.— როგორც იცით, ვაჟა-ფშაველა ფშავიდან იყო. ხომ ვერ მოძებნით ტექსტში ისეთ სიტყვებს, რომლებიც ფშაური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი? (***ჭანდარი, ეტირნებოდა*** — *ორივე ეს სიტყვა სათანადო მითითებით განმარტებულია „სიტყვის სალაროში“, ამდენად, მოსწავლეებს მათი მიგნება არ გაუჭირდებათ).*

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V5, V6, V8, V10, V11, V12.

ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ დამუშავებას მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას ამ ტექსტის ირგვლივ:

მასწავლებლისათვის:

„შვლის ნუკრის ნაამბობი“ დაიბეჭდა ჟურნალ **„ნობათში“** 1885 წ. და მაშინვე დაიმსახურა კრიტიკოსთა მაღალი შეფასება. 1886 წ. ცნობილი ქართველი კრიტიკოსი **ი. მანსვეტაშვილი** ჟურნალ „ნობათის“ მიმოხილვისას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა ახალგაზრდა მწერლის (მაშინ ვაჟა მხოლოდ 23 წლის იყო) ამ მოთხრობას და წერდა: „ყმაწვილის გულში თუ გსურთ სიბრალული აღძრათ, რომელიც დასაბამია კაცთამოყვარეობისა, და მის ნორჩ გონებას ნათლად დაუმტკიცოთ, თუ რა ძნელია ობლობა, სწორედ ამგვარი მოთხრობები უნდა აკითხოთ. ეს მართალი სურათი უფრო ღრმად ჩაებეჭდება გონებაში, უფრო ძლიერ დააფიქრებს მას, ვიდრე გრძელი და მძიმედ გადმოცემული მოძღვრება და ქადაგება“.

რამ აიძულა ახალგაზრდა მწერალი ასეთი სევდიანი ნაწარმოები დაეწერა ბავშვებისათვის? ამ კითხვაზე პასუხს თავად მწერალი იძლევა: „რადა? იმიტომ რომ მადლი სუფევდეს ქვეყანაზე, ვხედავდეთ შეწევნას, შველას, შებრალებას... მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი... წარმოვიდგინოთ ისეთი დრო, როცა შესაბრალებელი არავინ იყოს, შეწყალებას აღარსად ჰქონდეს ბინა ამ წუთისოფელში, რა იქნებოდა მაშინ ადამიანთა კრებული და თვითონ კაცი? “ (ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები“, 1891 წ, ტ. V, გვ. 117). ამ ნაწარმოებში კარგად ჩანს, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება ბუნებაში იმისთვის, რომ არსებობა შეინარჩუნოს სიცოცხლემ, როგორც ბუნების ყველაზე დიდმა ფენომენმა. მაგრამ როგორ შეინარჩუნოს სიცოცხლე შვლის ნუკრმა, როდესაც მას ადამიანის გარდა უამრავი მტერი ჰყავს?! ვთქვათ, ადამიანმა შეიბრალა; მგელმა, არწივმა, მტაცებელმა ხომ არ იცის შებრალება, ისინი ხომ სხვის სიცოცხლეს თხოულობენ მსხვერპლად საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად?! ნუთუ თვით სიცოცხლე თხოულობს მსხვერპლად სხვა სიცოცხლეს არსებობის გასაგრძელებლად?! ბუნების კანონის

არსი გამოხატულია სიტყვებში: „ყოველივე, რაც წარმოიშვება, უნდა განადგურდეს“. თავისი შემოქმედებით ვაჟა ხომ არ ცდილობს ეჭვი შეგვატანინოს ბუნების ამ კანონზომიერებაში? ვაჟა ამ კითხვაზეც გვაძლევს პასუხს: „ბუნებას და ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუცვლიან არჩეულ გზაზე სვლას“. (დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1989 წ., გვ. 250).

მ. ზანდუკელი „შვლის ნუკრის ნაამბობს“ **განწყობილების მოთხრობას, ნოველას** უწოდებს. ასეთი ნაწარმოები მკითხველში ამახვილებს სიყვარულის, თანაგრძნობის, შებრალების გრძნობას (მ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, 1953, გვ. 311).

ირემი (Cervus) - წყვილჩლიქოსან ცხოველთა გვარი ირმისებრთა ოჯახისა. თითო რქაზე შეიძლება 10-ზე მეტი ტოტიც ჰქონდეს. კისერზე მოკლე ფაფარი აქვს. ნუკრი ხალებიანია, მოზრდილი - ერთფერი. კუდის არეში აქვს სხვადასხვა სიდიდის „სარკე“. გავრცელებულია ევროპის, აზიის (უმთავრესად სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის), ჩრდილოეთ ამერიკის ტყეებში. აერთიანებს 6 ქვეგვარის 13-14 სახეობას. საქართველოში გვხვდება კეთილშობილი ირემი. სანადირო და სარეწაო ცხოველებია. ნახევრად მოშინაურებული ირმების ნორჩ რქებს - პანტებს - იყენებენ პანტოკრინის დასამზადებლად. ნადირობა უმთავრესად აკრძალულია, აკლიმატიზებულია ახალ ზელანდიაში, სამხრეთ ამერიკაში და სხვა.

შველი - ირმების ოჯახის ეს ყველაზე პატარა ტანის ჩლიქოსანი განსაკუთრებული სილამაზითა და სინაზით გამოირჩევა. კოხტა, სწორ ფეხებზე შემდგარი მკვრივი ტანი, ლამაზი თავი, მეტად მოხდენილი ტუჩებით, დატოტილი, ზემოთ აშვერილი წვრილი რქებით და შავი ფართო თვალებით, - იგი ჩვენი ბუნების ნამდვილი მშვენებაა. როგორც ირემს, ისე შველსაც რქები მხოლოდ მამალს აქვს, რომელსაც, ამ ოჯახის ჩვეული წესით, ყოველწლიურად ნოემბერ-დეკემბერში იცვლის.

შველი უმთავრესად მეჩხერ, ფოთლოვან ტყეებში გვხვდება. ის იმავე საკვებით საზრდოობს, როგორც ირემი. მასაც მლაშე წყლები და ხელოვნური სამარილეები უყვარს. მაკეობს აგვიტო-სექტემბერში. შვლის მაკეობა თითქმის 9 თვეს გრძელდება და მაის-ივნისში შობს ერთ, ორ და ზოგჯერ სამ ნუკრს.

ჩვენში შველი თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება, სადაც კი შველისათვის თავშესაფარი და საკვები პირობებია.

ნადირობა მხოლოდ მამალ შველზე შეიძლება განსაკუთრებული ნებართვით.

გაკვეთილის მასალა: ***ფ. ზალტენის „ბემბი“ (ნაწყვეტი), ნაცვალსახელი, პატივისცემის მრავლობითი***

მიზნები:

— ადამიანისა და ცოცხალი ბუნების ურთიერთობაზე დაკვირვება

— მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი

— წაკითხულის შეფასება, პარალელების გავლება შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებთან, ანიმაციურ ფილმებთან

— ლექსიკური მარაგის გამდიდრება

— გაბმულ თხრობაზე ვარჯიში

— სამეტყველო ეტიკეტზე დაკვირვება, პატივისცემის მრავლობითი

— წერის სტრატეგიების დაუფლება

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

მასწავლებელი წინა დღით კლასს ავალებს მოიძიონ მასალა „საქართველოს წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი ცხოველების: ***ირმისა და შვლის*** — შესახებ *(ამ მიზნით გამოიყენონ ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, ჰკითხონ უფროსებს).*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ფელიქს ზალტენი ფსევდონიმია ავსტრიელი მწერლის **ზიგმუნდ ზალცმანისა**. დაიბადა 1869 წ. ბუდაპეშტში, გაიზარდა და ცხოვრობდა ვენაში. მას შემდეგ, რაც ავსტრია გერმანიის ნაწილად გადაიქცა, ებრაელი მწერალი იძულებული გახდა შვეიცარიისთვის შეეფარებინა თავი (1938 წ.), სადაც გარდაიცვალა 1945 წ. საყოველთაო აღიარება და სახელი მოუტანა **„ბემბიმ“**, რომელიც 1923 წ დაიწერა. ინგლისურად გადაითარგმნა 1928 წ. და ამის შემდეგ იქცა ერთ-ერთ ცნობილ საბავშვო ნაწარმოებად მსოფლიოში. ამჟამად თარგმნილია 20-მდე ენაზე. ამ ნაწარმოების მიხედვით 1942 წ. უოლტ დისნეიმ გადაიღო ცნობილი მულტფილმი, რომელშიაც ირმის ბიჟინა შვლის ნუკრად გადაიქცა. ამავე დროს ფილმში შეიცვალა მოქმედების ადგილი – მოქმედება ამერიკის ტყეში ხდება. ამ ნაწარმოებს აქვს გაგრძელებაც, რომელიც მწერალმა მოგვიანებით დაწერა: „ბემბის შვილები“. “ბემბის“ მიხედვით საბჭოთა კავშირში გადაღებულია მხატვრული ფილმებიც: „ბემბის ბავშვობა“ (1985 წ) და „ბემბის ახალგაზრდობა“ (1986 წ.).

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. ტექსტის ანალიზისას ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ ნაწარმოების პერსონაჟები არიან ირმები, რომლებსაც მწერალმა ადამიანების მსგავსად სახელები *(ბემბი, კარუსი, ნეტლა, ენი, მარენა...)* შეურჩია.

— ვინ არის ამ ტექსტის მთავარი გმირი? ვის შესახებ საუბრობენ ირმები? *(ადამიანის).*

— რა ჩანს მათ საუბარში? *(ადამიანის მიმართ უდიდესი შიში).*

— რით არის ეს შიში გამოწვეული? *(ადამიანი დაუნდობლად ხოცავს ფრინველებსა და ცხოველებს).*

— როგორია ირმების თვალით დანახული ადამიანი? *(საშინელი შესახედავია, აქვს უსიამოვნო სუნი).*

— თქვენი აზრით, აქვთ თუ არა ირმებს შიშის საფუძველი?

— ადამიანის რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაახასიათეთ ადამიანი ამ ტექსტის მიხედვით.

— რისი იმედი აქვთ ირმებს? *(მოვა დრო და ადამიანი და ირმები დაზავდებიან).* თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, როდისმე ამ ოცნების ახდენა? (*მოსწავლეებს ეძლევათ აზრის თავისუფალად გამოთქმისა და დასაბუთების საშუალება, მოქმედებს პრინციპი – ყველას აზრი საყურადღებოა).*

— რა აქვს ამ ნაწარმოებს საერთო „შვლის ნუკრის ნაამბობთან“? *(ორივეგან მოქმედება ტყეში ხდება, მოქმედი პირები არიან უმწეო ცხოველები: შველი და ირემი; ორივეგან ადამიანის დაუნდობლობასა და სისატიკეზეა საუბარი; ორივე ტექსტში ცხოველები ადამიანის მსგავსად საუბრობენ, განიცდიან, უხარიათ, სწყინთ, ეშინიათ; ორივე მწერალმა შეძლო მკითხველის დაფიქრება..);* რა განსხვავებაა მათ შორის? *(პირველ შემთხვევაში ამბავს თავად შვლის ნუკრი გადმოგვცემს, აქ კი — მწერალი; პირველი ნაწარმოები უფრო მკვეთრად გვიჩვენებს ადამიანის სისასტიკეს და მკითხველშიც მეტ თანგრძნობას აღძრავს; „ბემბი“ კი ტიპური საბავშვო თხზულებაა, რომლის მიზანიც სრულებითაც არ არის ნორჩი მკითხველის დასევდიანება; „ბემბის“ ირმები მომავლის რწმენით არიან გამსჭვალული და იმ დროს ელიან, როცა ადამიანთან ერთად მშვიდობიანად იცხოვრებენ ტყეში, შვლის ნუკრს კი ადამიანის ეშინია და მასთან თანაარსებობის ყოველგვარი იმედი აქვს გადაწურული...*)

აქვე მოსწავლეებს შეიძლება შევახსენოთ ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული უოლტ დისნეის ცნობილი ანიმაციური ფილმი, გავავლებინოთ მათ შორის პარალელები.

აქტივობა 3 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ნაწილებად. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ირმები ადამიანზე საუბრობენ
ბ) რა არის ადამიანის მესამე ხელი
გ) რატომ ეშინიათ ირმებს ადამიანის
დ) მარენას ოცნება
ე) რატომ გაბრაზდა დეიდა ნეტლა...

გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი გაბმული თხრობით. „აქტ. რვეულიდან“ სრულდება დავალებები №2 და №3.

ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

აქტივობა 4 — მწერლის ენაზე დაკვირვება *(ევფემიზაცია — ტერმინის გარეშე)*:

— რა სახელით მოიხსენიებენ ადამიანს ირმები? *(მის სახელს არ ახსენებენ, მხოლოდ ნაცვალსახელებით — იგი, მისი — მოიხსენიებენ).*

— როგორ ფიქრობთ, რატომ აკეთებენ ამას ირმები? *(მათ იმდენად სძულთ და ეშინიათ ადამიანის, რომ მისი სახელის ხსენებაც არ სურთ).*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ევფემიზმი—სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი სხვა სიტყვა ან გამოთქმა. ევფემიზმის უძველესი და თავისებური სახეა **ტაბუ,** სიტყვის ხმარების აკრძალვა რაიმე მოტივით. მავნე და საზიზღარ არსებათა სახელებს წინათ არ ხმარობდნენ და ცვლიდნენ მოსაფერებელი გამოთქმებით, მინიშნებებით (შდრ. **ბატონები** — საბავშვო ინფექციური სნეულებების აღსანიშნავად). (ლიტ: ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ. 2005 წ., გვ. 236; ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, XI კლ. სახელმძღვანელო, თბ. 2001, გვ. 16). ამ მოთხრობაში ირმებს ტაბუ აქვთ დადებული ადამიანის სახელზე და მას მხოლოდ ნაცვალსახელებით (იგი, მისი) მოიხსენიებენ.

აქტივობა 5 — სამეტყველო ეტიკეტზე დაკვირვება — პატივისცემის (თავაზიანობის მრავლობითი:

სახელმძღვანელო.

აქტივობა 6 — სხვადასხვა პირში თხრობა:

„აქტ. რვეული“, დავალება №4.

აქტივობა 7 — ლექსიკური მარაგის გამდიდრება:

„აქტ. რვეული“, დავალება №5 — გაიხსენე, რა ჰქვია:

შვლის ნაშიერს — (ნუკრი)
დათვის ნაშიერს — (ბელი)
ლომის ნაშიერს — (ბოკვერი, ლეკვი)
სპილოს ნაშიერს — (სპლიყვი)
კურდღლის ნაშიერს — (ბაჭია)
ტურის ნაშიერს — (ლეკვი)
ციყვის ნაშიერს — (ბელი)

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V6, V7, V8, V9, V11.

6. დუმბაძის „ხაზარულა“, დიალექტიზმები, იუმორი (ტერმინის გარეშე)

მიზნები:

— ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი

— კითხვის სტრატეგიების დაუფლება, ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება

— გაბმული მეტყველების განვითარება

— მხატვრული გამოსახვის ხერხებზე (იუმორი) დაკვირვება

—წერის სტრატეგიების დაუფლება — მოკლე შინაარსის გადმოცემა წერილობით, კორექტირება და თვითშეფასება

—დიალექტიზმებზე დაკვირვება,

— სხვადასხვა პირში თხრობა (დიალოგის პერიფრაზი)

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — კითხვისთვის მზადება (5 წთ.):

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს გაიხსენონ, რა იციან ნოდარ დუმბაძის შესახებ. კარგი იქნება, თუ მანამდე დავავალებთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია ამ მწერლისა და მისი ნაწარმოებების შესახებ. მოსწავლეთა დახმარებით თანდათან შეივსება „გონებრივი იერიშის რუქა“:



დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე დაიბადა 1928 წლის 14 ივლისს ქალაქ თბილისში. მამა - ვლადიმერ ივანეს ძე დუმბაძე საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი, დედა - ანა ივანეს ას. ბახტაძე - დიასახლისი. ქალაქ თბილისის მე-15 სკოლის მოსწავლე ნოდარ დუმბაძე საცხოვრებლად გადავიდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში ბებიასთან და პაპასთან. 1937 წლის ცნობილი რეპრესიები მომავალი მწერლის ოჯახსაც შეეხო, რის შედეგადაც დახვრიტეს მისი მამა, ხოლო დედა კი

ხანგრძლივი ვადით გადაასახლეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მწერალი თავის ნაწარმოებებში ხშირად იყენებს ავტობიოგრაფიულ ფაქტებს, ხშირად საუბრობს ომის დროს სოფლად გატარებულ წლებზე, ცდილობს დაგვანახვოს იმდროინდელი ქართული სოფელი იქ მყოფის თვალით.

1945 წელს ნოდარ დუმბაძემ დაასრულა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა და თბილისს დაბრუნდა სწავლის გასაგრძელებლად. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა. 1967-72 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. 1972 წლიდან საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი და სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ჟურნალის „მოლოდაია გვარდიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1950 წლიდან ნ. დუმბაძის ლექსები და იუმორისტული მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. მოთხრობების პირველი კრებული „სოფლელი ბიჭი“ გამოქვეყნდა 1960 წელს. მწერალს აღიარება მოუპოვეს პირველივე რომანებმა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1960) და „მე ვხედავ მზეს“ (1962). ნოდარ დუმბაძეს რომანებისა („მზიანი ღამე“ (1967), „ნუ გეშინია, დედა!“ (1971), „თეთრი ბაირაღები“ (1973) და მოთხრობებისათვის 1975 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

ნაწარმოებების ნათელმა ოპტიმიზმმა, თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა - როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. დუმბაძის თხზულებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდოვურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე. დუმბაძის ოთხივე რომანი გადაკეთდა პიესებად. დაიდგა საქართველოსა და უცხო ქვეყნების სცენებზე. გადაღებულია კინოფილმები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1962 წ. რეჟისორი თ. აბულაძე), „მე ვხედავ მზეს“ (1965 წ. რეჟ. ლ. ღოღობერიძე), „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“, „ნუ გეშინია, დედა!“ (1972 წ. რეჟ. მ. კოკოჩაშვილი). ნ. დუმბაძეს ეკუთვნის ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით. გარდაიცვალა 1983 წელს. დაკრძალული იყო ქ. თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიურში“, რომელიც თავის დროზე სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა. ამჟამად განისვენებს მთაწმინდის პანთეონში.

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (12-13 წთ.):

მოსწავლეები იწყებენ ტექსტის I თავის კითხვას, კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა ხსნიან უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

მარანი — ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი

ფუღურო — სიცარიელე, სიღრუე ხის ტანში

სამართებელი — დანა ან სხვა ხელსაწყო პირის გასაპარსად

ლაზღანდარობ — აქ: მასხარაობ

სასთუმალი — ლოგინის ის მხარე, საითაც მწოლიარეს თავი უდევს

ყოყმანი — მერყეობა, ჭოჭმანი რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში

მიფიცხება — ცეცხლისთვის (*მზისთვის*) სხეულის (*ან მისი რომელიმე ნაწილის*) მიშვერა

ჯირკი — კუნძი, მორის მოკლე და სქელი ნაჭერი

კოპებშეკრული — გაბრაზებული

უდრტვინველი — მშვიდი

ყურსაც არ აპარტყუნებდა — არ ესმოდა

ტექსტის ანალიზისთვის დაისმის ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები:

— რა პერიოდია აღწერილი ამ ტექსტში? *(აქ აღწერილია სამამულო ომის პერიოდი)*. საიდან ჩანს ეს? (*„942 წლის ადრე გაზაფხულზე...“)*

— რა არის ხაზარულა? (*ვაშლის ხეა)*; როგორ აღწერს მწერალი ხაზარულას ნაყოფს? (*„შემჭკნარ ცივ ვაშლს ...ალმასხანას დაფინოსავით... “)*; თვითონ ხაზარულას? (*„ალაგ-ალაგ...დოქებით ჩამოხუნძლული“)*;

— რას სთხოვს ბებია შვილიშვილს? (*სთხოვს შეაშინოს ხაზარულა*).

— როდის „აშინებენ“ ხეს? (*როცა იგი ნაყოფს აღარ ისხამს*).

— როგორ არის აღწერილი ტექსტში ხის „შეშინება“? წაიკითხეთ სათანადო ადგილი. (*„ნაჯახი მოვიმარჯვე...და ოდაში დავბრუნდი”*).

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას აქტიურად გამოიყენება სახელმძღვანელო.

აქტივობა 3 — ტექსტის ჩუმი კითხვა და გეგმის შედგენა (7 წთ.):

მოსწავლეები კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს, ამჯერად ჩუმად; ყოფენ მას ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) გემრიელი ხაზარულა

ბ) სოფელში ბებიასთან

გ) ბებერი ხე

დ) ბებიის გადაწყვეტილება

ე) ხაზარულას „შეშინება“

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის ცალკეული ნაწილების შინაარსს, შემდეგ კი ამთლიანებენ წაკითხულ მასალას. თხრობისას ყურადღება მახვილდება ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემაზე, მწერლის ლექსიკაზე, რომელიც ზოგ შემთხვევაში მასწავლებლისაგან კორექტირებას მოითხოვს.

აქტივობა 4 — ტექსტის გააზრება და შეფასება (5 წთ.):

— ბებია იყო „სოფლის სურნელად აყვავებული და დაღვრილი“, — თქვენი აზრით, რა სურნელზე მიგვანიშნებს მწერალი — რის სუნი ასდიოდა სოფლიდან ჩამოსულ ბებიას? (*სავარაუდოდ, ბებიას ბალახის, ხმელი ფოთლების, კვამლის, სუნელების, ახლადმოწველილი რძის... სურნელი ასდიოდა*);

— „ომის დროს სოფლის ხიზანი გავხდი“, — რატომ გახდა ავტორი „სოფლის ხიზანი“? რამ აიძულა იგი წასულიყო ქალაქიდან სოფელში სასწავლებლად? *(ქალაქში ამ დროს უფრო დიდი გაჭირვება იყო, ვიდრე სოფელში).*

—რატომ იცინის ბიჭი ბებიის უცნაურ თხოვნაზე – შეაშინოს ხაზარულა? რას გამოხატავს იგი თავისი სიცილით? *(იგი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ძველი ქართული რწმენის მიმართ; მას არ სჯერა, რომ ხეს მართლაც შეიძლება შეეშინდეს მოჭრის და ამის გამო მოისხას ნაყოფი);*

— „ხაზარულა მთელი სხეულით თრთოდა“, — წერია ტექსტში. ტექსტის მიხედვით, რა არის ხაზარულას თრთოლის მიზეზი? *(ზენა ქარი: „ზენა ქარმა ბებერი ხე ააცახცახა“).*

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება, სხვადასხვა პირში თხრობა (8 წთ.):

— ვინ გადმოგვცემს ტექსტში აღწერილ ამბავს? *(ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი).*

— რომელ პირში გადმოგვცემს იგი ამ ამბავს? *(I პირში).*

— როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს მწერალი ამ ხერხს? *(იმიტომ, რომ თავად გადახდა ეს ამბავი).*

— რომელ ნაცვალსახელს იყენებს იგი თავის თავზე საუბრისას? *(**მე** ნაცვალსახელს).*

— სხვას რომ მოეყოლა ჩვენთვის იგივე ამბავი და არა ნაწარმოების ერთ-ერთ გმირს, რომელ პირში იქნებოდა თხრობა? *(III პირში).*

— სცადეთ და გადმოეცით გეგმის ერთ-ერთი საკითხი III პირში.

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში დიალოგი. ვის და ვის შორის არის საუბარი? ვინ სვამს კითხვებს? ვინ პასუხობს? ეცადეთ, გადმოსცეთ ამ დიალოგის შინაარსი III პირში.

მოსწავლეები ზეპირად გადმოსცემენ ამ დიალოგის შინაარსს, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

„1942 წლის გაზაფხულზე ადრე დილით ბებია თავს დაადგა თავის შვილიშვილს და უთხრა, ამდგარიყო და ხე შეეშინებინა. ბიჭს გაუკვირდა, როგორ შეიძლება ხის შეშინებაო. მაგრამ ბებია ფიქრობდა, რომ ხაზარულა უკვე ნახევრად შეშა იყო, რადგანაც ნაყოფს აღარ ისხამდა. ამიტომ საჭირო იყო მისი შეშინება“.

აქტივობა 6 — შეჯამება / შეფასება (1-2 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალი მასალის ახსნის პროცესში.

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (1-2 წთ.):

გადმოსცენ ტექსტის I თავის შინაარსი III პირში, „აქტივობების რვეულიდან“ შეასრულონ სავარჯიშო №5.

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — წაკითხულის შინააარსის გადმოცემა (10 წთ.):

წინა გაკვეთილზე უკვე ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით და მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი — მთლიანად, გაბმული თხრობით, მესამე პირში. ამავე დროს მოწმდება და კლასის საერთო ძალებით გაანალიზდება წერითი დავალებაც.

აქტივობა 2 — დისკუსია — ცრუ რწმენები (7 წთ.):

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ ხალხში გავრცელებული რომელიმე ცრუ რწმენა და ისაუბრონ მის შესახებ *(იგულისხმება ცრუ წარმოდგენები—ცრუმორწმუნეობა).*

მაგ.: 1-ლი ჯგუფი ირჩევს თემას: **„წინ თუ შავმა კატამ გადაგირბინა...“**

მე-2 ჯგუფი ირჩევს თემას: **„სარკე არ გაგიტყდეს, დედა მოგიკვდებაო...“** *(თემები სავარაუდოა, მათი შეცვლა მასწავლებელს შეუძლია კლასის ინტერესების გათვალისწინებით).*

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები აწყობენ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციას, მწვანე ბარათით *(წასახალისებლად)* დაჯილდოვდება გამარჯვებული ჯგუფის ხელმძღვანელი. საბოლოოდ მასწავლებელი დადებითად შეაფასებს ყველა ნამუშევარს პრინციპით: „ყველას აზრი საინტერესოა“.

აქტივობა 3 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (12 წთ.):

გრძელდება ტექსტის მეორე ნაწილის კითხვა. ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს, მოსწავლეთა ძალებით დაიძებნება და მათივე მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. გამოიყენება სახელმძღვანელოში მოცემული „სიტყვის სალარო", აიხნება ფრაზები: ***გაზაფხულმა ტანი დაისრულა*** *— გაზაფხული ძალაში შევიდა, დადგა შუაგული გაზაფხული;* ***ყველაფერი გადაირია*** *— აქ: ყველაფერი აყვავდა, ბუნება მწვანით შეიმოსა,* ***ნიშნის მოგებით*** *— დაცინვით...*

ტარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის მიერ დასმული პირველი დონის კითხვების პასუხებს მოსწავლეები ამოიკითხავენ სახელმძღვანელოში.

— როგორ არის აღწერილი გაზაფხულის დადგომა? *(„გაზაფხულმა...წამწამებს აფახულებდა'');* ხაზარულას ყვავილობა? *(„ღია ვარდისფერ... ნიშნისმოგებით გვიცქეროდა");* ვის ადარებს მწერალი აყვავებულ ვაშლის ხეს? *(ნაჯაფარ, სათნო ბერიკაცს);*

— რას გულისხმობს მწერალი სიტყვებში: „ხაზარულას ხაზარულობა"? *(გულისხმობს ხის ყვავილობის დასასრულს, სიცოცხლეს);*

— მოძებნეთ და წაიკითხეთ ის ადგილი, სადაც „ხაზარულას ხაზარულობაა" აღწერილი *(„აყვავილდა ხაზარულა...არყითა და მურაბით").*

ტექსტის გააზრებისათვის დაისმის კითხვები:

— თქვენი აზრით, რატომ დაისხა ხაზარულამ ნაყოფი მხოლოდ ერთ წელიწადს? *(სავარაუდო პასუხი: მას მოჭრის შეეშინდა)*; რამდენად დამაჯერებლად გეჩვენებათ ხალხში გავრცელებული შეხედულება ხის „შეშინების" შესახებ? თქვენ თუ გსმენიათ მსგავსი რამ? *(ამ კითხვაზე მოსალოდნელია სხვადასხვაგვარი პასუხები, მოსწავლეები მართავენ ერთგვარ პოლემიკას, დისკუსიას; მასწავლებელი აკვირდება მათ მსჯელობას და აძლევს სასურველ მიმართულებას).*

აქტივობა 4 — ტექსტის ნაწილებად დაყოფა და გეგმის შედგენა (7-8 წთ.):

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება — წაიკითხონ ტექსტი ჩუმად, დაყონ ნაწილებად და შეადგინონ მე- 2 თავის გეგმა. შეირჩევა საუკეთესო ნამუშევარი, მაგ.:

ა) აფეთქებული გაზაფხული

ბ) ხაზარულას ყვავილობა

გ) ბებერი ხის გასაჭირი / ხაზარულა დაბერდა

დ) ხაზარულობის დასასრული

აქტივობა 5 — შეჯამება (1-2 წთ.):

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე *(მათ დაასრულეს ნ. დუმბაძის „ხაზარულას" კითხვა, გაიცნეს მოთხრობის მთავარი გმირები— 14 წლის ყმაწვილი და მისი ბებია, შეადგინეს ტექსტის შინაარსის გადმოსაცემი გეგმა, გადმოსცეს ტექსტის შინაარსი, ისაუბრეს ხალხში გავრცელებულ ცრურწმენებზე, გაიცნეს რამდენიმე ახალი სიტყვა...)*

აქტივობა 7 — შეფასება (1 წთ.):

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს რამდენიმე მოსწავლეს.

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (1-2 წთ.):

ტექსტი თხრობით; მოინიშნონ ის ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ; შეაფასონ მოქმედი პირების (ბიჭი, ბებია) საქციელი, წერილობით შეასრულონ დავალება №2 („აქტ. რვეული") — შეადგინონ მოკლე შინაარსის გადმოსაცემად მთლიანი ტექსტის გეგმა.

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა, საშინაო წერითი ნამუშევრის შემოწმება (10 წთ.):

მოსწავლეები თავიდან ბოლომდე გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ყურადღება მახვილდება ფაქტების თანმიმდევრობით გადმოცემაზე, თხრობის კულტურაზე — *წარსულ დროში თხრობა, მესამე პირში თხრობა, აზრის ნათლად და გასაგები ფორმით ჩამოყალიბება;* საუბრობენ, რა არის ამ ნაწარმოების თემა *(ხალხში გავრცელებულ ცრურწმენა, ბიჭის მიერ ხის დაშინება)*, რა არის დედააზრი *(ბუნების ზოგიერთი მოვლენა ხშირად აუხსნელია, აუხსნელია ხაზარულას ბოლო ყვავილობაც)*, თუ ჩანს ტექსტში ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი *(არ ჩანს, ავტორი, რომელიც ამავე დროს თვითონ არის ერთ-ერთი მოქმედი პირი, თავის აზრს ამ მოვლენის შესახებ არსად არ აფიქსირებს)*. საუბრობენ, თუ რომელმა მონაკვეთმა დააფიქრათ ყველაზე მეტად და რატომ... აქვე ეცნობიან ერთმანეთის წერით ნამუშევრებს — ნაწარმოების მოკლე შინაარსის გეგმას, უდარებენ მას იმ გეგმას, რომელიც მათ ადრე, წინა გაკვეთილებზე შინაარსის ვრცლად გადმოცემისათვის შეადგინეს, აკვირდებიან იმ განსხვავებას, რაც მათ შორის არსებობს *(მოკლე გეგმაში მხოლოდ ძირითადი და არსებითი უნდა იყოს დაფიქსირებული, მაგ: ა) ბებიის თხოვნა, ბ) ხის შეშინება, გ) ხაზარულას ბოლო ყვავილობა, გ) ხაზარულობის დასასრული)*. ვარჯიშობენ მოკლე შინაარსის გადმოცემაზე.

აქტივობა 2 — მხატვრულ სახეებზე დაკვირვება (5-6 წთ.):

— მწერალი ცდილობს ხაზარულას ადამიანის თვისებები მიაწეროს. რა თვისებებია ეს? *(გაღიმებული იდგა, იდგა უდრტვინველი, ნიშნისმოგებით გვიცქეროდა, ყური არ გააპარტყუნა...)*.

— რატომ ადარებს მწერალი ხაზარულას ნაჯაფარ, სათნო ბერიკაცს? *(მანაც ამ ბერიკაცივით მოიხადა ვალი ხალხის წინაშე)*.

— რომელი ზედსართავი სახელებით აღწერს მწერალი ხაზარულას ნაყოფს? *(მუშტისოდენა, შეუხედავი, დამჭკნარი, დაპრანჭული)*. თუ შეიძლება ხაზარულას ნაყოფის აღწერისათვის სხვა ზედსართავების გამოყენება? *(პატარა, უშნო, ულამაზო...)*

— „აგი, ნენა, შენი ეზოს ხაზარულაა, კია ალმასხანას დაფინოსავით დაპრანჭული...“ — ვის ადარებს ბებია ხაზარულას? *(მეზობლის — ალმასხანის — მეუღლეს / ქალიშვილს)*; რა ნიშნით ადარებს? *(გარეგნობით, შესახედაობით)*; რატომ იყენებს ამ შედარებას ბებია? *(მსმენელში /მკითხველში/ ღიმილი რომ გამოიწვიოს)*.

— ამ შედარების მიხედვით, როგორი წარმოგიდგენიათ თავად ალმასხანის დაფინო? *(აქ მოსწავლეებს ეძლევათ საკუთარი ფანტაზიისათვის ფართო ასპარეზი..)*;

— თუ არის ტექსტში სხვა ადგილიც, რომელიც აგრეთვე მსმენელის (მკითხველის) ღიმილს იწვევას? *(არის რამდენიმე ადგილი: ბებიის ხელში ნაჯახის დანახვაზე შვილიშვილი შეიცხადებს: „ მღუპავ ბებია?’’; „გავახედე და სიცილი წამსკდა; „მოეშვი, ბიჭო, ანი მაგ ძროხას, სანამ ვაშლის კამპოტს არ მეიწველება, არ დაანებებ თავს?“, სასაცილოა თავად სიუჟეტიც — ხის შეშინება, საუბარი ხესთან, მუქარა... და ა.შ.)*. თქვენი აზრით, რატომ მიმართავს ამ ხერხს მწერალი? *(პასუხი: უნდა მკითხველი გაამხიარულოს, მას სასიამოვნო განწყობა შეუქმნას)*; ხომ არ გაიხსენებთ ამავე მწერლის სხვა ნაწარმოებს, რომელიც ასევე მკითხველის ღიმილს იწვევს? *(მოსწავლეებს შესაძლოა გაახსენდეთ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ან სხვა ნაწარმოებები)*.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

იუმორი — კომიკურის ერთ-ერთი სახე. იუმორის ობიექტი თუმცა გაკილვის ღირსია, მაგრამ ინარჩუნებს მიმზიდველობას. კომიკური იუმორში წარმოდგენილია ყველაზე რბილ ტონალობაში. იუმორის აქტიური ფორმაა გონებამახვილობა. როგორც წესი, იუმორი არ ნიშნავს ვინმეს დაცინვას. მართალია, იუმორი სიცილის მომგვრელი ფორმით ამხელს ამა თუ იმ ნაკლვანებას, მაგრამ ამგვარ მხილებას საფუძვლად უდევს არა ზიზღი და დაცინვა, არამედ ღრმა ადამიანური თანაგრძნობა. იუმორი და მის საფუძველზე წარმოქმნილი სიცილი ჯანსაღია, იგი პიროვნების განწმენდის საუკეთესო საშუალებაა. იუმორი არსებითად განსხვავდება სატირისაგან, რომელიც ცხოვრების მანკიერი მხარეების გამკილავ, დაუნდობელ კრიტიკას წარმოადგენს. მნიშვნელოვნად განსხვავდება ირონიისაგანაც, რომლის მიზანიცაა უარყოფითი მხარეების დამცინავი ფორმით წამოწევა წინა პლანზე. მსოფლიო ლიტერატურაში იუმორის ცნობილი დიდოსტატები იყვნენ: სერვანტესი, ფრ. რაბლე, ი. ჰაშეკი, ნ. გოგოლი, ა. ჩეხოვი, მ. ზოშჩენკო... ქართული იუმორის დიდოსტატები არიან: დ. კლდიაშვილი, პ. კაკაბაძე, ნ. დუმბაძე... (ლიტ-რა: ა. ჭიალაია, რ. ჭილაია, დასახ. შრომა, გვ. 136).

აქტივობა 3 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება— დიალექტიზმები (5 -6 წთ.):

მასწავლებელი მოსწავლეებს ამოაკითხებს ტექსტის ამ ნაწილში გამოყენებულ გურულ დილექტიზმებს. მაგ.: **ნენა, კოპე, ორშიმო, ორჩხრუში... რავა, მეიწველება...** აქვე იხსენებენ სხადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებსაც. სრულდება დავალება №4.

აქტივობა 4 — ტექსტის კონსტრუირება — დავალება №3, შეშინებული ხაზარულა (15-17 წთ.):

ტექსტის აგებისას მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მივცეთ მითითება იმის შესახებ, რომ: *ა) იგი იყოს მოკლე, ბ)ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ მთავარსა და არსებითზე, გ) თხრობა წარმოებდეს მესამე პირში, დ) თხრობისას თავი ავარიდოთ დიალოგებს, ე) ჩაეტიონ მითითებულ დროში.* წერის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ საკუთარ ნამუშევარს და ასწორებენ შემჩნეულ შეცდომებს. შეიძლება გამოვიყენოთ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები.

აქტივობა 5 — შეჯამება და შეფასება (2-3 წთ.).

აქტივობა 6 — საშინაო დავალება (2 წთ.):

„ხაზარულა"; მოიფიქრონ და დაწერონ ყველაზე სასაცილო ამბავი, რომელიც თავს გადახდენიათ. შეასრულონ დავალება №4 („აქტ. რვეული").

შედეგების კოდი:

V1 — მოსწავლე წარმოადგენს ზეპირ ტექსტს ხალხში გავრცელებული ცრურწმენების შესახებ, ასაბუთებს თავის ნათქვამს, წარმოადგენს კონკრეტულ ფატქებს, აფასებს თანატოლთა გამოსვლას ამ საკითხის ირგვლივ;

V2 — მუშაობს ჯგუფთან ერთად, იცავს ზეპირი გამოსვლისას ეტიკეტსა და რეგლამენტს;

V4 — ავლენს მოსმენილი ლიტ. ნაწარმოების შეფასების უნარს, საუბრობს მხატ. ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე (იუმორი — ტერმინის გარეშე), გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ლიტ. პერსონაჟების მიმართ;

V5 — მართებულად იყენებს ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს, აკვირდება დიალექტურ ფორმებს და თხრობას ცვლის მათი შესატყვისი ლიტ. ფორმებით;

V6 — აფასებს ლიტ. პერსონაჟებს, ავლებს პარალელებს ლიტ. ნაწარმოებებთან;

V8 — ყოფს ტექსტს ნაწილებად, ადგენს გეგმას შინაარსის გადმოსაცემად;

V9 — აგებს წერილობით ტექსტს, თანმიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს და მოვლენებს;

V12 — სწორად აფორმებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს, აკეთებს კორექტურას, ახერხებს დიალოგის პერიფრაზს და მართებულად იყენებს სინტაქსურ კონსტრუქციებს.

მომდევნო თემის — **გ. ჩოხელის „საზიარო ყვავი“, რ. ინანიშვილის „ბიჭი მალხაზი“** — დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ დამატებით ინფორმაციას:

გოდერძი ჩოხელი, თანამედროვე ქართველი მწერალი და კინორეჟისორი, დაიბადა 1954 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში, 1978 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, არის ავტორი წიგნებისა: „წერილი ნაძვებს“, „ბინდისფერი სოფელი“, „ადამიანთა სევდა“, „მგელი“, „თევზის წერილები“, „ბედის მდევარი“, „ცასწავალა“... აქტიურად მუშაობდა კინემატოგრაფიაში, არის ათზე მეტი ფილმის რეჟისორი და სცენარისტი („მიწისმზომელები“, „ადამიანთა სევდა“, „წერილი ნაძვებს“, „ცოდვის შვილები“, „ლუკას სახარება“, „სამოთხის გვრიტები“, „მიჯაჭვული რაინდები“...). გარდაიცვალა 2008 წელს.

მ. მაჭავარიანის „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“; *საკლასო დისკუსია „ადამიანი და ბუნება“; ზმნის უღლება*

მიზნები:

— ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე დაკვირვება
— ტექსტის კითხვა და გააზრება, სათანადო დასკვნების გამოტანა
— საკუთარი აზრის დასაბუთება, კრიტიკული აზროვნების განვითარება
— აღწერითი ტექსტის აგება
— ზმნის ფორმაცვლაზე დაკვირვება

ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

აქ მასწავლებელს ვთავაზობთ ორ ვარიანტს: ა) კლასი მსჯელობს მუხრან მაჭავარიანის ადრე წაკითხული ლექსების შესახებ; იხსენებენ, რა იციან ამ პოეტზე, რის გაგებას ისურვებენ მის შესახებ ამ გაკვეთილზე; ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ „გონებრივი იერიშის რუკა“; ბ) მასწავლებელი კლასს სთავაზობს თემას სადისკუსიოდ „ჩემი ქალაქის (სოფლის) ბუნება“. ამგვარ მუშაობას შეიძლება მივცეთ ჯგუფური ხასიათი. გამახვილდება ყურადღება ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტულ შემთხვევებზე.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მუხრან მაჭავარიანი — თანამედროვე პოეტი, დაიბადა 1929 წ სოფ. არგვეთში, საჩხერის რაიონში, 1954 წ. დაამთავრა თ ს უ ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1967-1984 წლებში იყო ჟურნალ „პიონერის“, ხოლო 1982-1992 წლებში ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი. პირველი ლექსები 1952 წ. გამოაქვეყნა. 1958 წ გამოვიდა პოეტის ორი კრებული: „წითელი მზე და მწვანე ბალახი“ და „სიჩუმე უშენოდ“, რომელიც რუსულად ითარგმნა და მწერალს დიდი აღიარება მოუტანა — 1959 წ. ახალგაზრდობის მსოფლიო VII საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდება. პოეტის მთელი შემოქმედება დაფუძნებულია პატრიოტიზმზე — მშობელი ქვეყნის, ხალხის, დედაენის უდიდეს სიყვარულზე.

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს რეცენზიას ცნობილი ქართველი ბუნებისმეტყველის არნ. გეგეჭკორის წიგნზე „დედაბუნება“, მაგრამ ავტორი სცილდება ჩვეულებრივი რეცენზენტის ფარგლებს და წინა პლანზე კვლავ მშობლიური მიწისა და ენის სიყვარულს წამოსწევს.

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა:

ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი. იგი მონოლოგს წარმოადგენს, შეიცავს დიალოგსაც, ამიტომ მასწავლებელმა კითხვისას აუცილებლად უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სათანადო **ინტონაცია, ტემპი და მახვილები** *(ლოგიკური, ფსიქოლოგიური)* შეარჩიოს. ამის შემდეგ ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც ტექსტში მრავლადაა. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები და ფრაზები: ***შუახანსგადაცილებული*** – ასაკოვანი, ხანშიშესული (***შუა ხანი*** — *დრო ახალგაზრდობასა და მოხუცებულობა შორის)*; ***ხელისგულისოდენა ადგილი*** — პატარა ადგილი; ***თავს***

არავინ იცხელებს – თავს არავინ იწუხებს; ***შთამომავლობა*** — მომავალი თაობა; ***ურთიერთშეწევნით*** — ერთმანეთის დახმარებით, ურთიერთდახმარებით; ***გარკვეულწილად*** — ერთგვარად, ნაწილობრივ... ლექსიკური ანალიზისას ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზეც, რომ თხრობისას მწერალი ზოგ შემთხვევაში იყენებს ლიტერატურული ენისათვის უცხო სიტყვებსაც: ***შემოაღლიტეს, დააჯლიგინებენ, დაფშხალა...***, რაც ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ მწერალი იმერელია და ზოგ შემთხვევაში იმერულ დიალექტიზმებს იყენებს *(დაფშხალა)*, მეორე მხრივ კი იმით, რომ მწერალს სურს მკითხველისათვის უფრო გასაგები გახადოს თხრობა, მისთვის უფრო მახლობელი და შინაური გახდეს.

მასწავლებელი საგანგებოდ ჩერდება ტექსტის იმ მონაკვეთზე, სადაც მწერალი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე საუბრობს. მოსწავლეებისათვის სულხან-საბა ნაცნობია როგორც მწერალი, მაგრამ არაფერი იციან მისი ლექსიკონის შესახებ, ამდენად, ინფორმაცია მოსწავლეებს ამ საკითხის შესახებაც უნდა მივაწოდოთ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

სულხან-საბა ორბელიანის **„ლექსიკონი ქართული“,** ანუ **„სიტყვის კონა“** (როგორც ეს ამ წიგნისთვის ვახტანგ VI-ს შეურქმევია), განმარტებითი ლექსიკონია, რომელიც სამი ათეული წლის შრომის შედეგია. შეიცავს ოცი ათასზე მეტ სიტყვას. სიტყვის განმარტება და ახსნა ხშირად დასაბუთებულია რომელიმე ცნობილი ნაწარმოების ადგილით, განსაკუთრებით დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. შედგენისას ავტორს უსარგებლია უცხო ენების ლექსიკონებით, შეუჯერებია ისინი ერთმანეთთან და მხოლოდ ამის საფუძველზე შეუქმნია „ლექსიკონი ქართული“. ლექსიკონს წინ ახლავს „ანდერძნმაგი“. აქ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველებს ადრეც ჰქონიათ ამ ტიპის ლექსიკონი, რომელიც დაჰკარგვით და ამის გამო „ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაურყვნიათ“. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ლექსიკონი სცილდება განმარტებითის ფარგლებს და ერთსა და იმავე დროს არის ენციკლოპედიურიც და თარგმნითიც. ლექსიკონის ამგვარი შედგენა კი იმან განაპირობა, რომ მას სასწავლო დანიშნულებაც ჰქონია („პირველ სასწავლო ყრმათათვის“).

სულხან-საბას „ლექსიკონში“ მოიპოვება პირობითი ნიშნები მნათობათა, მცენარეთა, ფრინველთა, თევზთა, ქვეწარმავალთა აღსანიშნავად. როგორც წესი, ეს ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაზევეა განმარტებული, მაგ: **გედი** — ზღვის ბატი, **ბოლოშავა** — მჭვრინავი; **ჭოტი** — მომცრო ბუ არის, ღამე იძახის (შდრ. **წოტი**). ზოგიერთი სიტყვა კი განმარტების გარეშეა, აღნიშნულია მხოლოდ პირობითი ნიშნით. როგორც ჩანს, მუხრან მაჭავარიანს ასეთი ლექსიკური ერთეულები აქვს მხედველობაში: (**ხარატონი, ჭვინტა, წინტალა, ოყარი, ივეოსი...** — აღნიშნულია ფრინველის პირობითი ნიშნით, შესატყვისი კი არა აქვს მიწერილი). (ლიტ-რა: სულხან-საბა ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, 1928 წ.; სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, I, რედაქტორები ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, თბ. 1991 წ.).

აქტივობა 3 — ტექსტის ანალიზი და შეფასება:

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისა და შეფასებისათვის მოცემულია სახელმძღვანელოში. მოსწავლეები ტექსტიდან ასახელებენ ადამიანის ბუნებისადმი უსულგულო დამოკიდებულების კონკრეტულ შემთხვევებს (*ხნავენ ეროზირებულ ადგილებს, ჩეხენ ტყეებს, ხოცავენ ფრინველებს, სოფლის მთა-გორებიდან დიდი რაოდენობით გააქვთ სილა...),* საუბრობენ იმ შედეგებზე, რაც ამ დამოკიდებულებამ მოუტანა ბუნებას *(შრება წყაროები, იკლებს მდინარეები, ქარი ხე ზე ნაყოფს აღარ აყენებს...).* ამასვე უკავშირდება საკლასო დისკუსიაც („აქტ. რვეული“, დავალება №1).

წერილობითი ტექსტის აგება: „აქტ. რვეული“, დავალება №2.

ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

აქტივობა 1 — რთული სახელების მართლწერაზე დაკვირვება:

შუახანსგადაცილებული, ხელისგულისოდენა, ხვნა-თესვა, მთა-გორები, თოფიარაღი, დედაენა... მოსწავლეები განმარტავენ, რატომ იწერება ეს რთული სიტყვები ასე, მათი გამოყენებით ადგენენ წინადადებებს და წერენ დაფაზე.

აქტივობა 2 — ზმნის რაობის გახსენება, დაკვირვება ზმნის უღლების მარტივ შემთხვევებზე, პირის ნიშნების გაცნობა *(„აქტ. რვეული“, დავალებები №3 და №4.).*

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V5, V6, V7, V8, V10, V12.

გიორგი შატბერაშვილის „გამოქვაბულში“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან „სათაფლია“), *ზმნა, ზმნური ფრაზეოლოგიზმები, ზმნის ულლების მარტივი პარადიგმები — 3 სთ.*

მიზნები:

— ტექსტის კითხვა და ანალიზი
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— მარტივი აღწერითი ტექსტის კონსტრუირება ჯერ ზეპირად, შემდეგ — წერილობით
— საგანთშორისი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან
— ზმნის ფორმაცვალებაზე დაკვირვება
— ზმნასთან დაკავშირებული ორთოეპიულ-ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება
— ზმნური ფარზელოგიზმების გაცნობა და მეტყველებაში გამოყენება

I გაკვეთილი

აქტივობა 1 — მოსწავლეთა ზეპირი და წერითი პასუხების პრეზენტაცია და შეფასება (განვლილი მასალის შემოწმება — მ. მაჭავარიანის „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“) (7-8 წთ.):

აქტივობა 2 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება (5-7 წთ.):
კლასი იყოფა ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს ევალება შეადგინოს მოკლე აღწერითი ტექსტი გამოქვაბულის შესახებ (როგორ ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა, რა სმენიათ / წაუკითხავთ გამოქვაბულის შესახებ, საქართველოში რომელი გამოქვაბული უნახავთ და სად...). კლასს შეიძლება წინასწარ დავავალოთ მოიძიონ სათანადო მასალა ამ საკითხის ირგვლივ. ტექსტის პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში.

აქტივობა 3[1] — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (12-15 წთ.).

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:
გიორგი შატბერაშვილი — 1910-1965 წ., 1932 წ. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი, ლიტ. მოღვაწეობას იწყებს 1929 წ-დან, პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1933 წ. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ჟანრობრივი მრავალფეროვნება. აღასანიშნავია, რომ ის ნაყოფიერად შრომობდა საბავშვო ლიტერატურის სფეროშიც. ეკუთვნის მრავალი საბავშვო მოთხრობა, მათ შორის აღსანიშნავია „სათაფლია“ და „მტკვრის სათავისაკენ“.

1 *საკითხავი ტექსტი სახელმძღვანელოში ორ ნაწილად არის გაყოფილი, ამიტომ მისი დამუშავებაც ასე მოხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილისათვის შეიძლება ნაცნობი იყოს ეს ავტორიც და ეს გმირებიც, რამდენადაც IV კლ. სახელმძღვანელოში შეტანილი გვაქვს ნაწყვეტი ამ მოთხრობიდან („დინოზავრის ნაკვალევზე“)*

სათაფლია — მღვიმე ქუთაისთან, სამგურალის სერის მახლობლად. დერეფნის ტიპისაა, აქვს განშტოებები და დარბაზები. მათი საერთო სიგრძე 900 მ-ს აღწევს. მაქსიმალური სიმაღლე 10 მ-ია, სიგანე — 12 მ. აქვე მიედინება მდინარე ოღასკურა, რომელიც გამოსასვლელს პოულობს სამგურალის სერის სამხრეთით. გამოქვაბული აღმოაჩინა და შეისწავლა პედაგოგ-მხარეთმცოდნემ პეტრე ჭაბუკიანმა. აქვე, მღვიმის შესასვლელეთან, აღმოჩენილია მტაცებელი და ბალახიჭამია დინოზავრების 200-მდე ნაკვალევი.

ტექსტის კითხვას იწყებს მასწავლებელი, აგრძელებენ მოსწავლეები. შეიძლება გამოვიყენოთ „პაუზებით კითხვაც“ — ტექსტი დავყოთ აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად:

პაუზა I: I სტრიქონიდან *„არაფერი არ არღვევდა ამ იდუმალებით აღსავსე ადგილის მყუდროებას“*—მდე.

პაუზა II: *„— „შეხედე, შეხედე, ელგუჯა, ეს რა არის?“*

პაუზა III: *„... სტალაქტიტებად და სტალაგმიტებად გადაქცეულიყვნენ.“*

პაუზა IV: *„— თითქოს იქიდან ვიღაც გვემუქრება! — მან ხელი გაიშვირა მღვიმის სიღრმისკენ.“*

მოსწავლეებს თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ვავალებთ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ტექსტში მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ. მიღებული პასუხები მოგვიანებით შეუდარდება ავტორისეულ ვარიანტს. გზადაგზა კითხვის პროცესში აიხსნება მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც. ხმამაღალი კითხვის პარალელურად გამოიყენება **ჩუმი კითხვაც.**

მასწავლებელი სვამს ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებს, რომელთა პასუხებიც მოსწავლეებმა წიგნში უნდა ამოიკითხონ:

— რატომ გადაწყვიტეს გამოქვაბულის დათვალიერება ელგუჯამ და გოჩამ? იქ რის აღმოჩენას აპირებდნენ ბიჭები?

— როგორ აღწერს მწერალი სათაფლიის მიდამოებს? მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში სათანადო ადგილი.

— რა განწყობა დაეუფლათ ბიჭებს გამოქვაბულში შესვლამდე? რამ გაუმძაფრათ შემდეგში მათ ეს გრძნობა?

— რა ჰგვრიდათ სათაფლიაში ჩუმად შეპარულ ბიჭებს სიამაყეს?

— რა სიტყვებით გადმოგვცემს გამოქვაბულში მყოფი ბიჭების განცდებს ავტორი? მოძებნეთ და წაიკითხეთ ტექსტში სათანადო ადგილები.

— რა ინანეს ბიჭებმა? რატომ უხმობდა გამოქვაბულში შესული ელგუჯა ფორეს?

ტექსტის გააზრებისათვის დაისმის კითხვები:

— გამოქვაბულში შეპარულ ბიჭებს ორი ერთმანეთის საპირისპირო გრძნობა დაეუფლათ. რა გრძნობებია ეს? რამ გამოიწვია ეს გრძნობები?

— წაკითხულ მონაკვეთში ელგუჯასა და გოჩას რა თვისებები ჩანს? რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს? რით განსხვავდებიან? თქვენთვის მათი რა თვისებაა მისაღები? მიუღებელი?

—*„აგერ გამოქვაბულის თავიდან თავდაყირა დაკიდებული მახრჩობელა გველი თითქოს კლაკვნით მოეშურებოდა მათკენ! იქვე, დაბლა, მეორე უზარმაზარ გველს ამოეყო თავი მიწიდან და ბიჭებისათვის გზის გადაღობვას ლამობდა!“* — ასე აღწერს მწე-

რალი ბიჭების თვალით დანახულ გამოქვაბულს. რამდენად შეეფერება ეს სურათი რეალობას? რა არის ამის მიზეზი?

— შიშთან ერთად ბიჭებს სიმაყის გრძნობაც დაეუფლათ. თქვენი აზრით, მართლაც საამაყო საქციელი ჩაიდინეს ბიჭებმა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— ბიჭებმა თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ — უფროსების გარეშე ჩუმად დაეთვალიერებინათ გამოქვაბული — არაფერი უთხრეს უმცროს ძმას. თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

— მწერალი გამოქვაბულში შეპარულ ბიჭებს „რაინდებს“ უწოდებს. რამდენად ამართლებენ ისინი ამ სახელს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

აქტივობა 4 — გეგმის შედგენაზე მუშაობა (5-7 წთ.):

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს და ადგენენ შინაარსის გადმოსაცემად გეგმას („აქტ. რვეული“, დავალება №2), რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ელგუჯა და გოჩა დინოზავრების ნაკვალევთან
ბ) შიშზე გამარჯვება / გამოქვაბულში გადაძრომა / აღმოჩენების მოლოდინში
გ) პირველი დაზვერვის შედეგები / გამოქვაბულის დათვალიერება
დ) იდუმალი შიში
ე) ფიქრები ფორეზე / სიამაყე და სინანული
ვ) ელგუჯას გადაწყვეტილება / მშიშარა გოჩა

აქტივობა 5 — ტექსტის კონსტრუირება (5-7 წთ.):

მასწავლებელი კლასს ავალებს წარმოიდგინონ საკუთარი თავი გამოქვაბულში და შეადგინონ ზეპირი ტექსტი სათაურით „გამოქვაბულში“, თხრობისას აუცილებლად გამოიყენონ ახლად შესწავლილი ლექსიკური ერთეულები: **მღვიმე, კირქვა, შრე, სტალაგმიტი, სტალაქტიტი.** კარგია, თუ დამატებით რესურსად გამოვიყენებთ მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილი გამოქვაბულების ამსახველ ფერად ფოტომასალას.

აქტივობა 6 — შეჯამება (2 წთ.).

აქტივობა 7 — შეფასება (2 წთ.).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (1-2 წთ.):

მოსწავლეებს ეძლევათ ტექსტი თხრობით, დასაწერად — დავალება 3 („აქტ. რვეული“).

II გაკვეთილი

აქტივობა 1 — მოსწავლეთა ზეპირი და წერილობითი პასუხების პრეზენტაცია (7-10 წთ.):

მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ წაკითხული ტექსტის შინაარსს. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ **ჯგუფური მუშაობა**: თითოეულ ჯგუფს შევთავაზოთ გეგმის ესა თუ ის ნაწილი და დავავალოთ, გადმოსცენ მხოლოდ ამ მონაკვეთის შინაარსი. თხრობისას

ყურადღება ექცევა ამბის ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვას, ფაქტების სიზუსტეს, აგრეთვე — თხრობისას მწერლისეული ლექსიკის გამოყენებას, დროთა თანმიმდევრობის დაცვას, III პირში თხრობას, გამომეტყველებით კითხვას. ასევე ხდება მოსწავლეთა წერილობითი დავალების პრეზენტაცია — მათ ტექსტის მიხედვით უნდა აღეწერათ სათაფლიას გამოქვაბული საყრდენი სიტყვების (*„იდუმალი“, „შიში“, „სტალაგმიტები“, „სტალაქტიტები“, „კირქვა“, „სამარისებური დუმილი“, „ქვეწარმავლები“)* გამოყენებით.

აქტივობა 2 — წერილობითი დავალების თვითშეფასება და ურთიერთშეფასება (3-5 წთ.):

(კითხვები დავალების შეფასებისა და ურთიერთშეფასებისათვის მოცემულია „აქტივობების რვეულში“, დავალება №3).

აქტივობა 3 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი (10-12):

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტის მეორე მონაკვეთს, გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. ტექსტის გააზრებისა და ანალიზისათვის დაისმის კითხვები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მითითებული.

აქტივობა 4 — გეგმის შედგენა (5 წთ.):

ამ თავის შინაარსის გადმოსაცემად ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ ხასიათს მიიღებს:

ა) პირველი მარცხი
ბ) შიში
გ) გოჩას საყვედურები
დ) უიმედობა
ე) ტყისმცველის გამოჩენა
ვ) სიხარული

აქტივობა 5 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

ა)ზმნური ფრაზეოლოგიზმები (5 წთ.):

თქვით ერთი სიტყვით — ზმნით:

შიშის ზარი დასცა — შეაშინა
სული განაბა — გაინაბა, გაჩუმდა
თვალს ვერ უსწორებდა — ვერ უყურებდა
ფრთას ასხამდა — ახალისებდა, აქეზებდა

„აქტივობების რვეულიდან“ სრულდება დავალება №5 — მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული ფრაზები შეცვალე სათანადო მნიშვნელობის ზმნებით:

პირში წყალი ჩაიგუბეს — გაჩუმდნენ
ჩაჰბარდა პატრონსა — მოკვდა, გარდაიცვალა
გადაუვარდა გულიდან — დაავიწყდა
ამოიღო თვალში — გადაეკიდა

ბ)ზმნის დრო (5 წთ.):

მასწავლებელი დაფაზე წინასწარ წერს (ან სახელმძღვანელოში კითხულობენ) ნაწყვეტს შესწავლილი ტექსტიდან: *„რამდენიმე წუთს ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ 2-3 დღის წინათ ნანახ ნატერფალებს, ადარებდნენ ერთმანეთს სიდიდით, მოყვანილობით, ზომავდნენ ნაფეხურების სიგრძე-სიგანეს, რვეულებში რაღაცას იხატავდნენ თუ იწერდნენ, თან აქეთ-იქით ფრთხილად იყურებოდნენ“.*

— როდის ხდება ამ ტექსტში აღწერილი მოქმედება? ა) საუბრის მომენტში, ბ) საუბრის მომენტამდე, გ) საუბრის მომენტის შემდეგ *(შეარჩიეთ მართებული პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი აზრი. სწორი პასუხია ბ*).

— ახლა მოძებნეთ ამ ტექსტში ზმნები და განსაზღვრეთ რომელ დროს გამოხატავენ ისინი.

— რამდენი დრო აქვს ზმნას? რას გამოხატავს ახლანდელი დრო?წარსული დრო? მომავალი?

— რომელ დროშია ამ ტექსტში თხრობა?

— სცადეთ გადმოსცეთ ტექსტის შინაარსი მომავალ და წარსულ დროებში.

აქტივობა 6 — შეჯამება (1-2 წთ.).

აქტივობა 7 — შეფასება (2 წთ.).

აქტივობა 8 — საშინაო დავალება (2 წთ.):
ტექსტის მეორე ნაწილი თხრობით, დავალება 4 („აქტივობების რვეული“, გვ. 22)

III გაკვეთილი

აქტივობა 1 — საშინაო დავალების პრეზენტაცია და შეფასება (5-7 წთ.):
მოსწავლეები თანმიმდევრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. მუშაობაში მთელი კლასია ჩართული. მოსწავლეები ისმენენ ერთმანეთის პასუხებს და მასწავლებელთან ერთად აფასებენ, გამოთქვამენ შენიშვნებს, ასაბუთებენ თავის აზრს.

აქტივობა 2 — ტექსტის ანალიზი (12-15 წთ.):
მოსწავლეები ასახელებენ ტექსტის მთავარ *(გოჩა, ელგუჯა)* და არამთავარ *(ფორე, პაპა პეტრე, ტყისმცველი კაპიტონი)* გმირებს და აფასებენ მათ საქციელს, საუბრობენ მათთვის დამახასიათებელ თვისებებზე; ცდილობენ, მოიძიონ ტექსტში ის ადგილები, რომლებიც გმირის ამა თუ იმ თვისებაზე მიგვანიშნებს; მაგ. ელგუჯა არის გამბედავი და ყველა წამოწყების ინიციატორი *(„— ახლა კი გამოქვაბულისაკენ! — წამოიძახა ელგუჯამ...“, „წინ ელგუჯა მიდიოდა, ანთებული სანთელით გზას იშუქებდა და მალიმალ უკან გოჩასაკენ იხედებოდა“, „რომელიმე შავი ლაქის ან ჩრდილის დანახვისთანავე ელგუჯა მუხლისთავებზე იჩოქებდა, სანთელს მიაშუქებდა და გულისცემით ათვალიერებდა...“)* მიზანსწრაფულია და ჯიუტი, არ სჩვევია უკანდახევა *(„მაგრამ ამ თხოვნის მიუხედავად ელგუჯა წინ მიაბიჯებდა და დაჟინებით იმეორებდა:— არა, თუ გინდა, შენ დაბრუნდი,*

მე გამოქვაბულის ბოლომდის უნდა მივიდე, იქნებ რამეს წავაწყდე...“), არ სჩვევია წუწუნი და უხმოდ იტანს გაჭირვებას *(შემდეგ გოჩას გვერდით უხმოდ მიუჯდა და თვალები შიშით დახუჭა...);* ბოლო წუთამდე არ კარგავს იმედს და ეძებს გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან *(„მუხლებზე დაჩოქილი, წინგაშვერილი ხელების ფათურით მიფორთხავდა კუპრივით სქლად ჩამოწოლილ წყვდიადში“...).*

გოჩა შედარებით მშიშარაა *(„გოჩა მალიმალ შეჩერდებოდა, უკანდასახევად ემზადებოდა, თან გაუბედავად წამოიძახებდა“...)*; ყველაფერში ენდობა ელგუჯას და მას ჰბაძავს *(„გოჩაც მას მიჰყვა“... „გოჩაც ხალისიანად მიჰყვებოდა ელგუჯას ნაფეხურებს“... „უფროს ძმას მხარდამხარ მიჰყვებოდა“... „გოჩას მარტო დაბრუნებას ელგუჯასთან ერთად სიარული ერჩია, თუნდ გამოქვაბულის ბოლომდე“...).* ორივე ძმა მაძიებლური ბუნებისაა *(მათ იმედი ჰქონდათ, რომ გამოქვაბულში საინტერესო მასალებს აღმოაჩენდნენ),* საკუთარ ძალებში თავდაჯერებულნი არიან *(მიაჩნიათ, რომ ამ საქმის გაკეთებას უფროსების დახმარების გარეშეც შესძლებენ)*, ეურჩებიან უფროსებს და საჭიროების დროს ტყუილის თქმასაც არ ერიდებიან *(ისე გაიპარნენ შინიდან, რომ არავის არაფერი უთხრეს, უმცროს ძმასაც კი)*; არც ერთისათვის არ არის უცხო სინდისის ქენჯნა და დანაშაულის მონანიება *(ორივე ნანობს, რომ არაფერი უთხრეს უმცროს ძმას; ბოლოს ორივე გრძნობს დანაშაულს საკუთარი თავისა და უფროსების წინაშე — ამდენი რომ ანერვიულეს)*... ამ გმირების დახასიათებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ „გონებრივი იერიშის რუკა“ ან „ვენის დიაგრამა“.





აქტივობა 3 — ჯგუფური აქტივობა (5 წთ.).

რა ვიცოდი გამოქვაბულის შესახებ	რა გავიგე	რის გაგებას ვისურვებდი

აქტივობა 4 — ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წთ.).

ა) წინა ვითარების სახელებზე დაკვირვება:

ტერფი — ნატრეფალი
კვალი — ნაკვალევი
ფეხი — ნაფეხური
თითი — ნათითური
— რას ამჩნევთ? რა განსხვავებაა ამ სახელებს შორის?

(**ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**
წინა ვითარების სახელები აღნიშნავენ, თუ რას წარმოადგენდა საგანი წინათ, ან როგორია ის ახლა წინანდელთან შედარებით. მაწარმოებელი აფიქსებია: **ნა- — -არ, ნა- — -ევ, ნა- — -ურ.** საჭირო არ არის ამ ეტაპზე მოსწავლეებისათვის ტერმინებისა და სათანადო აფიქსების გაცნობა, მთავარია, დავაკვირვოთ ისინი სიტყვის სემანტიკასა და სიტყვათწარმოქმნაზე ზოგადად).

ბ) ზმნური ფრაზეოლოგიზმები („აქტ. რვეული“, დავალება №4)

თავზარი დაეცა	შეშინდა
მუსრი გაავლო	დახოცა
ხელი გაუმართა	დაეხმარა
ჯვარს აცვა	გააწვალა
ჯორზე შეჯდა	გაჯიუტდა
ენას კბილი დააჭირა	გაჩუმდა
აბუჩად აიგდო	გაამასხარავა
თქვენი ჭირი წაიღო	გარდაიცვალა

კარგი იქნება, თუ ამ ფრაზეოლოგიზმების წინადადებებში გამოყენებას დავავალებთ მოსწავლეებს.

გ) ზმნისწინზე დაკვირვება:
გაიკვრება ზმნისწინთა სქემა:



მოსწავლეები იხსენებენ ზმნისწინის რაობას, მათი დართვით იღებენ ახალ-ახალ ზმნებს, ამ ცოდნის გამოყენებით აქტივობების რვეულდან სრულდება დავალებები №2 და №3.

აქტივობა 5 — შეფასება და შეჯამება (2 წთ.).

აქტივობა 6 —საშინაო დავალება (2 წთ.). ტექსტი თავიდან ბოლომდე თხრობით, წერილობით — „აქტ. რვეული“, დავალება №1 (გვ. 23).

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ:

V1 — მოსწავლე მოიძიებს ინფორმაციულ მასალას გამოქვაბულის შესახებ და აუდიტორიის წინაშე წარმოადგენს ზეპირ ტექსტს;

V2 — წინასწარ შეადგენს გეგმას ზეპირი გამოსვლისათვის, მოსმენისას ჩაინიშნავს ზეპირ ტექსტში გამოთქმულ თვალსაზრისს;

V4 — ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მომხდარის მიმართ;

V6 — ავლებს პარალელს ადრე წაკითხულთან, მსჯელობს მოქმედ პირთა საქციელის შესახებ, აფასებს მათ და ასაბუთებს თავის მოსაზრებას შესწავლილი ტექსტის მიხედვით;

V7 — ტექსტში ამოიცნობს სიტყვათა გაფორმების (ამ შემთხვევაში — ზმნის) მორფოსინტაქსურ საშუალებებს (ზმნის პირი, რიცხვი, დრო, ზმნისწინი)

V8 — მოსწავლე ყოფს ტექსტს ნაწილებად, ასახელებს ამ დაყოფის აზრობრივ საფუძველს; ასევე კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად (ამ შემთხვევაში სათაფლიის გამოქვაბული) იყენებს ენციკლოპედიურ სტატიებს, ინტერნეტს, ბიბლიოთეკას;

V9 — წერის დაწყებამდე ადგენს გეგმას, თანმიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს, აქცენტს აკეთებს მთავარ საკითხებზე;

V10 — კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს;

V11 — ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს — მაგ. ზმნის პირთან დაკავშირებით ორი ვ-ს წერა I პირში, ზმნისწინთან დაკავშირებით ორი **ი**-სა და ორი **ე**-ს მართებული წერა; ტექსტის შექმნის შემდეგ თვითონვე აკეთებს კორექტურას.

მარკ ტვენის „სკოლაში“ (ნაწყვეტი „ტომ სოიერის თავგადასავლიდან“), *მიმართვის ფორმები ქართულში, თავაზიანობის მრავლობითი, სამეტყველო ეტიკეტი, რიცხვში მონაცვლე ზმნები*

მიზნები:

— მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი

— წაკითხულის გააზრება და შეფასება, დასკვნების გაკეთება და საკუთარი აზრის დასაბუთება

— ლიტერატურულ პერსონაჟთა მარტივად დახასიათება

— გაბმული მეტყველების განვითარება

— წერილობითი ტექსტების აგება და კორექტირება

— სამეტყველო ეტიკეტი, თავაზიანობის მრავლობითის გამოყენება ქართულში

— რიცხვში მონაცვლე ზმნების გაცნობა და მათი მართებული ფორმებით გამოყენება მეტყველებაში

— ზმნასთან დაკავშირებით მარტივი სტილური და ორთოგრაფიული ჩვევების გამომუშავება

I. ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:

ეს ეტაპი პედაგოგს შეუძლია დაგეგმოს თავისი შეხედულებისამებრ, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენეულ ვარიანტს: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ ის ლიტერატურული გმირები, რომლებსაც, მათი აზრით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იცნობენ ბავშვები. ეს აქტივობა შეიძლება ჩატარდეს ჯგუფურად. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ვარიანტს. შეიძლება ჩატარდეს ერთგვარი შეჯიბრიც — გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე უფრო მეტ ასეთ ლიტერატურულ პერსონაჟს დაასახელებს. აქვე ვაკითხებთ ნოდარ დუმბაძის სიტყვებს მარკ ტვენის გმირების (ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის) შესახებ და ვთხოვთ, გაიხსენონ, რა სმენიათ მათზე.[1] შესავალ საუბარში მასწავლებელი კლასს ამცნობს, თუ სად (ამერიკის შეერთებულ შტატებში) და როდის (მე-19 საუკუნის შუა ხანებში) ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მარკ ტვენი (სამუელ კლემანსი), 1835-1910 წლები, ცნობილი ამერიკელი მწერალი, ამერიკული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი; ჰქონდა უამრავი პროფესია: იყო ასოთამწყობის შეგირდი, ლოცმანი, ოქროს მაძიებელი, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს, პამფლეტებს, სტატიებს, რეპორტაჟებს; ნორჩ მკითხველთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „ტომ სოიერის თავგადასავალი“, რომელიც ავტობიოგრაფიული შეფერილობისაა; „უფლისწული და მათხოვარი“, რომელიც ისტორიული ხასიათისაა, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლი“, რომელშიც გაკრიტიკებულია მონობა, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა იმდროინდელი ამერიკელი საზოგადოებისათვის. მარკ ტვენის შემოქმედების საფუძველია ხალხური იუმორი. მან ამერიკულ მოთხრობას მისცა სრულიად ახალი იერი და შეიტანა მასში სატირული კარიკატურა, კომიზმი, კომიკურის ტრაგიკულთან შერწყმა. მთელ მის შემოქმედებას გასდევს ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

1 *მოსწავლეთა ერთ ნაწილს წინა კლასებში შესწავლილი აქვს ნაწყვეტები „ტომ სოიერის თავგადასავლიდან“: „მოხერხებული ტომი“ და „ორშაბათი მძიმე დღეა“; ნაწილს კი იგი თავიდან ბოლომდეც შეიძლება ჰქონდეს წაკითხული; ამდენად, ამ გმირების შესახებ საუბარი არ უნდა გაუჭირდეთ.*

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი.

ტექსტი სახელმძღვანელოში ორ ნაწილად გახლავთ გაყოფილი და ასევე დამუშავდება. უმჯობესია, ტექსტის კითხვა გამომეტყველებით დაიწყოს მასწავლებელმა და გააგრძელონ მოსწავლეებმა. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

I ეტაპზე დაისმის ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები, რომელთა პასუხები სახელმძღვანელოშივეა მოცემული. ტექსტის გააზრებისათვის აუცილებელია მოსწავლეებს ერთხელ კიდევ შევახსენოთ **სად** და **როდის** ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება, მოიძიონ ამის დამადასტურებელი მასალა ნაწარმოებში: მოქმედება ხდება ამერიკაში – ამაზე მეტყველებს პერსონაჟთა სახელები *(ტომი, ჰეკლბერი, ბეკი)*, მიმართვის ფორმა მასწავლებელსა და მოსწავლეებს, ასევე ასაკით თანატოლ ბავშვებს შორის *(ისინი ერთმანეთს მიმართავენ თქვენობით, რაც ინგლისური ენისათვის არის დამახასიათებელი; განსხვავებით ქართულისაგან, სადაც **თქვენ** პატივისცემის მრავლობითს წარმოადგენს...)*; მოქმედება ხდება ძველ დროში; ამას ადასტურებს მაშინდელი სკოლის აღწერა, სადაც გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სხედან, დასჯისა და შეფასების ფორმები... გაირკვევა, ვინ და ვინ არიან ტექსტის მთავარი პერსონაჟები *(ტომი და ბეკი),* არამთავარი გმირები *(მასწავლებელი, მოსწავლეები, ჰეკლბერი ფინი, რომელიც არ ჩანს ნაწარმოებში, მაგრამ მწერალი ისე დაწვრილებით აღწერს მას, რომ სრული წარმოდგენა გვექმნება მასზე)*; ახასიათებენ თითოეულ გმირს, მოიძიებენ დამახასიათებელ ადგილებს ტექსტიდან და ადასტურებენ თავის მოსაზრებას ტექსტუალურად... ერთმანეთს უდარებენ იმდროინდელ ამერიკულ და თანამედროვე ქართულ სკოლებს, მსჯელობენ მათ ღირსება-ნაკლოვანებებზე...

შეიძლება კლასში ერთგვარი დისკუსიაც კი გაიმართოს ტომის საქციელთან დაკავშირებით *(რა მოსწონთ მისი, რა არ მოსწონთ და რატომ...),* გააგრძელონ ნაწარმოები საკუთარი ფანტაზიით *(თუ, რა თქმა უნდა, იგი ჯერ წაკითხული არა აქვთ).*

ტექსტზე მუშაობის შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება ჩაატაროს ერთგვარი გამოკითხვაც — გაუჩნდათ თუ არა მოსწავლეებს ამ წიგნის წაკითხვის სურვილი და რატომ.

აქტივობა 3 —ტექსტის დაყოფა ნაწილებად და გეგმის შედგენა:

გეგმა ცალ-ცალკე შედგება თითოეული მონაკვეთისათვის.

I მონაკვეთის გეგმის სავარაუდო ვარიანტი:

ა) ტომს სკოლაში დააგვიანდა/ სკოლაში დაგვიანება
ბ) რატომ თქვა ტომმა სიმართლე/ტომი სიმართლეს ამბობს
გ) ვინ იყო ჰეკლბერი ფინი/ჰეკლბერი ფინის ვინაობა
დ) დიდი გამარჯვება / სასიამოვნო სასჯელი

II მონაკვეთი:

ა) უკმეხი მეზობელი
ბ) მხატვარი ტომი
გ) გაცნობა
დ) სიყვარულის ახსნა

ე) კვლავ სასჯელი
ვ) დაკარგული ჯილდო

აქტივობა 4 —გეგმის მიხედვით მთლიანი ტექსტის შინაარსის გადმოცემა ჯერ თხრობით, შემდეგ მისი ერთ-ერთი მონაკვეთისა — წერილობით („აქტ. რვეული“, დავალება №2).

აქტივობა 5 — მარტივი აღწერითი ტექსტი („აქტივობების რვეული“, დავალება №1 — ტომის სკოლა):

ამ ტექსტის დაწერამდე მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა ჩამოწერონ გეგმა, რომლის მიხედვითაც აღწერენ სკოლას — როგორც შენობას, ისე იმდროინდელ სასწავლო პროცესს. გეგმა, სავარაუდოდ, ასეთი სახისა იქნება:

ა) სკოლის შენობა *(ერთსართულიანი ხის შენობა)*

ბ) საკლასო ოთახი *(ფიჭვის მერხები, მასწავლებლის კათედრა)*

გ) რეჟიმი *(გაკვეთილის დაწყებისას ირეკება ზარი, დაგვიანება დაუშვებელია და ისჯება)*

დ) მოსწავლეთა განლაგება საკლასო ოთახში *(გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სხედან)*

ე) მასწავლებელი *(კათედრაზე აფოფხილი თვლემს...)*

ვ) საგნები, რომლებსაც სწავლობენ მოსწავლეები *(კითხვა, მართლწერა, გეოგრაფია...)*

ზ) დასჯისა და შეფასების ფორმები *(თუნუქის მედალი...)*

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

აქტივობა 1 — ტექსტის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება:

ნაწარმოები იუმორისტულია, ამას მარკ ტვენი აღწევს არა მხოლოდ სასაცილო ფაქტებისა და მოვლენების აღწერით, არამედ ენობრივი გამოსახვის საშუალებებითაც, მაგ. სიტყვის ხმარება გადატანითი მნიშვნელობით *(სიტყვა „ლაზათიანი“ სწორედ ამ-გვარ კონტექსტშია გამოყენებული*); ასევე იუმორისტულ ელფერს ქმნის მასწავლებლის მიმართვა ტომისადმი, როცა ის იყენებს ზმნას „მობრძანდით“, რომელსაც ჩვეულებრივ საუბარში სულ სხვაგვარი დატვირთვა აქვს: *„აბა, აქ მობრძანდით, დღესაც დააგვიანეთ, ხომ?!“*

— რატომ იყენებს მასწავლებელი ტომთან საუბრისას „მობრძანდით“ ზმნას? რას გამოხატავს იგი ამით — პატივისცემას თუ დაცინვას? არის თუ არა ეს პატივისცემის მრავლობითი? რატომ იყენებს მას მწერალი აქ?

— ჩვეულებრივ, როდის ვიყენებთ ხოლმე ასეთ ზმნებს: *მობრძანდით, დაბრძანდით, მიირთვით?*

— რას გამოხატავს მასწავლებელი, როდესაც ტომს სრული სახელით მიმართავს? რის ჩვენება სურს ამით მწერალს?

— თქვენ როგორ მოგმართავთ მასწავლებელი — სახელით, გვარით თუ სრული სახელით?

— როგორ მიმართავს ტომი მასწავლებელს? ქართულში რა ფორმას ვიყენებთ ამ დროს?

— ქართულში როდის ვიყენებთ მიმართვისას „თქვენ“ ფორმას? რით განსხვავდება ამ მხრივ ქართული ენა ინგლისურისაგან? (თანამედროვე ინგლისურს არ მოეპოვება II პირის ნაცვალსახელი „შენ“, ამიტომ II პირთან მიმართვისას ყოველთვის გამოიყენება მრავლობითი რიცხვი).

აქტივობა 2 — დიალოგზე დაკვირვება და პერიფრაზი III პირში:

მოსწავლეები ეძებენ ტექსტში დიალოგების ნიმუშებს, განსაზღვრავენ, ვის და ვის შორის მიმდინარეობს საუბარი, ზმნის რომელი პირის ფორმებს იყენებენ მიმართვისას, რომელი პირის ფორმებით საუბრობენ საკუთარ თავზე და ახდენენ მათ პერიფრაზს III პირში. წერილობით სრულდება დავალება №3 *(„აქტ. რვეული“: — მასწავლებელმა ხელმეორედ იკითხა, თუ ვის ელაპარაკებოდა ტომი. ტომმა უპასუხა, რომ ცოტა ხანს შეჩერდა ჰეკთან სასაუბროდ. მასწავლებელმა თქვა, რომ ასეთი კადნიერება არასოდეს სმენია, ასეთი თავხედობისათვის სახაზავიც არ კმაროდა და ტომს ხალათი უნდა გაეხადა. მასწავლებლის ხელი მანამდე მუშაობდა, სანამ არ დაეღალა. წკეპლების კონაც შემცირდა. შემდეგ გასცა ბრძანება, რომ ტომი გოგონებთან დამჯდარიყო).*

აქტივობა 3 — ზმნის უღლებასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება („აქტ. რვეული“, დავალება №4).

აქტივობა 4 — რიცხვში მონაცვლე ზმნები — „აქტ. რვეული“, დავალება №5.

აქტივობა 5 — ზმნასთან დაკავშირებული სტილური ჩვევების ფორმირება:

სიტყვათგანმეორება წინადადებაში და მათი აცილების გზები („აქტ. რვეული“, დავალება 6).

შედეგების კოდი: V1, V2, V3, V5, V6, V7, V9, V10, V11.

რევაზ ინანიშვილის „შუშის ნამსხვრევი“, *ზმნიზედა, მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები*

მიზნები:

— მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
— პარალელების გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან და საათანადო დასკვნების გაკეთება
— კითხვის სტრატეგიების დაუფლება
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლექსიკური მარაგის გამდიდრება
— მარტივი წერილობითი ტექსტების აგება და წერის სტრატეგიების დაუფლება
— ზმნიზედის შინაარსობრივი ჯგუფების გაცნობა, მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების დაუფლება

I. ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება:
მასწავლებელი კლასს სადისკუსიო თემად სთავაზობს „მწერალი რევაზ ინანიშვილი“; ყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ავალებს, გაიხსენოს რა იცის მწერალ რევაზ ინანიშვილის შესახებ, მისი რა ნაწარმოებები აქვთ წაკითხული და რა ახსოვთ; რა მოსწონთ *(რა არ მოსწონთ)* ამ მწერლის შემოქმედებაში და რატომ...[1]

აქტივობა 2 — ტექსტის კითხვა და ანალიზი:
ტექსტი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ამიტომ იგი ცალ-ცალკე დამუშავდება.
ტექსტის კითხვას იწყებს მასწავლებელი, აგრძელებენ მოსწავლეები, შეიძლება გამოვიყენოთ ე. წ. „პაუზებით კითხვაც“ (თუ, რა თქმა უნდა, კლასის დიდი ნაწილისათვის მისი შინაარსი ამ ეტაპზე უცნობია). გზადაგზა კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. გარდა „სიტყვის სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს

I თავიდან:

გარინდებული – გაყუჩებული, წყნარი (აქ ეს სიტყვა განსაზღვრავს **კორომს**, რითაც მწერალი ხაზს უსვამს ბუნებაში გამეფებულ სიწყნარესა და სიმშვიდეს)
სანდლები —მსუბუქი უქუსლო საზაფხულო ღია ფეხსაცმელი
ბუქნი (ბუქნა) — ჩაცუცქება-წამოხტომა ცეკვის ან ვარჯიშის დროს
საჩეჩელი — ლითონისკბილებიანი სამკუთხა იარაღი, რომლითაც ჩეჩენ მატყლს („დავდგი საჩეჩელი, ვკარი ბუქნი და ამოვხტი“, — ლიტ. პერსონაჟი იმეორებს ქართული ხალხური ზღაპრების ცნობილ ფრაზას)

1 ამ მწერლის მოთხრობები უხვად არის წარმოდგენილი სასკოლო სახელმძღვანელოებში; სავარაუდოდ, მოსწავლეებს ამ მწერლის შესახებ საუბარი არ უნდა გაუჭირდეთ.

II თავიდან:

ბალღო — იგივეა, რაც ბავშვო (ბალღი — ბავშვი)
თავს ლაფი დაესხა — შერცხვა (ფრაზეოლოგიზმი)
აესე — აი ასე...

ტექსტის თითოეული მონაკვეთის გაგებისათვის ცალ-ცალკე დაისმის კითხვები. პასუხების ამოკითხვა მოსწავლეებს წიგნიდანაც შეუძლიათ. შედგება ტექსტის გეგმაც, რომელიც, სავარაუდოდ, ასეთი სახისა იქნება:

I თავი:
ა) წყნარი დილა
ბ) დამალობანა ხის ტოტებზე
გ) ტრაბახა დათო /ცირასთან საუბარი
დ) ფშაველი მოვიდა! / სტუმარი/ სტუმარს მიეგებნენ

II თავი:
ა) შეხვედრა ფშაველთან
ბ) დათოს მარცხი
გ) დაბნეული მაყვლის აკრეფა
დ) გაბრაზებული დათო / დათოს ფიქრები
ე) ლამაზი მოგონება

წერილობით სრულდება დავალება №1.

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება და შეფასება:
მოსწავლეები მსჯელობენ თითოეული გმირის შესახებ, ახასიათებენ მათ ტექსტის მიხედვით *(მაგ. **დათო** — დაახლოებით 9-10 წლისაა, ამის შესახებ მწერალი მიგვანიშნებს ფეხსაცმლის ზომით; ცელქია — უყვარს ხეებზე ძრომა; მოსწონს ცირა — სწორედ მას ელოდება ხის ტოტზე დამალული; როგორც ყველა ბიჭს, მასაც გოგონაზე ძლიერად და ყოჩაღად მიაჩნია თავი, ცოტათი ტრაბახაა — ეს მისი საუბრიდან ჩანს; ამაყია — ვერ იტანს პატარა მარცხსაც კი, მითუმეტეს გოგონას თვალწინ; ადვილად ბრაზდება...)*; ასევე ავლებენ პარალელს შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებთან — მარკ ტვენის „სკოლაში“, ბეკისა და ტომის ურთიერთობას ადარებენ დათოსა და ცირას ურთიერთობას, იხსენებენ დამოუკიდებლად წაკითხულ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებესაც, სადაც ასევე მათი თანატოლების შესახებ არის საუბარი; საკუთარი ფანტაზიით აგრძელებენ ამ მოთხრობას (დავალება №2).

აქტივობა 4 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა:
მოსწავლეები ადრე შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცმენ ტექსტის შინაარსს. გარდა ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემისა, ყურადღება ექცევა ერთ დროში თხრობას, დიალოგების პერიფრაზს, სხვათა სიტყვების ნაწილაკების მართებულად ხმარებას, ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას...

აქტივობა 5 — თემის შესახებ თავისუფალი წერა:

(საკუთარი თავისათვის წერა — ამ დროს მოსწავლე არ ფიქრობს ტექსტის სტრუქტურაზე, ენობრივ ფორმებზე) — იგი აკვირდება და გაიაზრებს ტექსტში აღწერილ ამბავს — ურთიერთობას დათოსა და ცირას შორის, (ამ ლამაზ გრძნობას ავტორი „ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილ შუშის ნამტვრევის“ ბრწყინვალებას ადარებს) და გადმოგვცემს თავის ნააზრევს ამ საკითხის შესახებ. ნაწერი კონფიდენციალურია, მისი გაცნობის უფლება მასწავლებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ამას თავად მოსწავლე ისურვებს.

II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

აქტივობა 1 — სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა:

„ხურჯინის **თვალი**“ — შდრ. „ადამიანის **თვალი**“, „ბეჭდის **თვალი**,“ „ურმის **თვალი**“; აქ შეიძლება მოსწავლეები დავაკვირვოთ სხვა სიტყვებზეც, რომლებიც ასევე სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: „**თავი** მტკივა“, „კლდის/მთის **თავი**“, „წიგნის **თავი**“, „ორი **თავი** კომბოსტო/ხახვი“, „პირველი **თავი** საჭმელი“...

აქტივობა 2 — ზმნიზედის სემანტიკური ჯგუფები, მათი მართლწერა:

დავალებები №3 და №4 *(ამ დავალებაში მოსწავლეს ევალება მოძებნოს მცდარად დაწერილი ფორმები და გაასწოროს; შეცდომები დაშვებულია: არსებითი სახელის მართლწერისას 4 — კლაში, ტომა, ატამა; ზედსართავი სახელის მართლწერისას 2 — გძელი, ძილისმომგრელი; ზმნისწინიანი ფორმების მართლწერისას 1 — გაპარა, ზმნიზედების მართლწერისას 6 — წყნარათ, გულმოდგინეთ, ჩუმჩუმათ, ფრთხილად, იქეთ, ამჯერათ).* სულ მოსწავლემ უნდა მოძებნოს და გაასწოროს 13 შეცდომა.

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V6, V7, V8, V10, V11.

მომდევნო მასალის (ოტია იოსელიანის „ჩხუბი მდინარესთან“, დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ. ვთავაზობთ მხოლოდ დამატებით ინფორმაციას მწერალ ოტია იოსელიანის შესახებ:

ოტია იოსელიანი (1930, წყალტუბო, სოფ გვიშტიბი), დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები 1961 წელს, მოთხრობებს აქვეყნებს 1954 წლიდან, პირველი კრებული „კარის მეზობლები“ გამოსცა 1957 წელს. ნაყოფიერად მუშაობს როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანულ ჟანრში, წერს პიესებსა და კინოსცენარებსაც. ავტორია ათამდე პიესისა, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა როგორც ქართულ, ისე უცხოურ სცენებზე („სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ადამიანი იბადება ერთხელ“, „როცა სიყვარული მოვა“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“...). ყურადღებას ამახვილებს ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაზე. ინტენსიურად მუშაობს საბავშვი მწერლობის დარგში („დაჩის ზღაპრები“, „ცაგამთენია“, „მუხლზე დაწერილი მოთხრობები“, „ხელისგულისტოლა ზღაპრები“...). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

გურამ რჩეულიშვილის „სიყვარული შემოდგომაზე“, *სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები*

მიზნები:

— მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
— წაკითხულის შეფასება
— გაბმული მეტყველების განვითარება
— ლიტერატურული პერსონაჟთან გასაუბრება
— ლიტერატურული პერსონაჟების დახასიათება
— მოთხრობის გაგრძელებაზე მუშაობა
— ტექსტების აგება
— კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
— საკლასო დისკუსიაში მონაწილეობა, დისკუსიის ხელოვნების თანდათანობით დაუფლება
— სიტყვათა ფუნქციების გაცნობა (სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები)

III. ტექსტზე მუშაობა

აქტივობა 1 — კითხვისათვის მზადება:

კლასი იყოფა ჯგუფებად, სადისკუსიოდ ეძლევათ საკითხი: „მოსწავლე და მასწავლებელი“. უნდა განიხილონ, თუ როგორ ესმით დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, რა მიაჩნიათ მათ ურთიერთობაში მისაღებად, მიუღებლად და რატომ. მასწავლებელი წინასწარ აძლევს მითითებას, რომ თავი შეიკავონ კონკრეტული პირების დასახელებისაგან. მოსწავლეებმა თავიანთ გამოსვლაში შეიძლება ჩართონ ლიტერატურული მასალაც (რა წაუკითხავთ ამ თემაზე). თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომლებიც განიხილება და შეფასდება მოსწავლეთა მიერ.

აქტივობა 2 — ტექსტის კომენტირებული კითხვა და ანალიზი:

ტექსტი ემოციური შეფერილობისაა, ამიტომ უმჯობესია თავიდან ბოლომდე იგი მასწავლებელმა წაიკითხოს გამომეტყველებით. მხოლოდ ამის შემდეგ კითხულობენ მოთხრობას მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ, ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს და უპასუხებენ მასწავლებლის მიერ დასმულ I დონის კითხვებს, რომელთა პასუხებიც ტექსტშივეა მოცემული და ამ დროს მოსწავლეებს შეეძლებათ ტექსტის გამოყენება:

— წელიწადის რომელი დროა აღწერილი ამ ნაწარმოებში? საიდან ჩანს ეს? *(ტექსტის დასაწყისში ავტორი აღწერს შემოდგომის ფოთლებით დანაგვიანებულ ქალაქის ქუჩებს, ამის შესახებ მინიშნება არის სათაურშიც).*

— ვისთან მიდის ცქვიტო? სად ცხოვრობს მისი მასწავლებელი? როგორ არის აღწერილი მისი საცხოვრებელი?

— სადაურია ცქვიტოს მასწავლებელი? როგორ ფიქრობთ, რა საგანში ამეცადინებს იგი ცქვიტოს? რატომ ფიქრობთ ასე? *(სავარაუდო პასუხი – უცხო ენაში, რამდენადაც მასწავლებელი უცხოელია, იგი სკოლაში არ მუშაობს, შინ აქვს კერძო პრაქტიკა).*

— რაზე სწუხს მასწავლებელი? რა მიაჩნია მას ერთადერთ მეგობრად? რატომ არის

გაყვითლებული და დამჭკნარი პალმა მისთვის ასე ძვირფასი?

— რატომ არ ფიქრობს იგი ახალი პალმის ყიდვაზე?

— რატომ არ საყვედურობს მასწავლებელი თავის ყოფილ მოსწავლეებს?

— რა პირობას აძლევს მას ცქვიტო? სჯერა თუ არა მისი დაპირებისა მასწავლებელს?

— რა არის მასწავლებლის წუხილის მიზეზი?..

აქტივობა 3 — ტექსტის გააზრება და შეფასება:

ამ მიზნით დაისმის კითხვები:

— *„ბევრი მოსწავლე მყავდა, ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ყოველთვის მივიწყებდნენ ხოლმე... მაგრამ მათი ბრალი არაა, რომ დამივიწყეს. რა ქნან, ბევრ მათგანს ახლა შვილიშვილებიც ჰყავს. ყველას თავისი საქმე აქვს“* — ამბობს მასწავლებელი თავისი ყოფილი მოსწავლეების შესახებ. მასწავლებლის რა თვისება ჩანს მის ამ სიტყვებში?

— ცქვიტო მასწავლებელს პირობას აძლევს — მე არასოდეს დაგივიწყებთო. რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ მისი ეს სიტყვები? რატომ?

—*„შენ ვერ გაიგებ, ჩემო ბიჭუნავ, შენ ბევრი, ბევრი ახლობელი გყავს“,* — ეუბნება მასწავლებელი ცქვიტოს. როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ცქვიტოს გაუგოს მარტოდ დარჩენილ მასწავლებელს?

—*„ბაბუა და შვილიშვილი ეზოში მიდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. მასწავლებელი ზემოდან გაღიმებული თვალებით უყურებდა მათ, მერე მოიხედა და თვალი თავის გაყვითლებულ პალმას გაუსწორა“,*— მასწავლებლის რა სულიერ განწყობაზე მიგვანიშნებს მწერალი ამ წინადადებით? თქვენი აზრით, რაზე ფიქრობს მარტოდ დარჩენილი მასწავლებელი? რა ჰგვრის მას სიხარულს? მწუხარებას? ახერხებს თუ არა იგი, დამალოს თავისი მწუხარება და სხვა არ შეაწუხოს ამით? როგორ ახერხებს ამას?

— გაყვითლებული პალმის ნახვის შემდეგ ცქვიტოც დანაღვლიანდა. მოძებნეთ ამის დამადასტურებელი ადგილი ტექსტში და ეცადეთ ახსნათ, რა იყო ცქვიტოს მოწყენის მიზეზი.

— ცქვიტოს მსგავსად თქვენც თუ შეგიქმნათ მასწავლებლის მონაყოლმა სევდიანი განწყობა? რას შეცვლიდით ამ მოთხრობაში?

— მწერალმა ამ მოთხრობას „სიყვარული შემოდგომაზე“ უწოდა. რომელ სიყვარულზეა, თქვენი აზრით, აქ საუბარი?

— თქვენი აზრით, თუ შეიძლება ჰქონდეს ამ ტექსტს გაგრძელება? თუ გსურთ, გააგრძელეთ.

— მასწავლებლის რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაახასიათეთ მასწავლებელი ამ ტექსტის მიხედვით.

აქტივობა 4 — ტექსტის შინაარსის გადმოცემა.

აქტივობა 5 — ლიტერატურულ გმირთან გასაუბრება.

(„აქტ. რვეული“, დავალება №2).

აქტივობა 6. მარტივი მიზნობრივი ტექსტების აგება.

(„აქტ. რვეული“, დავალებები №3 და №4).

IV. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე სიტყვები.
„აქტ. რვეული“, დავალება №5.

შედეგების კოდი: V1, V2, V4, V5, V6, V8, V9.

მომდევნო მასალის — **მუხრან მაჭავარიანის „ვითარცა მტკვარი“** — დაგეგმვას მასწავლებელს ვანდობთ.